# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 12 იანვარი 1999 №1 (774) | ფასი 50 თეთრი


## 2 ფედერაციას ადიდასმა უგანა

adidas

სპორტული სამოსის მწარმოებელმა პრესტიჟულმა ფირმამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი გაწყვიტა: ჩვენი პროდუქციით ნაკრები უნდა შეგემოსათ და არა ბაზრობების დახლები გაგევსოთო

## 5 სამარანჩი და ბლატერი ერთმანეთს გაურიგდნენ

შესაძლოა ისე მოხდეს, რომ მსოფლიოს ყოველ მეორე ჩემპიონატში ევროპულმა გუნდებმა მონაწილეობა არ მიიღონ — განაცხადა ლენარტ იუჰანსონმა



## 8 თავისუფლება ხილი ხილს



1969 წელს ხესუს ხილი ხილი ციხიდან ფრანსისკო ფრანკომ გაანთავისუფლა

## 10 საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ საახალწლოდ ამნისტია გამოაცხადა:

ჩემპიონატში დააბრუნა „ვითა“ და დაუშვა ასკ; ირაკლი ხოშტარიას დანაშაული აპატია, ხოლო კახა შენგელიას სამუდამო დისკვალიფიკაცია ერთ წლამდე შეუმცირა



# სპორტული წლის ლაურეატები

## გიორგი ასანიძე საუკეთესოა!

**საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ მოაწყო ტრადიციული საახალწლო რეფერენდუმი საქართველოს 1998 წლის 10 საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლენად**

გამოკითხვაში მონაწილეობდა პრესის, ტელევიზიის, რადიოს, საინფორმაციო სააგენტოების 39 სპორტული ჟურნალისტი.

ანკეტებში სულ დასახელებული იყო 42 სპორტსმენი.

307 ქულით უძლიერესთა ათეულს სათავეში ჩაუდგა 23 წლის საჩხერელი ძალოსანი, მსოფლიოს რეკორდსმენი ატაცში გიორგი ასანიძე. ჟურნალისტებმა სწორედ ასანიძის შედეგი მიიჩნიეს სპორტული სეზონის ყველაზე მნიშვნელოვან წარმატებად და 1998 წლის საუკეთესო სპორტსმენის ტიტული მას მიაკუთვნეს.

| | | |
|---|---|---|
| 1 | გიორგი ასანიძე (ძალოსნობა) | 307 |
| 2 | კობა გოგოლაძე (კრივი) | 290 |
| 3 | ელდარ კურტანიძე (თავისუფალი ჭიდაობა) | 192 |
| 4 | ნესტორ ხერგიანი (ძიუდო) | 184 |
| 5 | დავით პოლოსიანი (თავისუფალი ჭიდაობა) | 157 |
| 6 | გიორგი კანდელაკი (კრივი) | 144 |
| 7 | ვლადიმერ სტეფანია (კალათბურთი) | 129 |
| 8 | ხვიჩა ბიჩინაშვილი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) | 83 |
| 9 | ალექსანდრე იაშვილი (ფეხბურთი) | 81 |
| 10 | გიორგი რევაზიშვილი (ძიუდო) | 78 |

30 იანვარს 16 საათზე „შერატონ მეტეხი პალასში“ გაიმართება საქართველოს 1998 წლის 10 საუკეთესო სპორტსმენის დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი საგანგებო შოუ-პროგრამით. გაატარეთ საღამო ქვეყნის უძლიერეს ათლეტებთან ერთად.

# გვინდა ოლიმპიური მედალი?

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა რჩეულმა, ძალოსანმა გიორგი ასანიძემ შარშან მართლაც ჩინებულად იასპარეზა: ჯერ იყო და, აპრილში ევროპის ვიცე-ჩემპიონი გახდა, მერე მსოფლიოს ჩემპიონატზე, მართალია, მედალი ვერ მოიპოვა, მაგრამ მსოფლიოს რეკორდი დაამყარა — ატაცში 168 კგ დაიმორჩილა. მსოფლიოს რეკორდსმენობა ყველგან და ყოველთვის დიდად ფასობს, დღევანდელი საქართველოს სპორტისთვის ხომ ლამის საარაკო საქმეა და ასანიძის პირველობასაც წინ რაღა დაუდგებოდა.

იხილეთ მეთერთმეტე გვერდი




# გაიხარეთ, ლოკაუტი მორჩა!

როგორც იქნა, დამთავრდა ეს უზომოდ და უაზროდ გაწელილი ლოკაუტი. დამთავრდა, შეიძლება ითქვას, მოულოდნელად. თურმე შესაძლებელი ყოფილა წყნარად, ყოველგვარი ალიაქოთისა და ჩხუბის გარეშე მოთამაშეთა და კლუბების მფლობელთა მორიგება. კალათბურთის ეროვნული ასოციაცია და მოთამაშეთა კავშირი საბოლოოდ შეთანხმდნენ ოთხშაბათს, ექვს იანვარს. სეზონი გაიმართება, მაგრამ თითოეული გუნდი ყველა, 82 თამაშს ველარ გამართავს. თუმცა, მთავარია, სეზონი ჩაშლას გადარჩა.

არადა, ეს სავსებით რეალური ჩანდა. გაჯიუტებულ მოთამაშეებს არაფრის შესმენა არ სურდათ და სანამ საფრთხეს თვალებში არ ჩახედეს, იქამდე არაფერი დათმეს. საბოლოო მოლაპარაკების შედეგიანად დაგვირგვინებაში ლომის წილი დაიდეს ლიგის კომისარმა დევიდ შტერნმა და მოთამაშეთა კავშირის დირექტორმა ბილი ჰანტერმა. ეს ორი ბობოლა წინა სამშაბათს საღამოს 8 საათზე შეიკეტა კაბინეტში და მთელი ღამის მსჯელობისა და სჯა-ბაასის შემდეგ ოთხშაბათს დილით, შვიდის ნახევარზე ხალხს ეუწყა, გაიხარეთ, ლოკაუტი წარსულს ჩაბარდაო.

„მე მოლაპარაკებაში მონაწილეობა არ მიმიღია, მაგრამ ვიცი, ზოგი რამ მოთამაშეთა კავშირმა დათმო, ზოგი ლიგამ“ — თქვა მოთამაშეთა კავშირის პრეზიდენტმა პატრიკ იუინგმა, რომელიც, შეიძლება ითქვას, თამაშგარე მდგომარეობაში დარჩა ამ ბოლო დროს. საბოლოოდ სეზონი თებერვლის დამდეგს დაიწყება და 52-თამაშიანი რეგულარული სეზონი აპრილის ბოლოს დასრულდება. პლეი-ოფების დაწყება კი ლიგას 1 მაისისთვის დაუგეგმავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მესამე ნომრიანი მესამე ქართველი



გადრი კილიაშვილის ფოტო

ლევან ცქიტიშვილი

მეტად ხანმოკლე გამოდგა ლევან ცქიტიშვილის ბელგიური კარიერა. „რასინგ მეხელენში“ მისი მოღვაწეობა სულ რამდენიმე კალენდარული მატჩითღა შემოიფარგლა.

ცქიტიშვილი უკვე გერმანული „ფრაიბურგის“ ფეხბურთელია. ბელგიური ჩემპიონატის მესამე დივიზიონიდან გერმანულ ბუნდესლიგაში — ასეთ პროგრესს ბევრი მოთამაშე ინატრებდა.

„ფრაიბურგის“ თავკაცი ფოლკერ ფინკე ჩვენებურით ადრეც დაინტერესდა. ლევანს ორიოდ თბილი სიტყვა ალექსანდრე იაშვილმაც შეაწია და საქმეებიც აეწყო.

ცქიტიშვილი ფრაიბურგს 3 იანვარს ეწვია, კლუბთან ექვსთვიანი ხელშეკრულებაც გააფორმა და სამნომრიანი მაისურიც მიიღო.

ახლა ძნელი სათქმელია, რა იქნება ექვსი თვის შემდეგ. ლევანი ჯერაც „დინამოს“ საკუთრებაა, ისევე როგორც მისი სეხნია და „ფრაიბურგის“ ნახევარმცველი კობიაშვილი. მართალია, გერმანული მხარე ცდას არ აკლებს, რათა ორივე ლევანი დაისაკუთროს, მაგრამ, ალბათ, ჩემპიონთა ლიგაზე დღემდე მეოცნებე „დინამო“ თავის წამყვან ფეხბურთელებს ასე იოლად ვერ შეელევა.

იმასაც ამბობენ, რომ გერმანულ მხარეს ჩვენებურთა „საყიდლად“ არაერთი მილიონის გაღება მოუწევს. ყოველ შემთხვევაში, „დინამოსთვის“ ცქიტიშვილიც და კობიაშვილიც ძალიან ძვირად ფასობსო.

ასეთი ამბავია, დღეიდან „ფრაიბურგის“ ღირსებას სამი ქართველი — ალექსანდრე იაშვილი, ლევან კობიაშვილი და ლევან ცქიტიშვილი — დაიცავს.

**მამუკა კვანტალიანი**

# ძველთა ცოდვებმა უწიათ

## ფედერაციას ადიდასმა უგანა

სპორტული ნაწარმის გერმანულმა ფირმა „ადიდასმა“ კონტრაქტი გაწყვიტა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან. ფირმამ, რომელიც აქამდე სპორტული სამოსით ამარაგებდა ეროვნულ ნაკრებ გუნდებს, ქართულ ფეხბურთთან თანამშრომლობა აღარ ისურვა. ეს ორიოდ დღის წინ მოხდა, მანამდე კი...

მანამდე, გეხსომებათ, რამდენიმე თვის წინ ერთი ამბავი რომ ატყდა იმასთან დაკავშირებით, თუ რომელ ფირმასთან გააფორმებდა ძველი ფედერაცია ახალ კონტრაქტს ნაკრებების შემოსვის თაობაზე. „უმბრო“, „ნაიკი“, „კაპა“... ბევრ ცნობილ ფირმას ასახელებდნენ, მაგრამ ხანგრძლივი ფიქრისა და განსჯის შემდეგ ფედერაციის მაშინდელმა მუშაკებმა ყველას ისევ „ადიდასი“ ამჯობინეს. საუკეთესო პირობები შემოგვთავაზეს და იმიტომო, ლოგიკურად და მარტივად გვიპასუხეს.

ჰოდა, ახლა ისევ „ადიდასია“ ყურადღების ცენტრში. მათ ჩვენებურებთან თანამშრომლობა იუარეს. რატომ? კითხვაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ გვიპასუხა:

— კონტრაქტი „ადიდასმა“ გაწყვიტა. უფრო სწორად მათმა დისტრიბუტორმა საქართველოში ფირმა „ვოსმა“. სწორედ „ვოსთან“ გაუფორმებიათ ჩვენს წინამორბედთ კონტრაქტი, მაგრამ ძველმა ფედერაციამ შეთანხმება არ შეასრულა. „ადიდასის“ ფირმის მაისურები, ტრუსები, გეტრები, რითაც ფედერაცია იყო უზრუნველყოფილი, მოულოდნელად მაღაზიებსა და ბაზრობებზე გაჩნდა გასაყიდად. ფირმა „ვოსმა“ ასეთი შემთხვევების რამდენიმე ფაქტი დააფიქსირა. აი, სწორედ ეს გახლდათ კონტრაქტის გაწყვეტის საბაბი.

ახლა ახალ კონტრაქტზე ვმუშაობთ და უახლოეს დღეებში გაირკვევა იმ ფირმის ვინაობა, ვინც ჩვენთან ითანამშრომლებს და ნაკრებებს ჩააცმევს. „პუმა“, „ნაიკი“, „კაპა“, „უმბრო“, იგივე „ადიდასი“, თითოეულთან გვაქვს იმისი საშუალება, რომ შეთანხმება პირდაპირ, ფირმის ცენტრალურ ოფისში გავაფორმოთ და არა მათ დისტრიბუტორთან.

მერაბ ჟორდანიამ დაგვაიმედა და ყოველმხრივ ხელსაყრელ კონტრაქტზე ხელმოწერაც აღგვიქვა.

ახლა კი იმაზე, რაც „სარბიელის“ არდადეგების პერიოდში ბევრჯერ გვსმენია. შემცირდება თუ არა XI ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდების რაოდენობა? ახლა ბევრს აღელვებს ეს კითხვა, განსაკუთრებით ჯერჯერობით აუტსაიდერ კლუბთა წარმომადგენლებს. ნოემბრიდან დღემდე ფეხბურთის ფედერაციაში ქომაგთაგან 27 წინადადება შევიდა იმის შესახებ, თუ როგორი სტრუქტურა აჯობებდა მომავალი ჩემპიონატის ჩასატარებლად. სამწუხაროდ, ქომაგთა შორის მხოლოდ ორი, „დინამოს“ ვიცე-პრეზიდენტი რომან შოთაძე და ოზურგეთის „მერცხალის“ წარმომადგენელი იყო ისეთი, ვინც პირდაპირ კავშირშია ეროვნულ ჩემპიონატთან. ერთი სიტყვით, ფედერაციაში ყველა ვარიანტი დაამუშავეს და ფაქტობრივად ყველგან ერთი და იგივე წერია — გათამაშებაში მონაწილე გუნდების რაოდენობა უნდა შემცირდეს. ფედერაციაც ამ ჭკუაზე ყოფილა და მართლაც აპირებენ გუნდების შეთხელებას. თუმცა ჯერ უცნობია, საბოლოოდ რამდენი კლუბი ითამაშებს პირველ ჯგუფში. ხოლო თუ როგორ წარიმართება ეს პროცესი, ამაზე მერაბ ჟორდანიამ გვითხრა, ტყუილად ნურავინ შიშობს, გუნდების შემცირებისას ყოველგვარი სპორტული პრინციპი შენარჩუნებული იქნებაო.

**კობა ინასარიძე**



გადრი კილიაშვილის ფოტო

# ჭიჭველიშვილს რომანცევი ავარჯიშებს

რუსეთის ჩემპიონი მოსკოვის „სპარტაკი“ რომ ჩვენებური დავით ჭიჭველიშვილით არის დაინტერესებული და „ბათუმის“ მცველი სოჭშიც იახლა შეკრებაზე, უკვე გაცნობეთ. თანაც დავამატეთ, ფეხბურთელის ტრანსფერი იანვრის ბოლოს გაირკვევა, როცა „სპარტაკი“ ისრაელის შეკრებიდან უკან დაბრუნდებაო. სავარაუდოდ მოსკოველთა მწვრთნელ ოლეგ რომანცევს დავით ჭიჭველიშვილიც თან უნდა წაეყვანა.

სამწუხაროდ, თავად დათოს ვერაფრით შევეხმიანეთ, ვერც „სპარტაკის“ პრეს-ატაშეს დავუკავშირდით და ჯერჯერობით დაწვრილებითაც ვერაფერს მოგახსენებთ. თუმცა ის კი ნაღდია, რომ რომანცევმა სურვილი აისრულა და ჭიჭველიშვილს ამჟამად ისრაელში ავარჯიშებს. ეს ამბავი ჩვენმა რუსმა კოლეგებმაც დაგვიდასტურეს და „ბათუმის“ პრეზიდენტმა თემურ ბეჟანიძემაც. ამ უკანასკნელის თქმით, მათსა და მოსკოვური კლუბის ხელმძღვანელთა შორის არანაირი მოლაპარაკება არ დაწყებულა, ჭიჭველიშვილი ისრაელში „სპარტაკთან“ ერთად მხოლოდ ვარჯიშობს და გუნდში ჩარიცხვაზე ლაპარაკი ნაადრევია. ყველაფერი რუსების ისრაელიდან დაბრუნების შემდეგ გადაწყდება. სატრანსფერო თანხაზეც მაშინ შეთანხმდებიან.

ჩვენი ინფორმაციით, „სპარტაკი“ ისრაელიდან 17 იანვარს დაბრუნდება. რას იტყვის რომანცევი, ესეც ერთ კვირაში გვეცოდინება.

რაც შეეხება კლუბს, რომლის საკუთრებაც ჭიჭველიშვილია, იქ მაინცდამაინც ბევრი სიახლე არაა. „ბათუმმა“ მომზადების პირველი ეტაპი ბათუმშივე დაიწყო, მეორე ეტაპს კი, ისინი, ალბათ, თურქეთში გაივლიან, თუმცა გადაწყვეტილიც არაფერია. საქართველოს თასის მფლობელები სამეორეწრეოდ ორ ახალ ფეხბურთელსაც ამზადებენ — ბოლო ხანს პოლონეთში მოთამაშე, ერთ დროს ეროვნული ნაკრების წევრი გოჩა გუჯაბიძე და გერმანიიდან დაბრუნებული თენგიზ დოლიძე ამჟამად ბათუმში იმყოფებიან. გამორიცხული არაა, ბათუმშივე მოემზადოს საგაზაფხულოდ კოლხყოფილი გელა გაბისონია.

**კობა ინასარიძე**



გადრი კილიაშვილის ფოტო

ალექსანდრე იაშვილი (№11) რუს ახალგაზრდებთან თამაშისას

# მუმუ ისევ იუვენტუსს ელის

ჯერ კიდევ ახალ წლამდე აუწყა „სარბიელმა“ მკითხველს, რომ დავით მუჯირით რამდენიმე იტალიური კლუბია დაინტერესებული. ოთხიოდე საშუალო კლასის გუნდების ჩამონათვალს თვით „იუვენტუსიც“ შეემატა და იტალიიდან პასუხს ხუთი იანვრისთვის ველიო. ამაზე თავად მუმუმ განგვიცხადა ინტერვიუში.

„სარბიელის“ საახალწლო არდადეგები ევროპაში სატრანსფერო სეზონის გახსნას დაემთხვა და, ბუნებრივია, დღემდე ვერ მოვახერხეთ მუჯირის შესახებ მკითხველისთვის ინფორმაციის მიწოდება. გუშინ კი დავუკავშირდით მუჯირების ოჯახს. უფროსი დავით მუჯირის თქმით, ჯერჯერობით არაფერი შეცვლილა, კვლავ ელიან იტალიიდან სატელეფონო ზარს.

ვნახოთ. დაველოდოთ ჩვენც. ვინ ვინ და ბებერი ქალბატონი კი ღირს ბდღვნად და ცდად.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# იაშვილი ფრთხილად ვარჯიშობს

საქართველოს ნაკრების და გერმანული „ფრაიბურგის“ თავდამსხმელი ალექსანდრე იაშვილი ჯვარედინი იოგების დაზიანებამ საქმეს გვარიანი ხნით მოაცდინა. არადა, ჩვენებურმა ბუნდესლიგური სეზონი კარგად დაიწყო. მიუხედავად მატჩების მცირე რაოდენობისა, იაშვილმა შვიდი გოლის გატანა მაინც მოახერხა. თითქოს ტრავმაც მოირჩინა და სამეორეწრეო სამზადისსაც უნდა შესდგომოდა, მაგრამ...

რამდენიმე დღის წინ ხმა დაირხა, იაშვილი ექვსი თვე ვერ ითამაშებსო. საწყენი ინფორმაცია გახლდათ, მით უმეტეს, როცა ეროვნული გუნდი ტაილანდურ ტურნეზე აპირებს გამგზავრებას და ნაკრების მწვრთნელს იაშვილის დიდი იმედი ჰქონდა. სიმართლის დასადგენად იაშვილთან გერმანიაში დაკავშირება ვცადეთ, მაგრამ ვერაფრით მოვიხელთეთ. ან როგორ დაველაპარაკებოდით, როცა ჩვენებური „ფრაიბურგთან“ ერთად პორტუგალიას სწვევია, სადაც გერმანული კლუბი სამეორეწრეოდ ემზადება.

რაკი გუნდს შეკრებაზე გაჰყვა, ყველაფერი რიგზე უნდა ყოფილიყო, მაგრამ მისი ოჯახის წევრებმა უსიამოვნო ეჭვები ბოლომდე მაინც ვერ გაგვიქარწყლეს.

აკუნა ძველ ტრავმას მართლაც შეუწუხებია, თუმცა შეკრებაზე მაინც წასულა. რა თქმა უნდა, იმკურნალა კიდეც. ახლა იგი ვარჯიშობს, გუშინაც სამჯერ უვარჯიშია და ფეხი არ ტკენია.

იმედია, იაშკას ტრავმა თავს არ შეახსენებს, მაგრამ თუ მაინც გაუჭირდა, საქმეს მხოლოდ ოპერაცია თუ გამოასწორებს.

**მამუკა კვანტალიანი**

# ქართველები ბენილიუქსს ეჩვევიან

## გივი დიდავაც რასინგ მეხელენში გადადის

საქართველოს ნაკრებისა და თბილისის „დინამოს“ მცველი გივი დიდავა ამ დღეებში ბელგიას გაემგზავრება. დიდავა ბელგიურ „რასინგ მეხელენს“, რომლის მწვრთნელ-კონსულტანტი დავით ყიფიანია, მას შემდეგ შეუერთდება, რაც საფრანგეთის საელჩო ბელგიის ვიზას მისცემს.

სანამ დიდავას ბენილიუქსში გადაბარგება გადაწყდებოდა, მისი შეძენა მოსკოვურ „ლოკომოტივს“ სურდა. რუსთა თავკაცი იური სიომინი მურთაზ ხურცილავას დაკავშირებია, მაგრამ „დინამომ“ ფეხბურთელი 600 ათას დოლარად დააფასა, რაც, ეტყობა, რუს რკინიგზელებს ეძვირათ.

ამხელა თანხის გადახდას არც „რასინგ მეხელენი“ ფიქრობს — ამ კლუბმა დიდავა იჯარით ინათხოვრა. ცხადია, ფეხბურთელის გაყიდვის უფლება „დინამოს“ შერჩა, რის გამოყენებასაც, მოთამაშის აზრით, ბელგიიდან უფრო მოახერხებს.

ასე რომ, ლევან ცქიტიშვილის გერმანულ „ფრაიბურგში“ გადასვლის მიუხედავად, „რასინგ მეხელენში“ ხუთი ქართველი ითამაშებს — გიორგი კიკნაძეს და ლევან ხომერიკს ცოტა ხნის წინ გიორგი ანჩაბაძე და დავით ჩალაძე შეუერთდათ, ახლა მათ გივი დიდავაც დაემატებათ.

**ვახტანგ ბზიკაძე**

სარბიელელები ვუსამძიმრებთ
ჩვენს თანამშრომელს ხვიჩა
სანიკიძეს მამის
ოთარ სანიკიძის
გარდაცვალების გამო



მიხეილ მესხის და გურამ თიკანაძის შედევრი: გაბითურებული მცველის ყირამალა

# მესხი! მესხი!! მესხი!!!

დღეს 1999 წლის 12 იანვარია — მიხეილ მესხის დაბადების დღე.

დღეს მიხეილ მესხი 62 წლის შესრულდებოდა.

დღევანდლამდე ორიოდე კვირით ადრე კი „სარბიელმა“ თავისი გამოკითხვის შედეგები შეაჯამა. „სარბიელის“ მკითხველმა საქართველოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად მიხეილ მესხი დაასახელა...

და, ალბათ, ეს გახლავთ ტიტულთა შორის უპირველესიც — აღიარება მშობელი ხალხისა, ქართველი გულშემატკივარის აღიარება, რაც, მართალი ვთქვათ, არასოდეს ჰკლებია მიხეილ მესხს და რასაც ახლა, წლების გადასახედიდან უფრო დიდი ფასი დაედო.

ასეა, რაც კარგია და ლამაზი, იმას წლები ვერაფერს აკლებენ. როგორ შეიძლებოდა ქართველ გულშემატკივარს მიშა მესხის ლამაზი ბურთაობა დავიწყებოდა და აკი არც დაავიწყდა.

ფეხბურთელები ჩვეულებრივი მოკვდავები არიანო — გაგვიგონია ხშირად. არის ამ გამონათქვამში სიმართლის მარცვალი — ისინიც იბადებიან, იზრდებიან, კვდებიან... მაგრამ არსებობს კატეგორია ფეხბურთელებისა, რომლებთანაც სიკვდილს ნაკლებად მიუწვდება ხელი. ლეგენდებზეა საუბარი და ლეგენდა კი იმდაა ლეგენდა, რომ მას წლებმა ვერაფერი დააკლოს.

ჰოდა, დღესაც, ამდენი წლის მერე, სხვანაირად იხსენებს ქართველი გულშემატკივარი მიშა მესხის ფეხბურთს, სხვანაირად ენატრებათ მისი ფინტი, ტრიბუნიდან ტრიბუნაზე სიარული და „მესხი, მესხი, მესხი!“

12 იანვარი მიხეილ მესხის დაბადების დღეა. და ამით უკვე ბევრი რამეა ნათქვამი, რადგანაც 1937 წლის 12 იანვარს მესხთან ერთად დიდი და ლამაზი ქართული ლეგენდაც დაიბადა.

ლეგენდა, რომელსაც სიკვდილი არ უწერია.

# ანთალია მოიცდის, მანამდე გაუფრთხილდით პრეზიდენტს

როგორც იცით, „ტორპედომ“ თადარიგი დაიჭირა, ახალი წლის დადგომას არ დალოდებია და სამეორეწრეო სამზადისს ჯერ კიდევ გასულ წელს შეუდგა. ორი კვირა ძირითადად ფიზიკურ ვარჯიშებს დაეთმო. თავდაპირველი გეგმის მიხედვით 5 იანვარს ქუთაისელები ანთალიას უნდა სწვეოდნენ, მაგრამ მიზეზთა გამო თურქული ვოიაჟი თვის ბოლო დეკადისათვის გადაიდო. „ტორპედო“ ახლა ადგილზე გადის შეკრებას. გუნდი ორჯერადად ვარჯიშობს, უბურთოდ - ხელოვნურსაფარიან ბილიკებზე თუ მძლეოსნურ მანეჟში და ბურთით - სოფელ გეგუთის სტადიონზე.

„ტორპედოში თუმც ბევრი არა, მაგრამ სიახლეებიც არის. ორწლიანი განშორების შემდეგ გუნდში დაბრუნდა და კვლავაც იმუშავებს მწვრთნელად გიორგი აბზიანიძე. აქ ისიც უნდა ვთქვათ, რომ მოსამზადებელ პერიოდში ჯემალ ხერხაძეს დიდ დახმარებას უწევს „მასაჟისტად“ მონათლული, არადა ფიზმომზადების საუცხოო სპეციალისტი თამაზ როინიშვილი. ამ კაცს კლუბის ხელმძღვანელებიც ემადლიერებიან და ფეხბურთელებიც.

მოთამაშეთა „წასვლა - მოსვლას“ რაც შეეხება, აქ იმას ვიტყვით, რომ მეკარე დათო მამარდაშვილმა სამტრედიას მიაშურა და, ალბათ, „იბერიაში“ დარჩება. „ტორპედოს“ ძირითადთან ერთად ახლა რამდენიმე ფარმკლუბელიც ვარჯიშობს - რეზო კვერნაძე, გოდერძი გოგოლაძე, ვალერი გენებაშვილი, კახა ვადაჭკორია, შოთა ფუტკარაძე. რაც შეეხება, დიდ მომავალს რომ უწინასწარმეტყველებენ, მალხაზ ასათიანს, მამარდაშვილის მსგავსად, მასაც „იბერიისკენ“ მიუწევს გული. თუმც მისი საკითხი საბოლოოდ არ გადაწყვეტილა. ისევე, როგორც გიორგი გოგიაშვილისა. „ჟემჩუჟინაში“ არეული სიტუაციის გამო ისიც გაურკვეველ მდგომარეობაშია. გიორგი შობა - ახალწელს ქუთაისში შეხვდა და მერე ისევ სოჭს გაბრუნდა. „ტორპედო“ ფეხბურთელისაგან საბოლოო პასუხს დღე - დღეზე ელოდება.

წერტილი დაესვა კლუბსა და იონანიძეს შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებას. ზურაბმა ხელი მოაწერა კონტრაქტს და გუნდში ითამაშებს. ამ საახალწლოდ „ტორპედოში“ ბევრ სიკეთესთან ერთად ცუდიც მოხდა. 5 იანვარს კლუბის პრეზიდენტს გულმა შეუტია. სასწრაფო დახმარებამ მიხეილ ქორქია მძიმე მდგომარეობიდან გამოიყვანა.

იუზა კაციტაძე

# სეზონი თებერვალში განახლდება

საფეხბურთო სეზონი ტრადიციულად ეროვნული თასის მეოთხედფინალური მატჩებით განახლდება. წყვილების ვინაობა ცნობილია, მაგრამ მაინც შეგახსენებთ: „ლოკომოტივი“ — „ბათუმი“, „ტორპედო“ — „გორდა“, „ვიტ ჯორჯია“ — „სამგურალი“, „არსენალი“ — „მერანი“. პირველი მატჩები 20 თებერვალს გაიმართება, ხოლო საპასუხოები — ოთხი დღის მერე, 24-ში.

რაც შეეხება ჩემპიონატს, უკვე საიუბილეო, მეათე პირველობა ტარდება და მეორე წრე ყოველთვის გაზაფხულზე, მარტში, იწყებოდა. ახლა კი ტრადიცია დაირღვა, სეზონი 28 თებერვალს განახლდება და წყვილები სავარაუდოდ ძველებურადვე შებრუნებული იქნება.

აქვე მეორე ჯგუფის შესახებაც გეტყვით. მეორე წრე აღმოსავლეთ ზონაში 14 მარტს განახლდება, ხოლო დასავლეთში 22 მარტს გაგრძელდება ბურთაობა. ერთიცაა, თუ აქამდე იყო აღმოსავლეთ და ცენტრალური ზონები, ახლა მათ, როგორც დასავლეთშია, „ა“ და „ბ“ ქვეჯგუფები ეწოდებათ.

კალენდარი, როგორც პირველი ისე მეორე ჯგუფისა შედგენილია და მხოლოდ მერაბ ჟორდანიას ხელმოწერას ელის, რასაც ალმასკომიც დაამტკიცებს. სხდომა ამ თვეშივეა ნავარაუდევი.

გიორგი ვაშაკიძე

# ახლა ტაილანდი

როგორც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გვითხრეს, უკვე გადაწყვეტილი საქმე ყოფილა, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრები 21-დან 27 თებერვლამდე ტაილანდში, „მეფის თასის“ გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას მასპინძლებთან და ჯერჯერობით უცნობ ოთხ გუნდთან ერთად. სხვა დეტალები ცნობილი არ არის. ამჟამად ტაილანდელი ფეხბურთის მოხელენი ბევრ ქვეყანასთან აწარმოებენ მოლაპარაკებას, მაგრამ ქართველთა გარდა მათთვის თანხმობა ჯერ არავის განუცხადებია. თებერვლის ბოლოს კლუბთა უმეტესობა ერიდება ნაკრებში ფეხბურთელების გაშვებასო, გვითხრეს ფედერაციაში.

ისე კი, როგორც ჩანს, ეს ტურნირი მთლად უპრესტიჟო როდი ყოფილა. ჯერ ერთი, „მეფის თასი“ უკვე მრავლისმეტყველია და მეორე — შარშან ბანგ-კოკს რუსეთის ნაკრები სტუმრობდა, შარშანწინ კი დანიისა და შოტლანდიის გუნდებიც ეცილებოდნენ ერთმანეთს საპატიო პრიზს.

ერთი სიტყვით, აზიელებმა რამდენიმე მატჩიც გაგვიხერხეს შესარჩევების განახლებამდე. საქართველოს ეროვნული გუნდის უფროსობას კი არ გადაუწყვეტია, ბანგკოკს როგორი შემადგენლობით ესტუმროს, ყველაფერი ამ თვის ბოლოს გაცხადდება.

და ერთიც. ამას წინათ უკრაინელებმა რომ მოიწერეს, 20-ის ნაცვლად 21 მარტს ვითამაშოთო, თავიანთი სიტყვები უკანვე წაიღეს და ისევ ძველი თარიღი გვიჯობსო, უცნობებიათ ჩვენებურთათვის. გადაწყვეტილია, რომ ორივე, ეროვნული და ახალგაზრდულიც თბილისში ერთ დღეს ითამაშებენ.

კობა ინასარიძე

# გაზაევმა, ესაო, ისაო, მაგრამ არაო...

გიორგი დემეტრაძე „ალანიაში“ დარჩა და ამჟამად გუნდთან ერთად ისრაელში იმყოფება შეკრებაზე.

არადა, ისე ჩანდა, დემეს დღე-დღეზე კიევის „დინამოს“ მაისური უნდა მოერგო. შესაბამისად, კიდევ ერთ ქართველს მიეცემოდა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში „რეალთან“ თამაშის შანსი. ის კი არა, ლობანოვსკის და ამქარს შევჩენკოს შემცვლელადაც შეუგულებიათ დემეტრაძე — ეს კახა კალაძემ გვითხრა.

ახალი წლის შემდგომმა ამბებმა ყველაფერს ნათელი მოჰფინა. კიეველები რომ ბჭობდნენ, თურმე გაზაევი იცინოდა. ოსების თავკაცმა იფიქრა, იფიქრა და ბოლოს დემეტრაძე „ალანიას“ უფრო სჭირდებაო, ასე განუცხადა კიეველ კოლეგას.

ისე, ორი ქართველი ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში და თანაც „რეალის“ წინააღმდეგ ნამდვილად არ იქნებოდა ხუმრობა საქმე.

კონსტანტინე გოგიშვილი

# ხელი ხელსა...

შარშან ამ დროს იყო, მეორე ჯგუფში ჩამოქვეითებული სამტრედიული კლუბი ნუგზარ ნიკოლაიშვილმა რომ ჩაიბარა. ახალმა პრეზიდენტმა სახელთან („ჯუბა“) ერთად გუნდს სახეც უცვალა. „იბერიაში“ მთავარ მწვრთნელად გამოცდილი სპეციალისტი ნიკა ამირეჯიბი მოიწვია, ისეთი ფეხბურთელებიც დაიმატა, პირველ ჯგუფში გუნდის დაბრუნებას სათუოდ რომ არ გახდიდნენ. საწვრთნელი ბაზის კეთილმოსაწყობადაც ბევრი რამ გაკეთდა. შარშან გაზაფხულს „იბერიამ“ დასახულ მიზანს მიაღწია - პირველ ჯგუფში ალზევდა და მეათე ეროვნული ჩემპიონატისათვის მზადებასაც ამაღლებული განწყობილებით შეუდგა. კარგად მახსოვს, გუნდში რა საქმიანი ატმოსფერო სუფევდა. ამირეჯიბი და კომპანია თავდაუზოგავად, ხელებდაკაპიწებული შრომობდა, მაგრამ, დახეთ, ქვიშხეთიდან, სადაც „იბერია“ შეკრებას გადიოდა, მოულოდნელი ცნობა მოვიდა - ამირეჯიბმა გუნდი დატოვაო. ამირეჯიბის გუნდიდან წასვლა მართლაც მოულოდნელი იყო. მწვრთნელი და პრეზიდენტი მაშინ ერთმანეთის მზეს იფიცებდნენ... ამირეჯიბი მთავარი მწვრთნელის პოსტზე ნიკოლაიშვილის თანაკლასელმა ბადრი ქორიძემ შეცვალა. ესენი თუ ვეღარ გაუგებდნენ ერთმანეთს, ვინლა იფიქრებდა? ქორიძემ კარგად დააწყებინა გუნდს, მაგრამ მერე და მერე მასაც აერია საქმე და ისიც წავიდა... ფაქტი ფაქტად დარჩა და „იბერია“ მთავარი მწვრთნელის გარეშე. პირველი წრის ბოლო ტურებისა და თასის მერვედფინალის თამაშებზე „იბერია“ მოედანზე ქორიძის თანაშემწეს მესიაჩენკოს გაჰყავდა. დიახ, წრე ისე მიილია, ნიკოლაიშვილმა საჭირო კაცი ვერა და ვერ მოძებნა. არადა, მთავარი მწვრთნელის პოსტზე რამდენიმე კანდიდატი თავადვე დაასახელა. ალბათ, გახსოვთ, ჯერ ვახტანგ კოპალეიშვილი, ანზორ გძელიძე, ჯონი ჯანელიძე, ვალერიან ჩხარტიშვილი, მერე ამირან მინაშვილი, სოსო ფრუიძე, ბოლოს კი ვლადიმერ პანოვი. ბევრს ნუღარ გავაგრძელებთ, ნურც იმას ჩავეძიებით, ამ შვიდიდან რომელი და რა მიზეზით ვერ ჩავიდა



სოსო ფრუიძე

სამტრედიაში. მთავარი ვთქვათ. პრეზიდენტმა, როგორც იქნა, საქმეს თავი დაადგა. ნაახალწლევს ნუგზარ ნიკოლაიშვილმა და სოსო ფრუიძემ ხელი ხელს მისცეს, ერთად ვიმუშავოთო. მოკლედ, „იბერიაში“ ამ სამთვენახევრის წინ ბურუსით მოცულ ვითარებაში „ტორპედოდან“ წასული პატივმოყვარე მწვრთნელი მივიდა. „იბერია“ ფრუიძის სამწვრთნელო კარიერაში რიგით მეხუთე გუნდია. ახალი მთავარი მწვრთნელი პრეზიდენტისგან ელემენტარულ სამუშაო პირობებს ითხოვს და ისიც ჰპირდება. დღეს ერთი კვირა გახდება, რაც დიდი ჯიხაიშის ბაზაზე სოსო საქმეს შეუდგა.

ინტერესმოკლებული არ იქნება გუნდში მომხდარ სხვა ცვლილებებზეც გაიგოთ. შოთა ჩომახიძის „დინამოში“ გადასვლის და დათო ხუჭუას უცხოეთში თამაშის სურვილის შესახებ, მოგეხსენებათ. „იბერია“ უკვე დატოვეს მეკარეებმა ლაბაძემ და ჩაჩუამ, აგრეთვე ბრეგვაძემ, ბაკურაძემ, გია ჭელიძემ. ახალთაგან გუნდში ისინჯებიან მეკარე დათო მამარდაშვილი და ჭაბუკი მალხაზ ასათიანი (ორივე „ტორპედო“), ამირან ბანძელაძე („რიონი“), ყოფილი სამგურალელი ზვიად ფხაკაძე.

იუზა კაციტაძე

## ინგლისი

### XXI ტური

**მანჩესტერი 4:1 ვესტ ჰემი**

1:0 იორკი (10), 2:0, 3:0 კოული (40, 67), 4:0 სოლსკიაერი (80), 4:1 ლამპარდი (89)
მანჩესტერი: ვან დერ გოუვი, ირვინი, ბერგი, ბრაუნი (იონსენი 77), ბლომკვისტი, კინი (კრუიფი 84), ბათი (სოლსკიაერი 77), იორკი, კოული, სტამი, გიგზი
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, ფერდინანდი, რადოკი, პირსი, პოტსი, ლაზარიდისი, ლამპარდი, ბერკოვიჩი, სინკლერი (კოული 45), ლომასი, ჰართსონი
გაფრთხილება: სინკლერი
მსაჯი: რიდი

**არსენალი 0:0 ლივერპული**

არსენალი: მენინგერი, დიქსონი, კიოუნი, ბოულდი (აპსონი 32), გრონდინი, პარლოუ, ვიეირა, პეტი, ოვერმარსი (გარდე 84), ბოა მორტე, ანელკა (ვრე 87)
ლივერპული: ჯეიმსი, კარაგერი, ბები, სტონტონი (მატეო 63), ჰეგემი, ბერგერი, ინსი, რედნაპი, ჰარკნესი, ფაულერი, ოუენი (რიდლე 88)
გაფრთხილება: ბოულდი, კიოუნი, ბები, ინსი, რედნაპი
მსაჯი: ბარბერი

**ბლექბერნი 1:0 ლიდსი**

1:0 გილესპი (22)
ბლექბერნი: ფილანი, კენა, დევიდსონი, შერვუდი, ენჩოსი, უილკოქსი, დაფი (დანი 27), ბრუმსი, მაკკინლი, გილესპი, უორდი
ლიდსი: მარტინი, ჰაალანდი, ვეზეროლი, ჰასელბაინკი, რიბეირო (მაკფეილი 74), ბოუიერი, ჰოპკინი, გრენვილი, ჰალე, კიუელი, ვუდგეიტი (სმიტი 45)
გაფრთხილება: შერვუდი, უილკოქსი, ფილანი, ბოუიერი, ჰაალანდი, ვეზეროლი
გაძევება: შერვუდი (25)
მსაჯი: ჰარისი

**ქოვენთრი 4:0 ნოტინგემი**

1:0, 2:0 ჰაკერბი (45, 46), 3:0 ტელფერი (54), 4:0 ჰაკერბი (75)
ქოვენთრი: ჰედმანი, ნილსონი, ბაროუზი (შილტონი 72), უილიამსი, შოუ, ვილანი, მაკალისტერი (ქუინი 87), ტელფერი, სოლტვედტი, ჰაკერბი, ალოიზი (ჯექსონი 67)
ნოტინგემი: ბიზანტი, ჩეტლი, ჰილდე, არმსტრონგი (ფრიდმენი 56), ლიტლი, სტოუნი, ჯემილი (ქუეში 83), ჯონსონი, ბარტ-უილიამსი (ვოუნი 70), დოიგი, ვან ჰოიდონკი
გაფრთხილება: ვილანი, ტელფერი, მაკალისტერი, ჩეტლი, ვოუნი
მსაჯი: ჯონსი

**ევერტონი 0:0 ლესტერი**

ევერტონი: მირე, კლილენდი, დანი, უოტსონი, ანსუორსი, ბოლი, ჰაჩისონი, დაკურტი, ოსტერი, კადამარტერი (ბარმბი 75), ბაკაიოკო
ლესტერი: კელერი, სინკლერი, ელიოტი, უოლში, ალსორნი, იზეტი, ლენონი, იმპეი, გაპი, ჰესკი, კოტი
გაფრთხილება: დაკურტი, სინკლერი
მსაჯი: დარკინი

**მიდლსბრო 0:0 ასტონ ვილა**

მიდლსბრო: შვარცერი, ფლემინგი, ფესტა, კუპერი, პალისტერი, გორდონი, მედისონი, თაუნსენდი, გესქოინი, რიკარდი (ბეკი 84), დინი
ასტონ ვილა: ოუქსი, უოტსონი, ეპიოგუ, საუთგეიტი, ბერი, რაიტი, შიმეცა (გრეისონი 77), ტეილორი, ჰენდრი, დაბლინი, ჯოაკიმი
გაფრთხილება: გესქოინი, რიკარდი, ფლემინგი, ბერი
მსაჯი: რენი

**ნიუკასლი 0:1 ჩელსი**

0:1 პეტრესკუ (39)
ნიუკასლი: გივენი, დომი, ჰოუი, სპიდი, ჰამანი, შარვე, გლასი, სოლანო (ლი 72), ჰიუზი, ანდერსონი (საჰა 57), შირერი
ჩელსი: დე გუი, პეტრესკუ, ფერერი, ლებეფი, დაბერი, ლე სო, დესაი, უაიზი, დი მატეო, ძოლა (ნიქოლზი 88), ვიალი
გაფრთხილება: ჰიუზი, ლე სო, დესაი, ფერერი
მსაჯი: გალაჰერი

**შეფილდი 0:0 ტოტენჰემი**

შეფილდი: სრნიჩეკი, აზერტონი, ტომი, უოქერი, სტეფანოვიჩი, ჰინჩკლიფი, ალექსანდერსონი, იონკი, რუდი, ჰემფრიზი, კარბონე
ტოტენჰემი: უოქერი, კარი, იანგი, კემპბელი, სინტონი, ანდერტონი, ფროინდი, ნილსენი, ჟინოლა (ედინბურგი 67), ივერსენი, ფერდინანდი (არმსტრონგი 9)
გაფრთხილება: კარბონე, ფროინდი, ნილსენი
მსაჯი: უილარდი

**საუთჰემპტონი 3:1 ჩარლტონი**

1:0 კეზლოული (8), 1:1 ჰანტი (13), 2:1 კოლეტერი (52), 3:1 ბიტი (89)
საუთჰემპტონი: ჯონსი, დოდი, კოლეტერი, პალმერი, მონკოუ, ლუნდეკვამი, ჰიუზი, ოუკლი, ოსტენსტადი, ბიტი, კეზლოული
ჩარლტონი: ილიჩი, მილსი, პაუელი, რედფირნი, რუფუსი, იუდსი, კინსელა, ნიუტონი, რობინსონი, ჰანტი, ჯონსი (პრინგლი 71)
გაფრთხილება: ბიტი, ჰიუზი, მილსი, იუდსი, ჰანტი
მსაჯი: პოლი

**უიმბლდონი 2:1 დერბი**

1:0 იუელი (8), 1:1 ვანჩოპე (76), 2:1 რობერტსი (83)
უიმბლდონი: სალივანი, კიმბლი, პერი, ბლექველი, თეთჩერი, ს. ჰიუზი (ეკოკუ 80), რობერტსი, გეილი, მ. ჰიუზი (კენედი 88), იუელი, კორტი (ლიბერნი 73)
დერბი: პოომი, კარბონარი, პაუელი (ბარტონი 86), დორიგო, სტარიჯი, ვანჩოპე, ლაურსენი, პრაიორი, კერსლი, ელიოტი (ჰარპერი 86), ერანიო (ბოჰინენი 68)
გაფრთხილება: ს. ჰიუზი, პერი, დორიგო, ჰარპერი
მსაჯი: უილკი

# მანჩესტერელი შავები



REUTERS მანჩესტერიდან

მანჩესტერი — ვესტ ჰემი 4:1. დუაიტ იორკს (მარჯვნივ) მატჩის პირველი გოლი გააქვს

„ოლდ ტრეფორდზე" შეკრებილი 55 180 ფანი დაახლოებით 45 წუთი მოუთმენლად ელოდა მატჩის დაწყებას — „ინგენერგო" სტადიონს ელექტროენერგიას ვერ აწვდიდა, მაგრამ საბოლოოდ ალმოჩნდა, რომ შეხვედრა ამად ღირდა. აკი აღნიშნა მისი დასრულებისთანავე გახარებულმა ალექს ფერგიუსონმა, დღეს საჩემპიონო ბურთაობა გავაჩაღეთო.

მასპინძლებს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლდათ — დევიდ ბექემი, პოლ სქოულზი, გარი ნევილი, თუმცა „ვესტ ჰემის" განადგურებაში მანჩესტერელებისთვის ამას ხელი არ შეუშლია.

„მენიუს" მენიუში ლონდონელთათვის ყველაზე ცხარე ეგზოტიკური ქვეყნის (ტრინიდადი და ტობაგოს) შვილი დუაიტ იორკი ალმოჩნდა, ვინც კვირას თავის კარიერაში, ალბათ, საუკეთესო მატჩი ჩაატარა. გარდა იმისა, რომ იორკი თავდასხმაშიც მშვენივრად თამაშობდა, ბექემის არყოფნაში მან ნაწილობრივ გამთამაშებლის ფუნქციაც იტვირთა და თანაგუნდელები ბრწყინვალე პასებითაც „გააძლო". პირველ რიგში ეს ენდი კოულს ეხება — ტრინიდადელმა მას რამდენჯერმე შეუქმნა საგოლე მომენტი, მაგრამ კოული რატომღაც ზედმეტად თავდაჯერებული გახლდათ და იმის მაგივრად, რომ სულ ცოტა ხუთჯერ გაეტანა სტუმართათვის, ეს მხოლოდ ორჯერ მოახერხა.

ანგარიში თავად იორკმა გახსნა შეხვედრის დასაწყისში, როდესაც მანჩესტერელების შტურმმა აპოგეოზს მიაღწია. საგოლე გადაცემა მას ენდი კოულმა მისცა. მეორე გოლი ტაიმის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე გავიდა — დამატებაზე ყველას „იუნაიტედის" მე-9 ნომერმა დაასწრო. მესამედ ბეჭერ „ტრეფორდზე" მყოფმა ქომაგებმა მას შემდეგ გაიხარეს, რაც იორკმა კოულს ვალი დაუბრუნა და დიდებული პასით შაკა ჰისლოპთან პირისპირ დატოვა. არადა, გოლის გატანა მას მანამდეც შეეძლო ერთი ორჯერ, თუმცა, როგორც უკვე ვთქვით, ამის გაკეთება ძალიან ლამაზად მოუნდა და ჩაუვარდა კოვზი ნაცარში. ეტყობა, სილამაზის შესაქმნელად ჯერ კლასი არ ჰყოფნის.

მერე ფერგიუსონმა ორმაგი შეცვლა გააკეთა — ბრაუნის და ბათის ნაცვლად მინდორზე ნორვეგიული დუეტი — იონსენი და სოლსკიაერი შეუშვა. ამ უკანასკნელმა გაუმართლა კიდეც — ლამაზი თავურით ბურთი ყველას თავზე გადაუგდო (გიგზის დარტყმულის და ჰისლოპის მოგერიებულის შემდეგ) და ანგარიში ლონდონელთათვის სამარცხვინო გახადა. მაგრამ სტაჟიან გულშემატკივრებს ალბათ გახსოვთ, რომ „ვესტ ჰემი" ოთხ გოლს თუ გაუშვებს, ერთი აუცილებლად უნდა გაიტანოს (1981 წელს თასების თასის მეოთხედფინალის პირველ მატჩში თბილისის „დინამომ" „ჩაქუჩებს" სწორედ 4:1 მოუგო). ეს ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა და ახალგაზრდა ფრენკ ლამპარდმა, რომელიც 18 წლის წინ ქართველების მიერ შერცხვენილ „ვესტ ჰემში" მოთამაშე ფრენკ ლამპარდის შვილი გახლავთ, 89-ე წუთზე საკმაოდ ლამაზი კომბინაციის შემდეგ თავისიანებს ხასიათი ცოტა გამოუკეთა.

ამ ლამაზი გამარჯვებით „მანჩესტერ იუნაიტედი" მყარად დამკვიდრდა მე-3 ადგილზე. მის წინ მხოლოდ „ჩელსი" და „ასტონ ვილა" არიან. პირველმა ძალიან მძიმე ბრძოლაში „სენტ ჯეიმსიზ პარკზე" დაბეჩავებულ „ნიუკასლს" მოუგო რუმინელი მცველის დან პეტრესკუს ერთადერთი გოლის წყალობით, ბირმინგემელები კი სტუმრად გაზას „მიდლსბროს" დაუზავდნენ უგოლო შეხვედრაში და ლიდერობის შანსიც ქარს გაატანეს. მართალია, გრეგორის ბიჭებს იმდენივე ქულა აქვთ, რამდენიც ვილის შეგირდებს, მაგრამ ბურთების შეფარდებით ჩამოუვარდებიან.

კიდევ ერთი საინტერესო მატჩი, სადაც „არსენალმა" „ლივერპულს" უმასპინძლა, ლონდონელთა უპირატესობის მიუხედავად, ნულოვანი ფრით დასრულდა. შედეგად ჩემპიონი ვიცე-ჩემპიონს ამოუდგა უკან, „მერსისაიდელები" კი „უიმბლდონს".

საწყალი „ნოტინგემი"...

**დავით ძოვზირიძე**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ჩელსი | 21 | 10 | 10 | 1 | 32:17 | +15 | 40 | 10 | 6 | 4 | 0 | 15:5 | +10 | 22 | 11 | 4 | 6 | 1 | 17:12 | +5 | 18 |
| 2 | ასტონ ვილა | 21 | 11 | 7 | 3 | 31:20 | +11 | 40 | 10 | 7 | 2 | 1 | 19:12 | +7 | 23 | 11 | 4 | 5 | 2 | 12:8 | +4 | 17 |
| 3 | მანჩესტერი | 21 | 10 | 8 | 3 | 43:24 | +19 | 38 | 12 | 8 | 3 | 1 | 31:13 | +18 | 27 | 9 | 2 | 5 | 2 | 12:11 | +1 | 11 |
| 4 | არსენალი | 21 | 9 | 9 | 3 | 22:11 | +11 | 36 | 11 | 6 | 5 | 0 | 15:4 | +11 | 23 | 10 | 3 | 4 | 3 | 7:7 | 0 | 13 |
| 5 | ლიდსი | 21 | 8 | 9 | 4 | 34:20 | +14 | 33 | 10 | 6 | 3 | 1 | 18:5 | +13 | 21 | 11 | 2 | 6 | 3 | 16:15 | +1 | 12 |
| 6 | უიმბლდონი | 21 | 9 | 6 | 6 | 29:33 | -4 | 33 | 11 | 7 | 3 | 1 | 18:11 | +7 | 24 | 10 | 2 | 3 | 5 | 11:22 | -11 | 9 |
| 7 | ლივერპული | 21 | 9 | 5 | 7 | 36:25 | +11 | 32 | 10 | 5 | 3 | 2 | 21:12 | +9 | 18 | 11 | 4 | 2 | 5 | 15:13 | +2 | 14 |
| 8 | ვესტ ჰემი | 21 | 9 | 5 | 7 | 25:27 | -2 | 32 | 10 | 6 | 3 | 1 | 16:10 | +6 | 21 | 11 | 3 | 2 | 6 | 9:17 | -8 | 11 |
| 9 | მიდლსბრო | 21 | 7 | 10 | 4 | 32:26 | +6 | 31 | 11 | 4 | 6 | 1 | 16:10 | +6 | 18 | 10 | 3 | 4 | 3 | 16:16 | 0 | 13 |
| 10 | ლესტერი | 21 | 7 | 8 | 6 | 23:21 | +2 | 29 | 10 | 5 | 3 | 2 | 15:10 | +5 | 18 | 11 | 2 | 5 | 4 | 8:11 | -3 | 11 |
| 11 | დერბი | 21 | 6 | 10 | 5 | 21:20 | +1 | 28 | 10 | 3 | 5 | 2 | 10:9 | +1 | 14 | 11 | 3 | 5 | 3 | 11:11 | 0 | 14 |
| 12 | ტოტენჰემი | 21 | 7 | 7 | 7 | 28:30 | -2 | 28 | 10 | 5 | 3 | 2 | 19:16 | +3 | 18 | 11 | 2 | 4 | 5 | 9:14 | -5 | 10 |
| 13 | ნიუკასლი | 21 | 6 | 6 | 9 | 24:29 | -5 | 24 | 11 | 5 | 2 | 4 | 14:14 | 0 | 17 | 10 | 1 | 4 | 5 | 10:15 | -5 | 7 |
| 14 | ევერტონი | 21 | 5 | 9 | 7 | 13:21 | -8 | 24 | 11 | 2 | 7 | 2 | 3:5 | -2 | 13 | 10 | 3 | 2 | 5 | 10:16 | -6 | 11 |
| 15 | შეფილდი | 21 | 6 | 5 | 10 | 21:22 | -1 | 23 | 11 | 5 | 3 | 3 | 13:6 | +7 | 18 | 10 | 1 | 2 | 7 | 8:16 | -8 | 5 |
| 16 | ბლექბერნი | 21 | 5 | 6 | 10 | 21:28 | -7 | 21 | 11 | 5 | 2 | 4 | 13:11 | +2 | 17 | 10 | 0 | 4 | 6 | 8:17 | -9 | 4 |
| 17 | ქოვენთრი | 21 | 5 | 5 | 11 | 20:29 | -9 | 20 | 11 | 4 | 4 | 3 | 15:12 | +3 | 16 | 10 | 1 | 1 | 8 | 5:17 | -12 | 4 |
| 18 | საუთჰემპტონი | 21 | 4 | 5 | 12 | 19:39 | -20 | 17 | 11 | 3 | 2 | 6 | 15:21 | -6 | 11 | 10 | 1 | 3 | 6 | 4:18 | -14 | 6 |
| 19 | ჩარლტონი | 21 | 3 | 7 | 11 | 24:34 | -10 | 16 | 9 | 2 | 3 | 4 | 13:10 | +3 | 9 | 11 | 1 | 4 | 7 | 11:24 | -13 | 7 |
| 20 | ნოტინგემი | 21 | 2 | 7 | 12 | 18:40 | -22 | 13 | 10 | 1 | 6 | 3 | 9:12 | -3 | 9 | 11 | 1 | 1 | 9 | 9:28 | -19 | 4 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| დაბლინი (ასტონ ვილა) | 12 |
| ოუენი (ლივერპული) | 12 |
| რიკარდი (მიდლსბრო) | 10 |
| ჰასელბაინკი (ლიდსი) | 10 |
| ძოლა (ჩელსი) | 9 |

### XXII ტური

16 იანვარი

ასტონ ვილა - ევერტონი
ჩარლტონი - ნიუკასლი
ჩელსი - ქოვენთრი
დერბი - ბლექბერნი
ლიდსი - მიდლსბრო
ლესტერი - მანჩესტერი
ლივერპული - საუთჰემპტონი
ნოტინგემი - არსენალი
ტოტენჰემი - უიმბლდონი
ვესტ ჰემი - შეფილდი

## პირველი დივიზიონი

### XXV ტური

**ბირმინგემი 1:0 შეფილდი**

1:0 ფარლონგი (20პ)

**ბოლტონი 0:0 ბრედფორდი**

**ქრიუ 3:1 ბერი**

1:0 ლიტლი (47), 2:0 რივერსი (63), 2:1 ვუდვორდი (79), 3:1 რაიტი (90)

**ჰადერსფილდი 2:0 გრიმსბი**

1:0 სტიუარტი (53), 2:0 ბიჩი (65)

**იფსვიჩი 3:0 პორტსმუთი**

1:0, 2:0 ნეილორი (23, 25), 3:0 დაიერი (31)

**ოქსფორდი 1:3 კრ. პალასი**

0:1 ფოსტერი (59), 1:1 ვინდასი (68), 1:2 მორისონი (78), 1:3 ბრედბერი (80პ)

**ქუინზ პარკი 2:0 ნორვიჩი**

1:0 მიურეი (11), 2:0 პიკოკი (18)

**სვინდონი 1:0 ვულვზი**

1:0 ონუორა (89)

**სტოკპორტი 0:1 ბარნსლი**

0:1 დე ზიუვი (27)

**ტრანმერი 1:0 სანდერლენდი**

1:0 ტეილორი (64)

**უოტფორდი 1:0 ბრისტოლი**

1:0 სმარტი (57)

**ვესტ ბრომვიჩი 3:2 პორტ ვეილი**

1:0 მერფი (5), 1:1 ნეილორი (50), 2:1 ბორტოლაზი (54), 2:2 ნეილორი (56), 3:2 ჰიუზი (75პ)

### XXVI ტური

**ნორვიჩი 1:1 უოტფორდი**

1:0 რობერტსი (54), 1:1 პალმერი (81)

**ვულვზი 1:0 იფსვიჩი**

1:0 მუსკატი (88)

**პორტ ვეილი 0:2 ბოლტონი**

0:1 სელარსი (48), 0:2 ჰოლდსვორსი (75პ)

**ბარნსლი 1:0 ქუინზ პარკი**

1:0 ინეტი (81)

**ბრედფორდი 2:0 ტრანმერი**

1:0 ბლეიკი (27), 2:0 მილსი (61)

**ბერი 2:4 ბირმინგემი**

1:0 ჯაფო (17), 1:1, 1:2 ფარლონგი (32, 56), 1:3 ოკონორი (71), 1:4 ადებოლა (74), 2:4 ჯაფო (85 პ)

**კრ. პალასი 1:1 ვესტ ბრომვიჩი**

1:0 მორისონი (10), 1:1 ჰიუზი (61)

**გრიმსბი 1:0 სტოკპორტი**

1:0 გროუვსი (68)

**პორტსმუთი 2:2 ოქსფორდი**

0:1 ბენგერი (44), 1:1, 2:1 კლარიჯი (47, 68 პ), 2:2 ბენგერი (71)

**შეფილდი 2:1 ჰადერსფილდი**

1:0 გრეი (49 ს.კ.), 1:1 სტიუარტი (67 პ), 2:1 ტვისი (90)

**სანდერლენდი 2:0 ქრიუ**

1:0 დიჩიო (15), 2:0 ბრიჯესი (78)

**ბრისტოლი 3:1 სვინდონი**

1:0 ტორპეი (8), 1:1 ნდა (46), 2:1 ტორპეი (50), 3:1 აკინბიი (75)

### XXVII ტური

**ტრანმერი 1:2 ვულვზი**

0:1 კინი (1), 0:2 გომესი (12), 1:2 სანტოსი (19)

**ბირმინგემი 1:0 პორტვეილი**

1:0 ფარლონგი (25)

**ქრიუ 3:2 ნორვიჩი**

0:1 ლეველინი (10), 0:2 ლ. მარშალი (33), 1:2 სტრიტი (82), 2:2 რივერსი (87), 3:2 სტრიტი (90)

**ჰადერსფილდი 2:2 ბერი**

1:0 ელისონი (32), 1:1 ვესტი (82), 2:1 ჯონსონი (83), 2:2 ჯონროუზი (84)

**იფსვიჩი 0:1 გრიმსბი**

0:1 მენდისაიდი (14)

**ოქსფორდი 0:0 ბრისტოლი**

**ქუინზ პარკი 2:2 სანდერლენდი**

0:1 ფილიპსი (32), 1:1 მედიქსი (43), 2:1 გალენი (51), 2:2 ქუინი (90)

**სტოკპორტი 1:2 ბრედფორდი**

0:1 ბლეიქი (9), 1:1 ეინჯელი (61), 1:2 ბიგრი (72)

**ბოლტონი 3:0 კრ. პალასი**

1:0 ტეილორი (3), 2:0 იოჰანსენი (26), 3:0 იენსენი (33)

**სვინდონი 2:2 შეფილდი**

1:0 ნდა (10), 1:1 სტიუარტი (44), 2:1 ონუორა (47), 2:2 ჰოლდსვორსი (88)

**უოტფორდი 0:0 პორტსმუთი**

**ვესტ ბრომვიჩი 2:0 ბარნსლი**

1:0 მერფი (67), 2:0 ჰიუზი (69)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანდერლენდი | 27 | 16 | 9 | 2 | 57:18 | 57 |
| ბირმინგემი | 27 | 14 | 6 | 7 | 43:26 | 48 |
| იფსვიჩი | 27 | 14 | 6 | 7 | 36:17 | 48 |
| ბრედფორდი | 26 | 14 | 5 | 7 | 46:28 | 47 |
| ბოლტონი | 26 | 12 | 10 | 4 | 46:32 | 46 |
| უოტფორდი | 27 | 12 | 9 | 6 | 44:36 | 45 |
| გრიმსბი | 27 | 13 | 5 | 9 | 32:29 | 44 |
| ჰადერსფილდი | 27 | 12 | 6 | 9 | 40:44 | 42 |
| ვესტ ბრომვიჩი | 27 | 12 | 5 | 10 | 49:43 | 41 |
| ნორვიჩი | 26 | 11 | 8 | 7 | 42:36 | 41 |
| ვულვზი | 27 | 11 | 7 | 9 | 37:28 | 40 |
| შეფილდ იუნ. | 27 | 10 | 8 | 9 | 41:44 | 38 |
| ბარნსლი | 27 | 9 | 9 | 9 | 37:35 | 36 |
| კრ. პალასი | 26 | 9 | 7 | 10 | 37:44 | 34 |
| სვინდონი | 27 | 8 | 7 | 12 | 38:45 | 31 |
| ტრანმერი | 27 | 6 | 12 | 9 | 33:39 | 30 |
| ქუინზ პარკი | 27 | 8 | 6 | 13 | 30:37 | 30 |
| სტოკპორტი | 27 | 6 | 11 | 10 | 31:35 | 29 |
| ბერი | 27 | 7 | 8 | 12 | 25:37 | 29 |
| პორტსმუთი | 27 | 6 | 8 | 13 | 34:44 | 26 |
| ოქსფორდი | 27 | 6 | 7 | 14 | 29:50 | 25 |
| პორტ ვეილი | 27 | 7 | 4 | 16 | 29:51 | 25 |
| ბრისტოლი | 27 | 5 | 9 | 13 | 37:54 | 24 |
| ქრიუ | 27 | 5 | 6 | 16 | 30:54 | 21 |

## ინგლისი

### XIX ტური

**ნიუკასლი 0:3 ლიდსი**

0:1 კიუელი (38), 0:2 ბოუიერი (62), 0:3 ჰასელბაინკი (90)
ნიუკასლი: გივენი, შარვე, ჰოუი, დაბიზასი, ბარტონი (ჰიუზი 51), გეორგიადისი (ძეცბაია 62), ლი, სპიდი, გლასი, შირერი, ფერგიუსონი
ლიდსი: მარტინი, ჰალე, ვეზეროლი, რიბეირო (მაკფეილი 57), ვუდგეიტი, ჰოპკინი, ბოუიერი, ჰაალანდი, ჰარტი, კიუელი (სმიტი 90), ჰასელბაინკი
მსაჯი: უილარდი

**შეფილდი 0:1 ლესტერი**

0:1 კოტი (34)
შეფილდი: სრნიჩეკი, აზერტონი, იონკი, უოქერი, ბუსი, ჰემფრიზი (მორისონი 67), სტეფანოვიჩი, ჰინჩკლიფი, ტომი, რუდი, ალექსანდერსონი (ბრისკო 68)
ლესტერი: კელერი, სინკლერი, უოლში, იზეტი (ტაგარტი 90), ლენონი, ჰესკი, გაპი, ელიოტი, ალსორნი, იმპეი (სევიჯი 82), კოტი
გაფრთხილება: ბუსი, სტეფანოვიჩი, კოტი, ალსორნი
მსაჯი: რიდი

**არსენალი 1:0 ვესტ ჰემი**

1:0 ოვერმარსი (7)
არსენალი: მენინგერი, დიქსონი, ვიეირა, ბოულდი, ვივასი, ანელკა (ვრე 30 (გრიმანდი 76)), ბერხკამპი, ოვერმარსი, კიოუნი, პარლოუ, პეტი
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, პოტსი, კელერი (ლაზარიდისი 64), სინკლერი, ჰართსონი, ლომასი, რაიტი, ფერდინანდი, ლამპარდი, პირსი, ბერკოვიჩი
გაფრთხილება: ვივასი, კელერი, ლაზარიდისი
მსაჯი: ჯონსი

**საუთჰემპტონი 0:2 ჩელსი**

0:1 ფლო (20), 0:2 პოიეტი (48)
საუთჰემპტონი: ჯონსი, ჰილი, კოლეტერი, პალმერი, მონკოუ, ლუნდეკვამი, ლე ტისიე (რიპლი 25 (ბეშემი 45)), ოუკლი (დოდი 81), ოსტენსტადი, ბიტი, კეჩლოული
ჩელსი: დე გუი, ფერერი, დაბერი, ლებეფი, გოლდბეკი, პეტრესკუ, მორისი, პოიეტი (ტერი 73), ბაბაიარო, ფლო (ნიქოლზი 83), ძოლა
გაფრთხილება: კოლეტერი, მორისი, ბაბაიარო
მსაჯი: ელერეი

**უიმბლდონი 2:1 ჩარლტონი**

0:1 რედფირნი (29), 1:1 იუელი (33), 2:1 ჰიუზი (51)
უიმბლდონი: სალივანი, კანინჰემი, პერი, ბლექველი (კიმბლი 46), თეთჩერი, ერლი, გეილი, ერდლი (კორტი 81), ლიბერნი, ჰიუზი, იუელი
ჩარლტონი: ილიჩი, მილსი (პარკერი 83), პაუელი, რედფირნი, რუფუსი, ნიუტონი (იუდსი 73), კინსელა, რობინსონი, ბრაუნი, ს. ჯონსი, ტილერი
გაფრთხილება: თეთჩერი, ჰიუზი, სალივანი, რედფირნი
მსაჯი: ბარკერი

### XX ტური

**ჩელსი 0:0 მანჩესტერი**

ჩელსი: დე გუი, პეტრესკუ, ბაბაიარო, ლებეფი, დაბერი, ლე სო (გოლდბეკი 88), დი მატეო, ფერერი, ფლო, ძოლა, მორისი (დესაი 73)
მანჩესტერი: შმაიხელი, გ. ნევილი, ირვინი, იონსენი, სტამი, ბექემი, ბათი, კოული, გიგზი, კინი, სქოულზი (შერინგემი 60)
გაფრთხილება: დი მატეო, ლებეფი, კოული
მსაჯი: რილი

**ლიდსი 2:2 უიმბლდონი**

1:0 რიბეირო (26), 1:1 ერლი (41), 2:1 ჰოპკინი (57), 2:2 კორტი (83)
ლიდსი: მარტინი, ჰალე, ვუდგეიტი, ვეზეროლი, ჰარტი, ჰაალანდი, ჰოპკინი, ბოუიერი, რიბეირო (მაკფეილი 81), ჰასელბაინკი, კიუელი
უიმბლდონი: სალივანი, კიმბლი (კენედი 63), კანინჰემი, პერი, თეთჩერი, ერდლი, ერლი, იუელი, ჰიუზი, ლიბერნი (კორტი 73), გეილი
გაფრთხილება: კიმბლი, იუელი
მსაჯი: ჯონსი

**ასტონ ვილა 2:1 შეფილდი**

1:0 საუთგეიტი (7), 1:1 კარბონე (8), 2:1 ეჰიოგუ (85)
ასტონ ვილა: ოუქსი, რაიტი, საუთგეიტი, ეჰიოგუ, უოტსონი, ტეილორი (დრეპერი 53), ჯოაკიმი, დაბლინი, ბერი, ჰენდრი, შიმეცა (კოლიმორი 53)
შეფილდი: სრნიჩეკი, აზერტონი, იონკი, უოქერი, კარბონე, ბუსი, სტეფანოვიჩი, ჰინჩკლიფი, ტომი, რუდი (ჰემფრიზი 88), ალექსანდერსონი (ბრისკო 88)
გაფრთხილება: სტეფანოვიჩი, რუდი, უოქერი, ჰინჩკლიფი
გაძევება: სტეფანოვიჩი (21)
მსაჯი: ბარბერი

**ჩარლტონი 0:1 არსენალი**

0:1 ოვერმარსი (53პ)
ჩარლტონი: ილიჩი, მილსი, პაუელი, რედფირნი (პარკერი 80), რუფუსი, იუდსი, ნიუტონი, კინსელა, რობინსონი, კ. ჯონსი (ლისბი 67), ს. ჯონსი
არსენალი: მენინგერი, დიქსონი, ვიეირა, ბოულდი, ვინტერბერნი (ვივასი 29), ბოა მორტე (გრიმანდი 63), ბერხკამპი (ვრე 40), ოვერმარსი, კიოუნი, პარლოუ, პეტი
გაფრთხილება: რობინსონი, კ. ჯონსი, იუდსი, რედფირნი, კინსელა, კიოუნი, ბერხკამპი
გაძევება: ვიეირა (51)
მსაჯი: რენი

**დერბი 2:1 მიდლსბრო**

1:0 სტარიჯი (29), 1:1 ბეკი (77), 2:1 ჰანტი (85)
დერბი: პოომი, კარბონარი, პაუელი, სტარიჯი (ჰარპერი 87), ვანჩოპე, ბოჰინენი (ჰანტი 84), ლაურსენი, პრაიორი, კერსლი, ელიოტი, ერანიო (კოზლუკი 72)
მიდლსბრო: შვარცერი, გორდონი, ვიკერსი, ფესტა, გესქოინი (ფლემინგი 42), დინი, სტამპი (ბეკი 42), თაუნსენდი, რიკარდი, სტოკდეილი (მედისონი 76), კუპერი
გაფრთხილება: თაუნსენდი
გაძევება: ვანჩოპე (44)
მსაჯი: ჰარისი

**ბლექბერნი 2:1 ასტონ ვილა**

1:0 გალაჰერი (44), 1:1 შიმეცა (81), 2:1 შერვუდი (88)
ბლექბერნი: ფილანი, კენა, დევიდსონი, შერვუდი, ეჩოსი (ბრუმსი 45), გალაჰერი (დაფი 74), სატონი (დეივისი 67), უილკოქსი, მაკკინლი, დეილი, გილესპი
ასტონ ვილა: ოუქსი, რაიტი, საუთგეიტი, ეჰიოგუ, უოტსონი, ტეილორი (კოლიმორი 69), ტომპსონი, ჯოაკიმი (გრეისონი 83), დაბლინი, ჰენდრი (რეჩელი 57), შიმეცა
გაფრთხილება: დევიდსონი, ბრუმსი, უილკოქსი, დეივისი, შიმეცა
გაძევება: ოუქსი (56)
მსაჯი: გალაჰერი

**ქოვენთრი 1:1 ტოტენჰემი**

0:1 კემპბელი (17), 1:1 ალოიზი (81)
ქოვენთრი: ოგრიზოვიჩი, ნილსონი, ედვორსი (ალოიზი 64), უილიამსი (ბრინი 61), შოუ, მაკალისტერი, ბოტენგი, სოლტვედტი, ფროგატი, ჰაკერბი (შილტონი 77), ვილანი
ტოტენჰემი: უოქერი, კარი, კემპბელი, იანგი, ნილსენი, ფოქსი, ანდერტონი, ჟინოლა (კლემენსი 81), სინტონი, ფერდინანდი (ივერსენი 88), არმსტრონგი
გაფრთხილება: ბოტენგი, ფროგატი, სინტონი
მსაჯი: ბერგი

**ევერტონი 0:0 დერბი**

ევერტონი: მირე, ბოლი, დაკურტი, ანსუორსი, კოლინზი (ბრეჩი 85), ჰაჩისონი, მატერაცი, ბაკაიოკო, დანი, ბილიჩი, კადამარტერი (ბარმბი 70)
დერბი: პოომი, კარბონარი, პაუელი, ვანჩოპე, დელაპი (ჰარპერი 45), ლაურსენი (ჰანტი 76), პრაიორი, კერსლი, ელიოტი, ერანიო, კოზლუკი
გაფრთხილება: ანსუორსი, მირე, მატერაცი, ელიოტი, კერსლი, დელაპი
მსაჯი: ლოჯი

**მანჩესტერი 3:0 ნოტინგემი**

1:0, 2:0 იონსენი (28, 59), 3:0 გიგზი (62)
მანჩესტერი: შმაიხელი, გ. ნევილი, ირვინი, ბერგი, იონსენი, ბექემი, ბათი, შერინგემი, გიგზი (ბლომკვისტი 75), კინი (გრინინგი 67), სქოულზი (სოლსკიაერი 63)
ნოტინგემი: ბიზანტი, ლუი-ჟანი, როჯერსი, ქუეში, ჩეტლი (დოიგი 68), სტოუნი (ჰოჯესი 77), შიპერლი, ჯონსონი, ბარტ-უილიამსი (ბონალაირი 53), ფრიდმენი, არმსტრონგი
გაფრთხილება: ნევილი, როჯერსი, ქუეში, ჩეტლი
მსაჯი: ვინტერი

**მიდლსბრო 1:3 ლივერპული**

0:1 კარაგერი (17), 1:1 დინი (32), 1:2 რედნაპი (35), 1:3 ჰეგემი (88)
მიდლსბრო: შვარცერი, გორდონი, ვიკერსი, ფესტა, პალისტერი (ფლემინგი 46), გესქოინი, დინი, მედისონი (სტამპი 72), თაუნსენდი (ბეკი 79), რიკარდი, კუპერი
ლივერპული: ჯეიმსი, სტონტონი, ბები, ფაულერი (რიდლე 60), ოუენი (მაკმანამანი 76), რედნაპი (ჰარკნესი 89), ჰეგემი, ბერგერი, ინსი, ბიორნებიუ, კარაგერი
გაფრთხილება: გესქოინი, პალისტერი, ფესტა, კუპერი, ბები, ბიორნებიუ, რიდლე
მსაჯი: პოლი

**ლივერპული 4:2 ნიუკასლი**

0:1 სოლანო (29), 0:2 ანდერსონი (56), 1:2 ოუენი (67), 2:2 რიდლე (71), 3:2 ოუენი (80), 4:2 რიდლე (84)
ლივერპული: ჯეიმსი, სტონტონი, ბები (მაკატირი 59), მაკმანამანი (ჟერარდი 25 (ტომპსონი 46)), ოუენი, რედნაპი, რიდლე, ჰეგემი, ბერგერი, ბიორნებიუ, კარაგერი
ნიუკასლი: გივენი, პირსი, ჰოუი, შირერი, სპიდი, ჰამანი, შარვე, გლასი (გეორგიადისი 67), ფერგიუსონი (ანდერსონი 50), სოლანო (დაბიზასი 74), ჰიუზი
გაფრთხილება: ჰამანი, შირერი
გაძევება: ჰამანი (30)
მსაჯი: ლოჯი

**ნოტინგემი 1:1 საუთჰემპტონი**

0:1 კეჩლოული (48), 1:1 ჩეტლი (54პ)
ნოტინგემი: ბიზანტი, როჯერსი, ჩეტლი, ჰილდე, სტოუნი, ჯემილი, შიპერლი, ჯონსონი, ბარტ-უილიამსი, ფრიდმანი (ჰერვუდი 76), ბონალაირი
საუთჰემპტონი: ჯონსი, ჰილი, დოდი, ოუკლი, პალმერი, მონკოუ, კეჩლოული, კოლეტერი, ბიტი, ოსტენსტადი, ლუნდეკვამი
გაფრთხილება: ფრიდმანი, სტოუნი, ჯონსი, პალმერი, კეჩლოული
მსაჯი: რიდი

**ტოტენჰემი 4:1 ევერტონი**

1:0 ფერდინანდი (24), 1:1 ბაკაიოკო (31), 2:1, 3:1, 4:1 არმსტრონგი (63, 76, 81)
ტოტენჰემი: უოქერი, კარი, ნილსენი (კლემენსი 46), ფოქსი, ანდერტონი, ფერდინანდი, არმსტრონგი (ივერსენი 89), ჟინოლა, სინტონი, კემპბელი, იანგი
ევერტონი: მირე, ბოლი, დაკურტი, ანსუორსი, კოლინზი (ოსტერი 76), ბარმბი, ჰაჩისონი, შორტი (კლილენდი 7), ბაკაიოკო (კადამარტერი 33), დანი, ბილიჩი
გაფრთხილება: ფერდინანდი, კადამარტერი, ჰაჩისონი
მსაჯი: პოლი

**ვესტ ჰემი 2:0 ქოვენთრი**

1:0 რაიტი (7), 2:0 ჰართსონი (68)
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, ფერდინანდი, პირსი, ლომასი, დიქსი, ლაზარიდისი, ლამპარდი, სინკლერი, ბერკოვიჩი (პოტსი (80), რაიტი (ომოიომნი 83), ჰართსონი
ქოვენთრი: ოგრიზოვიჩი, ნილსონი, ედვორსი (ტელფერი 79), შოუ, ბრინი, ბოტენგი, სოლტვედტი, მაკალისტერი, ალოიზი (ჰაკერბი 57), ვილანი, ფროგატი
მსაჯი: დარკინი

**ლესტერი 1:1 ბლექბერნი**

0:1 გალაჰერი (38), 1:1 უოლში (44)
ლესტერი: კელერი, სინკლერი, ალსორნი, ელიოტი, უოლში, იზეტი, ლენონი, სევიჯი (ზაგორაკისი 7 (მარშალი 73)), გაპი, კოტი, ჰესკი
ბლექბერნი: ფილანი, კენა, დევიდსონი, შერვუდი, პიკოკი, გალაჰერი, დეივისი, უილკოქსი, მაკკინლი, გილესპი, დეილი (ბრუმსი 19)
გაფრთხილება: ზაგორაკისი, ელიოტი, პიკოკი
მსაჯი: უილკი

# იოზეფ ბლატერის ახალი იდეების გამო

### ასე დაიწყო

ჩვენში ბედობის მეორე დღეს რომ იტყვიან, ანუ 3 იანვარს, შვეიცარიულ საკვირაო გაზეთ „სონტაგს ბლიკში" გამოქვეყნდა ფეხბურთის მსოფლიო ფედერაციისა პრეზიდენტის ზეპ ბლატერის ინტერვიუ.

„მე მინდა მსოფლიოს ჩემპიონატები ორ წელიწადში ერთხელ ჩავატარო. აი, მაშინ დაიკავებენ სხვადასხვა ქვეყნის ნაკრები გუნდები სარეიტინგო ფურცლებზე შესაფერის ადგილს. დევიზი კი ასეთი მაქვს: გვინდა ეროვნული ნაკრებები, თუ საკლუბო ფეხბურთს უნდა ვუცქიროთ?" — ამბობდა ინტერვიუში ბლატერი.

პრეზიდენტმა უფრო დაწვრილებითაც თქვა, კონტინენტების და რეგიონების პირველობებს (მაგალითად ევროპის ჩემპიონატს) ყოველ ლუწ წელიწადს გავმართავ, მსოფლიოს ჩემპიონატებს კი მომდევნო წელს ჩავატარებ და შესარჩევი შეჯიბრებაც აღარ დამჭირდება. კონტინენტების საუკეთესო გუნდები ავტომატურად მსოფლიოს პირველობაზეც დაიშვებიანო.

„დღევანდელი, ოთხწლიანი ციკლი მოძველდა. იგი 1930-იანი წლებიდან მოდის, როდესაც გუნდები გემებით მოგზაურობდნენ" — დასძინა ბლატერმა.

### მათი კომენტარები

ჩვენებური შობა დღისთვის შვეიცარიულ გაზეთებში მრავლად დაგროვებულიყო ბლატერის განცხადება — განზრახვის კომენტარი. ერთი კომენტატორი ამტკიცებდა, რომ პრეზიდენტის იდეები მდიდარ ევროპულ კლუბებს ფიფასა და უეფასგან გამოყოფასა და ნანატრი სუპერლიგის დაარსებისკენ უბიძგებსო.

„უმაღლესი რანგის მებრძოლი, კარგი და ცუდი იდეებით აღსავსე ადამიანი, ზეპ ბალტერი უამრავი პოლიტიკოსის მსგავსად ბევრს ლაპარაკობს, თან ისე, რომ წინასწარ არ ფიქრობს" — წერდა ცნობილი სპორტული ანალიტიკოსი ერიკ უოლტერი გაზეთ „ტრიბუნ დე ჟენევში".

მეორე მხრივო, განაგრძობდა უოლტერი, ბლატერის ორწლიანი ციკლი იმას ნიშნავს, რომ ეროვნული გუნდების ფეხბურთელებმა ყოველწლიურად ხუთი-ექვსი კვირით უნდა მიატოვონ თავიანთი კლუბები, რაც არარეალურია და თვითმკვლელობის ტოლფასიო.

„დაიწყება გაუთავებელი ბრძოლა ნაკრები გუნდებისა და კლუბების ხელმძღვანელებს, აგრეთვე ექიმებს შორის და ეს ბრძოლა ყველა ქვეყანას მოედება" — წერდა უოლტერი.

იმავე გაზეთში ანალიტიკოსის სიტყვებს მხარს უბამდა კორესპონდენტი ფრედ ჰირცელი. იგი წერდა, რომ კლუბები დაიწყებენ ფეხბურთელების დაკავებას, ფედერაციები კი მათ შეკრებებზე გამოშვებას მოითხოვენ. შემდეგ კლუბები თავისას გაიტანენ, ფეხბურთელებს დაიტოვებენ, რისთვისაც ფიფა მათ დასჯის, დისკვალიფიკაციას გამოუტანს და ისინიც განზე გადგებიან ანუ სუპერლიგას ჩამოაყალიბებენ.

გაზეთი „ლე ტემპსი" წერდა, რომ ბლატერისა და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის მოლაპარაკების თანახმად, მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატებს და ოლიმპიურ თამაშებს ერთმანეთს აცილებენ, ესე იგი, საფეხბურთო ჩემპიონატები მძლეოსნობის ჩემპიონატებთან ერთად კენტ წლებში გაიმართება, ოლიმპიური თამაშები კი ლუწ წლებში მოეწობა.

ციურიხში გამომავალი, გერმანულენოვანი „ნიუ ციურიხერ ცაიტუნგის" აზრით ბლატერისა და სამარანჩის ეს შეხვედრა დიპლომატიური ხელოვნების ნიმუში გახლდათ, რადგან მსოფლიოს უდიდეს სპორტულ იმპერიათა თავკაცებმა თავიდან მოსალოდნელი დაპირისპირება აირიდეს.

### ბლატერი თავისაზე დადგა

პრეზიდენტმა ისევ „ბლიკს" გაანდო თავისი აზრები.

„ეჭვიც არ მეპარება, რომ ჩემს გეგმას ხორცს შევასხამ. 2000 წელს, ფიფას კონგრესზე რაღაც რადიკალურსა და განსაკუთრებულს უნდა ჩაეყაროს საფუძველი" — განაცხადა ბლატერმა.

შემდეგ, გაზეთ „ლე მატინში" მან უფრო ზუსტადაც ისაუბრა. იგი ვარაუდობს, რომ ორწლიანი ციკლი 2008 წლიდან დაიწყება, ხოლო 2004 წელს, ფიფას დაარსების 100 წლისთავზე, გაიმართება მსოფლიოს საიუბილეო პირველობა, რომელიც ოფიციალურად დიდი ტურნირის სტატუსს მიიღებს და მასში 32-ის ნაცვლად 24 გუნდი გამოვა.

„მე არ ვთამაშობ, ამ საკითხთან ხუმრობა არ შეიძლება. ჩვენ ეროვნული გუნდები უნდა გადავარჩინოთ" — დასძინა პრეზიდენტმა.

### მაგრამ იუჰანსონიც პრეზიდენტია

„სისულელეა" — თქვა ბლატერის დაჟინებაზე უეფას პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა. მისი ინტერვიუ გერმანულ „შპიგელში" გამოქვეყნდა.

„ჩვენ მსოფლიოს უდიდეს შეჯიბრებას ფასი არ უნდა დავუკარგოთ, თორემ მივიღებთ ჰოკეის ჩემპიონატის მაგვარ სანახაობას, რომელსაც ყოველწლიურად არავინ უყურებს. ასეთი სიხარბე დაუშვებელია" — განაცხადა მან და დასძინა, რომ ორწლიანი ციკლი საქმეს ისე არევს, რომ ველარავინ შეძლებს ნამდვილი A ნაკრების გაყვანას შეჯიბრებაზე.

„კიდევ" — განაცხადა იუჰანსონმა — „შესაძლოა ისე მოხდეს, რომ მსოფლიოს ყოველ მეორე ჩემპიონატში ევროპულმა გუნდებმა მონაწილეობა ვერ მიიღონ. ხომ წარმოგიდგენიათ, რა საშინელება იქნება!"

აქ იუჰანსონმა ის წლები იგულისხმა, როდესაც ევროპის ჩემპიონატები უნდა გაიმართოს, ანუ იგი ბლატერის ნებაზე მათ გადატანა-გადმოტანას არ აპირებს.

„მე უნდა დავიცვა მათი ინტერესი, ვინც თანამდებობაზე ამირჩია. ისინი ევროპელები არიან" — დააგვირგვინა მან.

და კიდევ, „პრეზიდენტი ვალდებულია უმრავლესობის აზრს დაემორჩილოს. ის არ უნდა იყოს დიქტატორი."

### ჩვენი კომენტარი

შობა-ახალი წელი იმითაა კარგი, რომ წელიწადში ერთხელ მოდის. თვეში ერთხელ მას ფასი დაეკარგებოდა. აღარც მილოცვას და „მრავალს დაესწარის" ექნებოდა ეშხი და საერთოდ, ყოველდღე გოზინაყი, საცივი და გოჭის ხირცი მტერმა ჭამოს.

მსოფლიოს ჩემპიონატიც ასეა, თავს რომ მოგანატრებს, იმითაა კარგი და ამიტომაც მისი ორ წელიწადში ერთხელ ჩატარება, ალბათ, არ უნდა იყოს უპრიანი. განა საკლუბო ტურნირების კომერციულმა სიგიჟემ არ მოკლა ისეთი ლამაზი შეჯიბრება, როგორიც თასების მფლობელთა თასის გათამაშება გახლდათ? მსოფლიოს ჩემპიონატის გახშირება-გაბერვა ევროპისა და ლათინური ამერიკის პირველობებს თუ არა, ეროვნულ ჩემპიონატებს უთუოდ მოკლავს. და თუ ეროვნული ჩემპიონატები მოკვდა (თუნდაც დაკნინდა), ეროვნულ ნაკრებებზე ზრუნვა სულ ლიტონ სიტყვებად დარჩება.

ან განა თავად ფეხბურთს არ მიადგება ჩრდილი? ყოველდღე კაცმა შეიძლება „ასპირინ უპსას" რეკლამას უცქიროს, ფეხბურთის ცქერა კი გამორიცხულია. ფეხბურთის ცქერა ისეთი რამაა, კაცი ემოციისგან რომ დაიცლები, ერთი ხანი უნდა შეჩერდე, ისევ დაიმუხტო და ისე წახვიდე სტადიონზე.

მართლა არსებობს იმის საშიშროებაც, რომ საკლუბო და სანაკრებო ფეხბურთს შორის დიდი ომი გაჩაღდება. ომი ხომ დღესაც მიმდინარეობს და მისი გამწვავება აღარ უნდა იყოს საჭირო. ნაკრებებიცა და კლუბებიც ყოველდღე თუ ათამაშეს, დაახლოებით ბრაზილიურ სურათს მივიღებთ, იქაურ გუნდებს დღეში ორი თამაში რომ უწევთ (ერთი ამ შეჯიბრების, მეორე იმის) და ერთგან ძირითადი შემადგენლობა რომ მიდის, მეორეგან კი სათადარიგო.

გასაგებია, რომ ფიფას პრეზიდენტი შემოსავალზე ზრუნავს, მაგრამ რაღაც ზღვრის შემდეგ საქმის გაფუჭების საშიშროება არსებობს. ბუშტი გაბერილი ვარგა, მაგრამ თუ ვერ მოზომავ აუცილებლად გასკდება.

**მიხეილ სურგულაძე**


REUTERS ფოტოქრონიკა

სამარანჩი და ბლატერი ერთმანეთს გაურიგდნენ

## იტალია

# ნაახალწლევს

### XV ტური

**ლაციო 2:0 ფიორენტინა**

1:0 ვიერი (65), 2:0 მიხაილოვიჩი (90)
ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, ნესტა, მიხაილოვიჩი, პანკარო, სტანკოვიჩი, მანჩინი (ვენტურინი 74), ალმეიდა, კონსეისაო (გოტარდი 81), სალასი, ვიერი (კოუტუ 90)
ფიორენტინა: ტოლდო, პადალინო, ფალკონე (ბეტარინი 81), რეპკა, ტორიჩელი, ოლივეირა, კოისი, რუი კოშტა, ტაროცი (რობიატი 70), ბატისტუტა, ედმუნდო
გაფრთხილება: მიხაილოვიჩი, ტორიჩელი, კონსეისაო, სტანკოვიჩი
გაძევება: პადალინო (44)
მსაჯი: ბაცოლი

**ინტერი 6:2 ვენეცია**

1:0 რონალდო (3 პ), 1:1 მანიერო (19), 2:1 რ. ბაჯო (24), 3:1, 4:1, 5:1 სამორანო (28, 40, 47), 6:1 რონალდო (72), 6:2 მანიერო (90)
ინტერი: პალიუკა, კოლონეზე (ვესტი 61), სიმიჩი, გალანტე, ძანეტი (კოე 56), ვინტერი, სიმეონე, მილანეზე, რ. ბაჯო, სამორანო (პირლო 70), რონალდო
ვენეცია: ტაიბი, ძირონელი (მარანგონი 75), ლუპი, ბრიოსკი, ბალარინი, ვალტოლინა, იაკინი (ვოლპი 59), მიჩელი, პედონე, აპინფული (ბრეშიანი 64), მანიერო
მსაჯი: ბორიელო

**იუვენტუსი 1:1 ბარი**

1:0 დავიდსი (48), 1:1 ანდერსონი (76 პ)
იუვენტუსი: პერუცი, ბირინდელი, ფერარა, ტუდორი, დი ლივიო, კონტე (ბლანშარი 82), დავიდსი, პესოტო (ტაკინარდი 78), ზიდანი, ინძაგი, ფონსეკა (ამორუზო 61)
ბარი: მანჩინი, დე როსა, გარსია, ნექროიზი, დე აშენტისი (ინოჩენტი 58), ოლივარესი (ოსმანოვსკი 59), ბრესანი, ანდერსონი, მარკოლინი (კნუდსენი 68), მასინგა, ძამბროტა
გაფრთხილება: მანჩინი, პერუცი, ბრესანი
მსაჯი: ფარინა

**პიაჩენცა 3:6 პარმა**

0:1 კრისტალინი (13 ს.კ.), 1:1 ინძაგი (17), 1:2 ბალბო (51), 2:2 კრისტალინი (56), 2:3, 2:4 ბალბო (63, 65), 2:5 ფუზერი (67), 3:5 ინძაგი (75), 3:6 კრესპო (83)
პიაჩენცა: ფიორი, ლუკარელი, დელიკარი (დიონიჯი 70), ვერხოვოდი, ლამაში (კაინი 71), პიოვანი (ბუზო 71), კრისტალინი, მაცოლა, სტროპა, ინძაგი, რასტელი
პარმა: ბუფონი, ტურამი, სენსინი, კანავარო, ფუზერი, დ. ბაჯო (მუსი 67), ბოგოსიანი (ფიორე 73), ბენარივო, ერონი, კრესპო, ბალბო (ორლანდინი 78)
გაფრთხილება: ტურამი, მაცოლა, სენსინი, პიოვანი, ბუფონი, ინძაგი
მსაჯი: ტრეოსი

**ემპოლი 1:1 მილანი**

1:0 დი ნაპოლი (58), 1:1 ციგე (83)
ემპოლი: სერენი, ფუსკო, ბალდინი, ბიანკონი, ტონეტო, კრიბარი, პანე, მორონე, მარტუშელო, კარპარელი (კიაპარა 72), დი ნაპოლი (სალაიეტა 72, ბონომი 90)
მილანი: როსი, სალა, კოსტაკურტა, ნგოტი, ხულიელმინპიეტრო (დონადონი 72), ალბერტინი, ამბროზინი, ციგე, ბობანი (მორფეო 68), ბირჰოფი, განცი (ბა 87)
გაფრთხილება: ფუსკო, ნგოტი, მარტუშელო, კრიბარი, ბალდინი, ბირჰოფი
გაძევება: ციგე (83)
მსაჯი: კოლინა

**სამპდორია 1:1 ბოლონია**

0:1 სინიორი (13), 1:1 პალმიერი (63)
სამპდორია: ფერონი, კასტელინი, ნავა (ჰუგო 36), გრანდონი, ლასისი, ფრანჩესკეტი, ბალერი (სგრო 83), პეკია, ლაილი (ლი შარპი 61), მონტელა, პალმიერი
ბოლონია: ანტონიოლი, რინალდი, მანგონე, პაგანინი, ტარანტინო, ინგესონი, კაპიოლი (მაგონი 83), მაროკი, მაინი, ანდერსონი, სინიორი (ფონტოლანი 69)
გაფრთხილება: რინალდი, ფრანჩესკეტი
გაძევება: პაგანინი (63)
მსაჯი: ტომბოლინი

**პერუჯა 1:3 უდინეზე**

0:1 პიერინი (21), 0:2 მატრეკანო (39 ს.კ.), 1:2 ნაკატა (67), 1:3 სოსა (90)
პერუჯა: პაგოტო, ზე მარია (კამპოლო 87), რიპა, მატრეკანო, სოლიანო, როკო (მასპერო 28), ოლივე, ტედესკო, რაპაიჩი, ნაკატა, მელი (ბუჩი 46)
უდინეზე: ტურჩი, გარგო, კალორი, პიერინი (ბერტოტო 71), ჟენო, ჯანიკედა, ვალემი, იორგენსენი (ბაკინი 83), ლოკატელი, ამოროზო (პოჯი 75), სოსა
გაფრთხილება: ჯანიკედა, მატრეკანო, ლოკატელი, ბერტოტო, იორგენსენი
მსაჯი: ჩეკარინი

**კალიარი 4:3 რომა**

1:0 მუცი (2), 1:1, 1:2 დელვეკიო (27, 41), 2:2 ონილი (45), 3:2 მუცი (62), 3:3 გაუტიერი (79), 4:3 ონილი (89)
კალიარი: სკარპი, ზებინა, ძანოკელი, ცენტურიონი, ვაზარი (კალონი 90), კავეცი, ძანეტი, ბერეტა (აბეიჯონი 79), მაკელარი, ონილი, მუცი (მაცეო 87)
რომა: კიმენტი, კანდელა, პეტრუცი, ძაგო, დალ მორო (კუადრინი 78), ტომაზი, დი ბიაჯო, ალენიჩევი (ტომიჩი 63), პაულუ სერჟიო (გაუტიერი 63), დელვეკიო, ტოტი
გაფრთხილება: ბერეტა, კანდელა, ძანეტი, მაკელარი
მსაჯი: ბრასკი

**ვიჩენცა 1:0 სალერნიტანა**

1:0 ლუიზო (31)
ვიჩენცა: ბრივიო, დილიზო, დიკარა, სტოვინი, ბეგეტო (მეცანოტი 87), სკენარდი, დი კარლო (ვივიანი 30), მენდესი, ამბროზეტი, პალადინი (დაბო 45), ლუიზო
სალერნიტანა: ბალი, ბოლიჩი, ფრეზი, მონაკო, ტოსტო, ამეტრანო (ჯანპაულო 73), გატუზო, ბრედა, ტედესკო (ვანუჩი 49), დი ვაიო, ბელმონტე (დი მიკელე 54)
გაფრთხილება: ამბროზეტი, პალადინი, ტოსტო, ტედესკო, სტოვინი

საქართველოში მართლმადიდებლური შობის საღამო იდგა, იტალიაში კი ფეხბურთს თამაშობდნენ, რადგან დღესასწაული კარგა ხნის მოლეული ჰქონდათ. მილანში, „სან სიროზე“ ალბერტო ძაკერონის ნამდვილად არ ეზეიმებოდა. იგი ცოფებს ყრიდა, რადგან ხედავდა, რომ ამაოდ დაშვრა, ამაოდ გაურჩია თავის ფეხბურთელებს „იუვენტუსის“ თამაშის ყაიდა დაწვრილებით. მან ერთი დაავალა, ისინი მეორეს აკეთებდნენ.

„შეუძლებელია ფეხბურთის ასე თამაში. მე ისეთ გუნდს ვაშენებ, რომელიც შეუტევს. ფეხბურთელებს გონებაში გოლის გატანა უნდა უტრიალებდეთ. ერთს რომ შეაგდებენ, მეორეს შესაგდებად უნდა იბრძოლონ, ხოლო მეორეს რომ შეაგდებენ, მესამეს უნდა ეშურებოდნენ, ესენი კი მეორე ტაიმში დაცვაში ჩადგნენ. არადა, შესვენებაზე გავაფრთხილე, არაფერი შეცვალოთ, ისევე განაგრძეთ, როგორც პირველ ნახევარში, როდესაც „იუვენტუსი“ გაანადგურეთ მეთქი. გავცოფდი, გონება დამებინდა“ — თქვა ძაკერონიმ მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე.

შემდეგ საქართველოში მართლმადიდებლური შობა დადგა, გათენდა შობის მეორე და მესამე დღეც იტალიაში კი ძაკერონი ფეხბურთელებს მოძღვრავდა.

„ყველამ იცის, მე თუ ჩემს მოთამაშეს საჯაროდ ვახსენებ, ესე იგი ის ქების ღირსია. ცუდს არასდროს არავისზე ვამბობ, მაგრამ ეტყობა ხშირად ჩუმად ყოფნა ჯობს“ — ამბობდა მწვრთნელი და გუნდს საკვირაოდ, ემპოლიში სათამაშოდ ამზადებდა.

ემპოლიში მილანელები უტევდნენ, მაგრამ ანგარიშის გასათანაბრებლად. ბოლოს, შეხვედრის დამთავრებამდე შვიდი წუთით ადრე გერმანელმა კრისტიან ციგემ მიაღწია მიზანს, ანგარიში გაქვითა, თუმცა ერთი წუთის შემდეგ წესი დაარღვია და მოედნიდან გააძევეს.

ამრიგად ძაკერონის გუნდმა 1999 წელს ჩატარებულ ორ ტურში, ორი 1:1 ითამაშა. ასეთსავე შედეგს დასჯერდა „იუვენტუსიც“. „მილანთან“ ვაჟკაცურად ნათამაშევი ფრის შემდეგ ტურინელებმა შინ, „ბარის“ ვერ მოუგეს — 1:1.

იმ დღეს, „დელე ალპიზე“ „იუვე“ „ბარისთან“ რომ წვალობდა, მისმა საპატიო პრეზიდენტმა ჯოვანი ანიელიმ ჭორებით თავგაბეზრებულ ჟურნალისტებს ჯიქურ კითხვაზე ასე უპასუხა: „ანჩელოტი“? რატომაც არა, ვგონებ ჩვენი ახალი მწვრთნელი სწორედ ანჩელოტი იქნება“.

როგორც ჩანს, ყველაფერი საბოლოოდ გარკვეულა. სეზონი რომ ჩამთავრდება, მარჩელო ლიპი დატოვებს „იუვენტუსს“, რომელსაც წარსულში ცნობილი ფეხბურთელი კარლო ანჩელოტი ჩაუდგება სათავეში. როგორც მწვრთნელმა, ანჩელოტიმ „პარმაში“ გაითქვა სახელი, თუმცა იგი რომ არ ქუხს, ფაქტია. ლიპი კი მართალია ქუხს და ჭექს, მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული, მათ შორის „მაესტროს“ ტურინში მუშაობასაც. ლიპი, რამდენადაც ცნობილია, მომავალი სეზონიდან „ინტერში“ გადადის.

„ინტერმა“ საშობაო არდადეგების შემდეგ პარმაში წააგო. რობერტო ბაჯომ იმ შეხვედრაში პენალტი ვერ გაიტანა და მერე ასე განაცხადა:

„ძლიერად დარტყმა ჩავიფიქრე, მაგრამ მეგონა მას უფრო ზუსტად შევასრულებდი. ბოდიშს ვუხდი თანაგუნდელებსა და გულშემატკივრებს. რომ გამეტანა ქულას მოვიპოვებდით“.

პარმაში დამარცხებამ „ინტერი“ ვერ გატეხა. კვირას, „სან სიროზე“ გატეხილი და დანარცხებული უფრო „ვენეციას“ ეთქმოდა. ამჯერად ბაჯომ პენალტი აღარ დაარტყა, თამაშიდან შეაგდო. პენალტით (ერთხელაც ისე) რონალდომ მიაღწია მიზანს, ხოლო ივან სამორანომ სამჯერ დალაშქრა სტუმართა კარი. „ინტერის“ ექვს გოლს ვენეციელებმა ორით უპასუხეს.

„პარმას“ „ინტერთან“ მოგებამ ხეირი დაბედა — კვირას პიაჩენცაში 6:3 გაიმარჯვა. ვეტერანმა აბელ ბალბომ დაამტკიცა, რომ ბებერი ხარისა რქანიც ხნავენ და მეორე ტაიმში ჰეთ-თრიკი შეასრულა.

„ფიორენტინას“ საქმე კი ასეა, ნაახალწლევს მოიგო, კვირას — წააგო. ნაახალწლევს ფლორენციას გენუიდან „სამპდორია“ ესტუმრა. 27-ე წუთზე მასპინძელთა მრისხანე თავდამსხმელმა გაბრიელ ბატისტუტამ პორტუგალიელ თანაგუნდელს რუი კოშტას პასი მიაწოდა, მან კი დაბალი და ზუსტი დარტყმით შეხვედრის ერთადერთი გოლი გაიტანა.

„დღეს დიდი „ფიორენტინა“ ვიხილეთ. თუმცა მეორე ტაიმში ოდნავ დავაკელით გულისყური და „სამპდორიამ“ ამით კინაღამ ისარგებლა. ეტყობა არდადეგები მაინც ადუნებს ხალხის ყურადღებას“ — თქვა იმ დღეს ფლორენციელთა დიდმა მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ.

კვირას კი ტრაპატონიმ იხილა, რომ არსებობს აგრეთვე დიდი „ლაციო“ და დიდი კრისტიან ვიერი, რომელიც ოთხი თვის მანძილზე ტრავმას მკურნალობდა ხოლო ნაახალწლევს მოედანს დაუბრუნდა და ორივე ტურში ტაბლო თავისი გვარით დაამშვენა.

„ფიორენტინას“ კარში მეორე გოლი იუგოსლაველმა სინიშა მიხაილოვიჩმა გაიტანა. საოცარია, ამ კაცს სერია A-ში 18 გოლი აქვს გატანილი, რომელთაგან 17 საჯარიმო დარტყმით შეაგდო.

**ბაპუნა ძედია**



ლაციო — ფიორენტინა 2:0. ფლორენციელი ედმუნდი რომაელების ნესტასა და მიხაილოვიჩის (11) გარემოცვაში

REUTERS ფოტოდან

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | პარმა | 16 | 9 | 5 | 2 | 30:12 | +18 | 32 | 8 | 6 | 2 | 0 | 15:2 | +12 | 20 | 8 | 3 | 3 | 2 | 15:10 | +5 | 12 |
| 2 | ფიორენტინა | 16 | 10 | 2 | 4 | 27:16 | +11 | 32 | 8 | 8 | 0 | 0 | 17:2 | +15 | 24 | 8 | 2 | 2 | 4 | 10:14 | -4 | 8 |
| 3 | ლაციო | 16 | 8 | 5 | 3 | 30:18 | +12 | 29 | 8 | 5 | 3 | 0 | 20:8 | +12 | 18 | 8 | 3 | 2 | 3 | 10:10 | 0 | 11 |
| 4 | ინტერი | 16 | 8 | 3 | 5 | 32:23 | +9 | 27 | 8 | 6 | 0 | 2 | 23:12 | +11 | 18 | 8 | 2 | 3 | 3 | 9:11 | -2 | 9 |
| 5 | მილანი | 16 | 7 | 6 | 3 | 23:18 | +5 | 27 | 8 | 5 | 2 | 1 | 15:8 | +7 | 17 | 8 | 2 | 4 | 2 | 8:10 | -2 | 10 |
| 6 | რომა | 16 | 6 | 6 | 4 | 33:24 | +9 | 24 | 8 | 6 | 2 | 0 | 21:6 | +15 | 20 | 8 | 0 | 4 | 4 | 12:18 | -6 | 4 |
| 7 | იუვენტუსი | 16 | 6 | 5 | 5 | 17:16 | +1 | 23 | 8 | 5 | 2 | 1 | 9:2 | +7 | 17 | 8 | 1 | 3 | 4 | 8:14 | -6 | 6 |
| 8 | ბოლონია | 16 | 5 | 7 | 4 | 18:13 | +5 | 22 | 8 | 2 | 4 | 2 | 10:8 | +2 | 10 | 8 | 3 | 3 | 2 | 8:5 | +3 | 12 |
| 9 | ბარი | 16 | 4 | 10 | 2 | 19:17 | +2 | 22 | 8 | 3 | 5 | 0 | 7:4 | +3 | 14 | 8 | 1 | 5 | 2 | 12:13 | -1 | 8 |
| 10 | უდინეზე | 16 | 6 | 4 | 6 | 21:26 | -5 | 22 | 8 | 4 | 3 | 1 | 12:8 | +4 | 15 | 8 | 2 | 1 | 5 | 9:18 | -9 | 7 |
| 11 | კალიარი | 16 | 6 | 2 | 8 | 26:24 | +2 | 20 | 9 | 5 | 2 | 2 | 19:12 | +7 | 17 | 7 | 1 | 0 | 6 | 7:12 | -5 | 3 |
| 12 | პერუჯა | 16 | 5 | 4 | 7 | 22:29 | -7 | 19 | 9 | 5 | 2 | 2 | 18:14 | +4 | 17 | 7 | 0 | 2 | 5 | 4:15 | -11 | 2 |
| 13 | პიაჩენცა | 16 | 4 | 5 | 7 | 23:26 | -3 | 17 | 8 | 4 | 3 | 1 | 18:13 | +5 | 15 | 8 | 0 | 2 | 6 | 5:13 | -8 | 2 |
| 14 | ვიჩენცა | 16 | 3 | 6 | 7 | 10:19 | -9 | 15 | 8 | 3 | 3 | 2 | 7:9 | -2 | 12 | 8 | 0 | 3 | 5 | 3:10 | -7 | 3 |
| 15 | სამპდორია | 16 | 3 | 6 | 7 | 15:29 | -14 | 15 | 8 | 3 | 4 | 1 | 10:7 | +3 | 13 | 8 | 0 | 2 | 6 | 5:22 | -17 | 2 |
| 16 | ემპოლი* | 15 | 3 | 6 | 6 | 13:21 | -8 | 13 | 8 | 3 | 3 | 2 | 10:9 | +1 | 12 | 7 | 0 | 3 | 4 | 3:12 | -9 | 3 |
| 17 | სალერნიტანა | 16 | 3 | 3 | 10 | 12:27 | -15 | 12 | 7 | 3 | 2 | 2 | 9:8 | +1 | 11 | 9 | 0 | 1 | 8 | 3:19 | -16 | 1 |
| 18 | ვენეცია | 15 | 2 | 5 | 8 | 7:20 | -13 | 11 | 6 | 1 | 3 | 2 | 2:4 | -2 | 6 | 9 | 1 | 2 | 6 | 5:16 | -11 | 5 |

*ემპოლის 2 ქულა აქვს დაკლებული

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ბატისტუტა (ფიორენტინა) | 14 |
| კრესპო (პარმა) | 9 |
| მუცი (კალიარი) | 9 |
| ამოროზო (უდინეზე) | 9 |

**XVII ტური**
17 იანვარი

ბარი - სამპდორია
ბოლონია - ინტერი
ფიორენტინა - კალიარი
მილანი - პერუჯა
პარმა - ლაციო
რომა - ვიჩენცა
სალერნიტანა - პიაჩენცა
უდინეზე - ემპოლი
ვენეცია - იუვენტუსი

## სერია B

### XVI ტური

**ატალანტა 2:1 ლეჩე**
0:1 კაზალე (30), 1:1 კაჩია (47), 2:1 დონი (49)

**კიევო 2:0 კრემონეზე**
1:0, 2:0 დე ჩეზარე (1, 74)

**კოზენცა 2:0 რეჯანა**
1:0 ტატი (26პ), 2:0 პასკეტა (74)

**ჯენოა 1:1 რეჯინა**
0:1 პოსანცინი (70), 1:1 რუოტოლო (81)

**მონცა 1:0 ვერონა**
1:0 ჯონელა (27ს.კ.)

**ნაპოლი 2:1 ლუკეზე**
0:1 ფოლია (47), 1:1 როსიტო (52), 2:2 სვოხი (64)

**პესკარა 2:1 ფ. ანდრია**
1:0 ჯელსი (13), 1:1 რუსო (35), 2:1 კანარსა (89)

**რავენა 1:1 ბრეშა**
0:1 უბნერი (18), 1:1 სილენცი (26)

**ტერნანა 1:1 ჩეზენა**
1:0 ბორჯობელო (17), 1:1 კომანდინი (25)

**ტორინო 0:0 ტრევიზო**

### XVII ტური

**ბრეშა 2:1 ტორინო**
1:0 რადუჩოიუ (13), 1:1 ასტა (48), 2:1 უბნერი (59)

**ვერონა 3:1 ტერნანა**
1:0 იტალიანო (75), 2:0 დე ვიტისი (87), 2:1 გრაბი (90), 3:1 ალიეტი (90)

**ტრევიზო 3:2 რეჯანა**
0:1 დიბარი (40), 1:1 ბეგეტო (43), 1:2 ალოიზიო (58), 2:2, 3:2 ლანტინოტი (88, 90)

**რეჯინა 3:0 პესკარა**
1:0 მარტინო (10), 2:0 ლანბერტინი (18ს.კ.), 3:0 სუსი (66)

**მონცა 0:1 ნაპოლი**
0:1 პარადისო (64)

**ლუკეზე 1:0 ჯენოა**
1:0 ფოლია (34)

**ლეჩე 1:0 რავენა**
1:0 კასალე (15)

**ფ. ანდრია 0:1 ატალანტა**
01 დონი (80პ)

**კრემონეზე 0:3 კოზენცა**
0:1 მოსკარდი (28), 0:2 მანფრედინი (64), 0:3 დე ფრანჩესკო (63)

**ჩეზენა 0:0 კიევო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვერონა | 17 | 11 | 3 | 3 | 29:13 | 36 |
| ტრევიზო | 17 | 10 | 6 | 1 | 28:13 | 36 |
| ტორინო | 17 | 9 | 4 | 4 | 25:13 | 31 |
| პესკარა | 17 | 9 | 3 | 5 | 27:18 | 30 |
| ატალანტა | 17 | 8 | 5 | 4 | 17:11 | 29 |
| ლეჩე | 17 | 8 | 4 | 5 | 19:14 | 28 |
| რეჯინა | 17 | 7 | 6 | 4 | 21:15 | 27 |
| რავენა | 17 | 7 | 6 | 4 | 22:20 | 27 |
| ბრეშა | 17 | 6 | 8 | 3 | 18:13 | 26 |
| ნაპოლი | 17 | 6 | 7 | 4 | 17:16 | 25 |
| მონცა | 17 | 6 | 6 | 5 | 12:13 | 24 |
| კოზენცა | 17 | 5 | 4 | 8 | 19:26 | 19 |
| ჯენოა | 17 | 4 | 6 | 7 | 17:21 | 18 |
| ტერნანა | 17 | 3 | 8 | 6 | 16:23 | 17 |
| კიევო | 17 | 4 | 5 | 8 | 10:18 | 17 |
| ლუკეზე | 17 | 3 | 7 | 7 | 14:16 | 16 |
| რეჯანა | 17 | 3 | 7 | 7 | 17:21 | 16 |
| კრემონეზე | 17 | 3 | 5 | 9 | 14:29 | 14 |
| ჩეზენა | 17 | 1 | 7 | 9 | 10:21 | 10 |
| ფ. ანდრია | 17 | 1 | 5 | 11 | 8:26 | 8 |

# გულუხვი წლის მობრძანება

## ესპანეთი

XVII ტური

### ბარსელონა 4:2 ბილბაო

1:0 ლუის ენრიკე (22), 2:0 კოკუ (40), 2:1 ურსაისი (51), 3:1 რივალდო (54), 3:2 გერერო (72), 4:2 რივალდო (85)
ბარსელონა: ჰესპი, პელეგრინო, აბელარდო, სერხი, რაიციგერი, კოკუ, გვარდიოლა (სავი 59), ფიგუ, ლუის ენრიკე, კლუივერტი, რივალდო
ბილბაო: ეჩებერია, ალკორტა, ფელიპე, ფერეირა, ლარაინსარი, იმასი (ხავი გონსალესი 52), გერერო, კარლოს გარსია, ალკისა (ლაკრუსი 82), ესკუერო (ურსაისი 46), ხოსება ეჩებერია
გაფრთხილება: გვარდიოლა, ეჩებერია, ფელიპე, იმასი, კარლოს გარსია, ესკუერო
მსაჯი: რიტო არსეო

### მალიორკა 2:1 რეალი

1:0 იბაგასა (10), 2:0 სანჩისი (26ს.კ.), 2:1 ზეედორფი (46)
მალიორკა: როა, სივიერო, მ. სოლერი, მარსელინო, ოლაისოლა, იბაგასა (ფ. სოლერი 63), სტანკოვიჩი, ლაურენი, ენგონგა, ჩუპა ლოპესი (ნინო 88), ბიაჯინი (კარლოსი 82)
რეალი: ილგნერი, რობერტო კარლოსი, იერო, სანჩისი, პანუჩი, იარნი, ზეედორფი, გუტი, რაული, შუკერი, სავიო (მორიენტესი 40)
გაფრთხილება: ოლაისოლა, ენგონგა, იერო, შუკერი, გუტი
მსაჯი: პერეს ბურული

### ოვიედო 2:2 ვალენსია

1:0 დელი ვალდესი (9), 1:1 მორენო (22ს.კ.), 2:1 დელი ვალდესი (33), 2:2 მიია (90)
ოვიედო: ესტებანი, მორენო, მანელი, ცეზარი, ბანგო, ნადი, ესკურსა, პომპეი (დუბოვსკი 82), პაულუ ბენტუ, მიოლერი (ანია 52), დელი ვალდესი (ფაბიუ პინტუ 74)
ვალენსია: კანისარესი, ჯუკიჩი (ლუკარელი 46), კარბონი, როში, ანგლომა, ხუანფრანი (პოპესკუ 64), მენდიეტა (სერბანი 76), ფარინოსი, შვარცი, მია, კლაუდიო ლოპესი
გაფრთხილება: ცეზარი, კარბონი, ფარინოსი, შვარცი, კლაუდიო ლოპესი, ბანგო
გაძევება: ბანგო
მსაჯი: ლოსანტოს ომარი

### ვალიადოლიდი 2:1 ბეტისი

1:0, 2:0 პეტერნაკი (35პ, 58), 2:1 ოლი (89)
ვალიადოლიდი: ცეზარი, მარკოსი, კალვო, სანტამარია (ლოზანო 18, დუტუელი 83), ხულიო ცეზარი, პენა, ტურიელი, ეუსებიო, ჩემა, პეტერნაკი, კლიმოვიჩი (ალბერტო 24)
ბეტისი: პრატსი, ლუის ფერნანდესი, ურენა, მერინო, ოლიასი, ბენხამინი, იტო (ხაიმე 57), ფერნანდო (ხასკესი 45), ფინიდი, დენილსონი (კანიასი 64), ოლი
გაფრთხილება: ცეზარი, მარკოსი, ფერნანდო, დენილსონი
მსაჯი: მეხუტო გონსალესი

### ატლეტიკო 5:0 ესტრემადურა

1:0 კორეა (3), 2:0 სერენა (41), 3:0 აგილერა (57), 4:0 რობერტო (69), 5:0 ვალერონი (87)
ატლეტიკო: მოლინა (ხარო 77), შამოტი, აგილერა, ტორიზი, სერენა (გასპარი 61), ლარდინი (ჟუნინიო 58), ვალერონი, რობერტო, მენა, ხოსე მარი, კორეა
ესტრემადურა: ამადორი, სოტო, ბელენგუერი (ვიაუ 53), კალა, ფელიქსი, ოსკარი, პოლი, ველამასანი (ესპოზიტო 68), პედრო ხოსე, დურე, მანუელი (დავიდი 78)
გაფრთხილება: ლარდინი, კალა, ფელიქსი, ოსკარი, პოლი
მსაჯი: ანსუატეგი როკა

### ტენერიფე 0:2 სელტა

0:1 კარპინი (65), 0:2 მაზინიო (86)
ტენერიფე: უნსუე, ლორენტე, ალექსისი, პაბლო პასი, იოკანოვიჩი, ჩანო, ფელიპე (რობაინა 73), დანი, სლოვაკი, ხუანელე (ლეანდრო 72), მაკაი
სელტა: დუტრუელი, სალგადო, ბერხესი, კასერესი, ეგენი, მაზინიო, კარპინი, მოსტოვოი (კაირესი 89), მაკელელე, რევივო (სანჩესი 61), პენევი (ტომასი 76)
გაფრთხილება: პაბლო პასი, ეგენი, კარპინი, რევივო
მსაჯი: ლოპეს ნიეტო

### დეპორტივო 1:2 რასინგი

0:1 ვიკტორი (45), 1:1 პაულეტა (76), 1:2 ბესჩასტნიხი (85)
დეპორტივო: სონგოო, რომერო, შურერი (ბონისელი 46), პაბლო (დონატო 75), naიბეტი, ზიანი, ჰაჯი (ბასირი 63), ფრანი, კონსეისაო, პაულეტა, ტურუ ფლორესი
რასინგი: სებალოსი, მელბერგი, ნერუ (ხელი 80), მერინო, ტაისი (სიეტესი 68), ვიკტორი, შუსტიკოვი, ჩემა, ისმაელი, მაგალანესი (ბესჩასტნიხი 52), მუნიტისი
გაფრთხილება: ნაიბეტი, შურერი, კონსეისაო, ვიკტორი, მაგალანესი
მსაჯი: ბუენო გრიმალი

### ვილიარეალი 1:1 სარაგოსა

1:0 ალფარო (29პ), 1:1 მილოშევიჩი (87)
ვილიარეალი: პალოპი, ტელესი, პასკუალი, ტასევსკი, გარსია სანხუანი (სანდრო 61), რობერტო, დიასი, გერარდო, კრაიოვეანუ (ალბერტო 67), ალფარო, მოისესი
სარაგოსა: მონდრაგონი, პაკო, სოლანა, კვარტერო, აგუადო, არაგონი, ხოსე იგნასიო (გუსტავო ლოპესი 72), კილი გონსალესი, მილოშევიჩი, იორდი, მარკოს ვალესი
გაფრთხილება: ტელესი, პასკუალი, დიასი, გერარდო, ალფარო, მოისესი, პაკო, იორდი
გაძევება: ალფარო
მსაჯი: როდრიგეს სანტიაგო

### ალავესი 1:1 ესპანიოლი

0:1 კაპდევილა (40), 1:1 პაბლო გომესი (61პ)
ალავესი: კიკე, ბელსუე, ივან როჩა, კარმონა, ალბისტეგი, ბეგონია (სივორი 58), კანაბალი, პაბლო გომესი, გერარდი (ხოსეტე 74), დესიო, ხულიო სალინასი
ესპანიოლი: ტონი, კრისტობალი, ნანდო, სერხიო, ბრნოვიჩი (პაჩეტა 46), ელგერა, არტეაგა, კაპდევილა, ტამუდო (დე ლუკასი 73), პოსე, ნან რიბერა
გაფრთხილება: ივან როჩა, პაბლო გომესი, ბრნოვიჩი
მსაჯი: ფერნანდეს მარინი

### სოსიედადი 4:0 სალამანკა

1:0 სა პინტუ (50), 2:0 კოვაჩევიჩი (76), 3:0 გრასია (78), 4:0 კოვაჩევიჩი (80)
სოსიედადი: ალბერტო, არანსაბალი, პიკაბეა, ლოპეს რეკარტე, გომესი, ხაურეგი, დე პედრო, გრასია (ადეპოჟუ 80), დე პაულა (ფ. გერერო 68), კოვაჩევიჩი, სა პინტუ (ცვიტანოვიჩი 78)
სალამანკა: სტელია, ლეო რამოსი, კორინო, ლანა (ლუპიდიო 57), მუნტეანუ, მარინესკუ (ბარბარა 77), ედუ ალონსო, როხერიო (ტაირა 57), ჯიოვანელა, კასარტელი, ველისკა
გაფრთხილება: ხაურეგი, გრასია, ადეპოჟუ, ფ. გერერო, კორინო, ჯიოვანელა
გაძევება: ლოპეს რეკარტე
მსაჯი: მეხია დავილა

ბარსელონაში კარგი ამბებია. 1998 წლის გალევა და 99-ის მობრძანება კატალონიის სიამაყეს კარგად დაებედა: ჯერ „ალავესს“ 7:1 მოუგო, მერე კი „ბილბაოს“ 4:2 აჯობა და თან საკმაოდ მაღალი კლასის ფეხბურთით წარსდგა გულშემატკივრის წინაშე.

ზოგადად, ახალი წლის პირველი ტური იმის იყო აღსანიშნავი, რომ გუნდებმა ერთმანეთს 45 გოლი გაუტანეს, რაც ქვეყნის საფეხბურთო ისტორიაში მეხუთე შედეგი გახლდათ.

რაც შეეხება წლის დასაწყისს, ასეთი უხვგოლიანი სტარტი 1956 წელს ჰქონდა, მერე კი აღარ ყოფილა.

მაგრამ უშველის კი „ბარსას“ ჰოლანდიელ მწვრთნელს, ლუის ვან გაალს ეს ორი გამარჯვება? გავიხსენოთ მისი წინამორბედის, ინგლისელი ბობი რობსონის სიტყვები, როდესაც იგი თანამდებობიდან მოხსნეს: „ჩვენ მაშინაც კი გვაკრიტიკებნენ, როდესაც 6:0-ს ვიგებდით“. გავიხსენოთ ისიც, რომ „ბარსელონამ“ ზედიზედ ოთხი შეხვედრა წააგო, სანამ უშუალოდ საშობაო არდადეგების წინ ერთხელ გაიმარჯვებდა. გავიხსენოთ, რომ 1998 წლის ბოლოს გუნდის ფეხბურთელები ჰოლანდიელს და მის მეთოდებს საჯაროდ იწუნებდნენ.


REUTERS მადრიდიდან და მალიორკადან

მალიორკა — რეალი 2:1. მადრიდელი ფერნანდო იერო (მარცხნივ) მალიორკელი გუსტავო სივიეროს წინააღმდეგ

იმ დღეს, კატალონიელებმა „ალავესს“ 7:1 რომ მოუგეს, ლუის ენრიკესა და რივალდოს მხარდამჭერი ორი გოლი ოსკარ გარსიამაც გაიტანა. თანაც ოსკარი სათადარიგოდ შევიდა მოედანზე და ეტყობა, ამითაც მოხიბლა უცხოელების ყიდვაზე გადარეული ინგლისური „ჩელსის“ შეფები, რომელთაგანაც მიწვევა მიიღო.

„ის, რომ „ჩელსის“ თვალში მოუვედი, ცხადია, ძალიან მეამაყება, მაგრამ უფრო საამაყო ის გახლავთ, რომ „ბარსელონაში“ ჩემი ადგილი მაქვს. თავი „ბარსას“ ფეხბურთელად მიმაჩნია და თუ კლუბი არ გამყიდის, არსად წავალ“, — განაცხადა 25 წლის მოთამაშემ.

როგორც ამბობენ, ინგლისელებს ოსკარის ყიდვა ყოფილმა თანაგუნდელმა, „ჩელსიში“ გასულ ზაფხულს გადასულმა ალბერტ ფერერმა ურჩია.

იმ, მრავალგოლიან ტურში „სელტამ“ „ოვიედოს“ 6:2 მოუგო, მადრიდის „რეალმა“ „ტენერიფეს“ 4:0 სძლია, სანტანდერის „რასინგისა“ და მადრიდის „ატლეტიკოს“ შეხვედრაში კი ბურთი ორჯერ მადრიდელთა კარში შევარდა, ხოლო სამჯერ „რასინგის“ კარში.

მადრიდის „ატლეტიკოსთან“ დაკავშირებული საახალწლო სიახლე ის გახლავთ, რომ გუნდის ბრაზილიელმა ვარსკვლავმა, ჟუნინიომ თქვა, თუ აქედან წასვლას გადავწყვეტ, ინგლისურ „ასტონ ვილაში“ წავალო. აღსანიშნავია, რომ ჟუნინიო, რომელსაც „ატლეტიკოს“ იტალიელი მწვრთნელი, არიგო საკი მაინცდამაინც არ წყალობს, „ბარსელონას“ ინტერესის საგანიც ყოფილა. მიზეზი: საკი დაცვაზე ამახვილებს ზედმეტ ყურადღებას, ჟუნინიოს კი შეტევა უყვარს და ნიჭსა და უნარს სწორედ იერიშების დროს ავლენს.

როგორც მოგახსენეთ, 1999 წელი გამარჯვებით დაიწყო მადრიდის „სამეფო გუნდმა“, „რეალმაც“, მაგრამ მას კვირას დაუცდა ფეხი — „მალიორკასთან“ წააგო.

მასპინძლები მე-10 წუთზე დაწინაურდნენ: კამერუნის ნაკრების ფეხბურთელებმა ლორან სტამე-მაიერმა „რეალის“ კარისკენ დაარტყა, ბურთი მადრიდელთა გერმანელმა მეკარემ ბოდო ილგნერმა მოიგერია, მაგრამ მოგერიებულს „მალიორკას“ არგენტინელი ნახევარმცველი არიელ იბაგასა მიუხდა და ბადეში შეაგდო.

შემდეგ, 27-ე წუთზე, მალიორკელები კიდევ უფრო დაწინაურდნენ. მათ ანგარიში გაზარდესო ვერ ვემბობთ, რადგან ანგარიში (მასპინძლების სასარგებლოდ) „რეალის“ კაპიტანმა მანუელ სანჩისმა გაზარდა. სანჩისს, რომელსაც მეტოქე გუნდის თავდამსხმელი არიელ ლოპესი ავიწროებდა, ბურთი აუხტ-დაუხტა და ილგნერის კარში შეუვარდა.

შესვენების შემდეგ, 56 წამში „რეალმა“ სხვაობა შეამცირა. მიზანს ჰოლანდიის ნაკრების ნახევარმცველმა კლარენს ზეედორფმა მიაღწია. ზეედორფს ასისტენტობა რაულმა გაუწია.

მეტი გოლი ამ შეხვედრაში აღარ გასულა. საგულისხმო კი ის მოხდა, რომ ავტოგოლის ავტორმა, გამოცდილმა მანუელ სანჩისმა შეხვედრის დამთავრებამდე 11 წუთით ადრე მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და მოედანი თავჩაქინდრულმა დატოვა. მალიორკა ცხრილის სათავეში დარჩა.

მეორე ადგილზე „სელტა“ აღზევდა. ვიგოელებმა „ტენერიფეს“ სძლიეს 2:0. მესამეზე „ესტრემადურას“ 5:0 მძლეველი „ატლეტიკო“ ახტა.

აღსანიშნავია „რეალ სოსიედადის“ 4:0 გამარჯვება „სალამანკასთან“. ამ მატჩში სამი გოლი ბოლო 15 წუთში გავიდა, თან მას მერე, რაც „სოსიედადს“ ფეხბურთელი გაუძევეს.

**მიხეილ სურგულაძე**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | მალიორკა | 17 | 9 | 5 | 3 | 18:8 | +10 | 32 | 9 | 7 | 2 | 0 | 14:3 | +11 | 23 | 8 | 2 | 3 | 3 | 4:5 | -1 | 9 |
| 2 | სელტა | 17 | 8 | 7 | 2 | 33:18 | +15 | 31 | 8 | 5 | 3 | 0 | 20:7 | +13 | 18 | 9 | 3 | 4 | 2 | 13:11 | +2 | 13 |
| 3 | ვალენსია | 17 | 9 | 2 | 6 | 28:19 | +9 | 29 | 8 | 7 | 0 | 1 | 17:5 | +12 | 21 | 9 | 2 | 2 | 5 | 11:14 | -3 | 8 |
| 4 | ატლეტიკო | 17 | 8 | 5 | 4 | 30:16 | +14 | 29 | 9 | 6 | 3 | 0 | 23:3 | +20 | 21 | 8 | 2 | 2 | 4 | 7:13 | -6 | 8 |
| 5 | ბარსელონა | 17 | 8 | 4 | 5 | 34:21 | +13 | 28 | 9 | 5 | 2 | 2 | 24:12 | +12 | 17 | 8 | 3 | 2 | 3 | 10:9 | +1 | 11 |
| 6 | რეალი | 17 | 8 | 4 | 5 | 35:24 | +11 | 28 | 8 | 4 | 2 | 2 | 19:11 | +8 | 14 | 9 | 4 | 2 | 3 | 16:13 | +3 | 14 |
| 7 | ბილბაო | 17 | 8 | 2 | 7 | 25:26 | -1 | 26 | 8 | 5 | 1 | 2 | 16:12 | +4 | 16 | 9 | 3 | 1 | 5 | 9:14 | -5 | 10 |
| 8 | სარაგოსა | 17 | 7 | 4 | 6 | 22:21 | +1 | 25 | 8 | 4 | 0 | 4 | 13:14 | -1 | 12 | 9 | 3 | 4 | 2 | 9:7 | +2 | 13 |
| 9 | სოსიედადი | 17 | 7 | 4 | 6 | 25:22 | +3 | 25 | 9 | 6 | 2 | 1 | 17:5 | +12 | 20 | 8 | 1 | 2 | 5 | 8:17 | -9 | 5 |
| 10 | ოვიედო | 17 | 7 | 4 | 6 | 22:25 | -3 | 25 | 9 | 5 | 2 | 2 | 10:6 | +4 | 17 | 8 | 2 | 2 | 4 | 12:19 | -7 | 8 |
| 11 | დეპორტივო | 17 | 6 | 6 | 5 | 22:21 | +1 | 24 | 9 | 5 | 3 | 1 | 16:9 | +7 | 18 | 8 | 1 | 3 | 4 | 6:12 | -6 | 6 |
| 12 | ბეტისი | 17 | 6 | 4 | 7 | 15:20 | -5 | 22 | 8 | 4 | 2 | 2 | 9:8 | -1 | 14 | 9 | 2 | 2 | 5 | 6:12 | -6 | 8 |
| 13 | ესპანიოლი | 17 | 5 | 6 | 6 | 19:20 | -1 | 21 | 8 | 3 | 4 | 1 | 9:7 | +2 | 13 | 9 | 2 | 2 | 5 | 10:13 | -3 | 8 |
| 14 | რასინგი | 17 | 5 | 6 | 6 | 20:22 | -2 | 21 | 8 | 3 | 3 | 2 | 12:8 | +4 | 12 | 9 | 2 | 3 | 4 | 8:14 | -6 | 9 |
| 15 | ვალიადოლიდი | 17 | 6 | 3 | 8 | 18:21 | -3 | 21 | 9 | 6 | 0 | 3 | 13:7 | +6 | 18 | 8 | 0 | 3 | 5 | 5:14 | -9 | 3 |
| 16 | ვილიარეალი | 17 | 5 | 5 | 7 | 23:25 | -2 | 20 | 9 | 4 | 3 | 2 | 16:11 | +5 | 15 | 8 | 1 | 2 | 5 | 7:14 | -7 | 5 |
| 17 | ალავესი | 17 | 4 | 4 | 9 | 12:26 | -14 | 16 | 9 | 3 | 3 | 3 | 6:5 | +1 | 12 | 8 | 1 | 1 | 6 | 6:21 | -15 | 4 |
| 18 | სალამანკა | 17 | 4 | 3 | 10 | 15:31 | -16 | 15 | 8 | 4 | 2 | 2 | 12:9 | +3 | 14 | 9 | 0 | 1 | 8 | 3:22 | -19 | 1 |
| 19 | ესტრემადურა | 17 | 4 | 3 | 10 | 10:29 | -19 | 15 | 8 | 3 | 1 | 4 | 4:9 | -5 | 10 | 9 | 1 | 2 | 6 | 6:20 | -14 | 5 |
| 20 | ტენერიფე | 17 | 2 | 7 | 8 | 17:28 | -11 | 13 | 9 | 0 | 6 | 3 | 9:13 | -4 | 6 | 8 | 2 | 1 | 5 | 8:15 | -7 | 7 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ურსაისი (ბილბაო) | 11 |
| რაული (რეალი) | 10 |
| რივალდო (ბარსელონა) | 10 |
| პეტერნაკი (ვალიადოლიდი) | 9 |
| დელი ვალდესი (ოვიედო) | 9 |
| კოვაჩევიჩი (სოსიედადი) | 9 |

XVIII ტური
17 იანვარი
ალავესი - ბილბაო
ბეტისი - ბარსელონა
სარაგოსა - ვალიადოლიდი
რასინგი - ვილიარეალი
ესტრემადურა - დეპორტივო
რეალი - ატლეტიკო
სელტა - მალიორკა
ვალენსია - ტენერიფე
სალამანკა - ოვიედო
ესპანიოლი - სოსიედადი

## მეორე დივიზიონი

XVIII ტური

### მალიორკა B 2:1 ლეგანესი
1:0 რამონი (16), 1:1 პაჩონი (80), 2:1 რამონი (83)

### ეიბარი 1:0 ერკულესი
1:0 ბარბერო (85)

### ტოლედო 2:1 ბარსელონა B
1:0 კასკუერო (9), 2:0 კინი (74პ), 2:1 კაბალერო (69)

### რაიო ვალეკანო 2:1 რეკრეატივო
1:0 მიჩელი (26), 2:0 ლორენსი (55პ), 2:1 პუნტასი (66)

### ატლეტიკო B 0:1 მერიდა
0:1 ალდანა (13)

### ნუმანსია 1:0 კომპოსტელა
1:0 პაბლო (81)

### ლეიდა 3:0 სევილია
1:0 როა (17), 2:0 ესკოდა (25), 3:0 მაკედა (85)

### ლოგრონიესი 2:2 ორენსე
0:1 ოჩოა (17), 1:1 ხილი (76), 2:1 კლოტეტი (90), 2:2 მოდესტო (94პ)

### სპორტინგი 1:1 ოსასუნა
0:1 ტრეჩიაკი (71), 1:1 მიგუელი (89)

### ალბასეტე 2:2 მალაგა
1:0 ორტეგა (6), 1:1 კატანა (35), 1:2 მოვილა (45), 2:2 იაპაია (78)

### ლას პალმასი 1:1 ბადახოსი
0:1 ტორესი (6), 1:1 ელოი (52)

XIX ტური

### ორენსე 1:1 ლეიდა
1:0 გაუჩო (24), 1:1 როა (91)

### რეკრეატივო 1:2 ლოგრონიესი
0:1 მანელი (48), 1:1 რიბერა (67), 1:2 რედონდო (88)

### ლეგანესი 1:1 ატლეტიკო B
0:1 ფორტუნე (19), 1:1 პაჩონი (29)

### ბარსელონა B 0:0 ეიბარი

### ოსასუნა 4:0 ლას პალმასი
1:0 ორბაისი (5), 2:0 ალფრედო (15), 3:0 ტრეჩიაკი (53), 4:0 მარკოვიჩი (86)

### მალაგა 2:1 კომპოსტელა
0:1 სიონი (28პ), 1:1 რუანო (68), 2:1 აგოსტინო (88)

### სევილია 1:0 ნუმანსია
1:0 მოლნარი (52)

### მერიდა 4:2 რაიო ვალეკანო
1:0 დე კანტანა (3), 2:0 საბასი (20), 2:1 ბოლო (39), 3:1 მუნისი (49ს.კ.), 4:1 მომპარლეტი (66), 4:2 ალკასარი (82)

### ბადახოსი 0:1 მალიორკა B
0:1 ტრისტანი (56პ)

### ერკულესი 1:0 ნუმანსია
1:0 ოსტერკი (1)

### ალბასეტე 0:2 ტოლედო
0:1 მაიკელი (28), 0:2 კასკუერო (83)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნუმანსია | 19 | 11 | 4 | 4 | 33:15 | 37 |
| ტოლედო | 19 | 10 | 6 | 3 | 27:17 | 36 |
| ოსასუნა | 19 | 10 | 5 | 4 | 26:13 | 35 |
| რაიო | 19 | 9 | 7 | 3 | 29:26 | 34 |
| მალაგა | 19 | 9 | 6 | 4 | 28:22 | 33 |
| ლას პალმასი | 19 | 8 | 8 | 3 | 28:15 | 32 |
| ლეიდა | 19 | 8 | 8 | 3 | 25:17 | 32 |
| სევილია | 19 | 8 | 6 | 5 | 23:21 | 30 |
| მერიდა | 19 | 7 | 6 | 6 | 21:16 | 27 |
| ატლეტიკო B | 19 | 7 | 6 | 6 | 29:25 | 27 |
| ლოგრონიესი | 19 | 7 | 6 | 6 | 27:28 | 27 |
| რეკრეატივო | 19 | 7 | 5 | 7 | 14:13 | 26 |
| მალიორკა B | 19 | 8 | 2 | 9 | 24:27 | 26 |
| კომპოსტელა | 19 | 6 | 7 | 6 | 26:22 | 25 |
| ბადახოსი | 19 | 6 | 4 | 9 | 14:15 | 22 |
| ლეგანესი | 19 | 5 | 6 | 8 | 18:25 | 21 |
| ალბასეტე | 19 | 5 | 5 | 9 | 15:21 | 20 |
| ერკულესი | 19 | 5 | 4 | 10 | 16:27 | 19 |
| სპორტინგი | 19 | 3 | 6 | 10 | 12:25 | 15 |
| ორენსე | 19 | 4 | 3 | 12 | 17:33 | 15 |
| ეიბარი | 19 | 4 | 3 | 12 | 13:29 | 15 |
| ბარსელონა B | 19 | 3 | 5 | 11 | 20:33 | 14 |

# თავისუფლება ხილი ხილს

ხესუს ხილი ხილი დააპატიმრეს. მადრიდის „ატლეტიკოს“ პრეზიდენტი და იმავდროულად სამხრეთ ესპანეთის ტურისტული ქალაქის, მარბელას მერი ქალაქსა და კლუბს შორის დადებულ კონტრაქტებში ტყუილს კადრულობდა.



ხესუს ხილი „ატლეტიკოს“ მაისურით ხელში

„ატლეტიკოს“ მაისურზე გასული სეზონების განმავლობაში მარბელა ეწერა.

ხილი ხილის ვექილები, ბუნებრივია, მოსამართლის, სანტიაგო ტორესის გადაწყვეტილების წინააღმდეგ ილაშქრებენ. ისინი ამტკიცებენ, რომ მათ კლიენტს ქალაქის ფონდიდან კლუბისთვის 3,17 მილიონი დოლარი არ გადაუცია.

მოსამართლე ტორესმა ხილი ხილს თავდებით განთავისუფლების ნებაც არ დართო. ხილი ხილის ბედი ეწია მარბელას ყოფილ ვიცე მერს პედრო რომანს, ხოლო „ატლეტიკოს“ ვიცე-პრეზიდენტი ენრიკე სერეზო 35 ათასი დოლარის თავდებით გამოუშვეს.

და დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო.

მარბელას სანაპიროზე ათასობით ადამიანმა მიიღო საპროტესტო დემონსტრაციაში მონაწილეობა. დემონსტარნტთა შორის იყვნენ პოლიტიკოსები და მსახიობები, რადიო და ტელეარხებიც უჭერდნენ დაპატიმრებულს მხარს.

„მარბელა მხარს უჭერს თავის მერს“ — ეწერა ერთ პლაკატზე.

„თავისუფლება მარბელას მერს“ — ღაღადებდა მეორე.

თხუთმეტი ათასი ადამიანის საპროტესტო მსვლელობას არეულობა არ მოჰყოლია.

მადრიდში, ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის ოფისს მთელი ფანჯარა აღარ შერჩა — ეს უკვე „ატლეტიკოს“ ულტრა-გულშემატკივართა პროტესტი გახლდათ. ოფისის შესასვლელი აჭრელდა წარწერებით: „გამოუშვით ხილი“; „ხილი ჩვენი ფიურერია“.

„ბასტიონი“ — ასე ეწერა ბოლოს. ბასტიონი ულტრათა ჯგუფის სახელია.

ხილი ხილს სპორტულმა სამყარომაც დაუჭირა მხარი. ბუნებრივია, პირველობა არავის დაუთმო „ატლეტიკომ“, რომლის ფეხბურთელთა გულისწყრომა და აღშფოთება გუნდის კაპიტანმა ტონი მუნიოსმა გამოხატა:

„ჩვენ პრეზიდენტის დიდი ერთგულება გვამოძრავებს. ეს ერთგულება გაცილებით ღრმაა, ვიდრე თანამშრომლობა ან თუნდაც კლუბის ღირსების დაცვის გრძნობა“ — განაცხადა მან.

ხილი ხილს თანაქალაქელი მეტოქის, მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტმა, ლორენსო სანსმაც გაუწოდა მეგობრობის ხელი.

„ის ჩემი დიდი მეგობარია და რაც შეემთხვა, ძალიან მტკენს გულს. მინდა სოლიდარობა გამოვუცხადო მას და მის ოჯახს. იმედს გამოვთქვამ, რომ ყველაფერი კარგად დასრულება“ — განაცხადა სანსმა.

თუკი არსებობენ მხარდამჭერნი, ცხიდია, მოწინააღმდეგეებიც იქნებიან. სოციალისტური პარტიის პრეს-ატაშემ მარბელაში, ისაბელ გარსია მარკოსმა გაიხსენა, რომ იგი მუდმივად მოითხოვდა ხილი ხილის მერის თანამდებობიდან გადადგომას. სინიორა მარკოსს მხარს სხვა ადგილობრივი პოლიტიკოსებიც უჭერდნენ. მოგვიანებით ისაბელ მარკოსი გამოუტყდა მარბელას რადიოს, რომ ხილის მხარდამჭერები რამდენჯერმე დაემუქრნენ.

არადა ხილისთვის ციხე უცხო ადგილი არ არის. 1969 წელს, როდესაც მან მადრიდის გარეუბანში სახლი ააშენა, ჩამოვარდნილმა ბლოკმა 50 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. მაშინ იგი დიქტატორმა ფრანსისკო ფრანკომ გაანთავისუფლა.

გუშინ, ხესუს ხილი ხილი კალაურინ დე ლა ტორეს ციხიდან საავადმყოფოში გადაიყვანეს — წნევამ აუწია. ექიმების თქმით, არითმიითა და წნევის თამაშით ცნობილი „ატლეტიკოს“ პრეზიდენტი ალბათ ნერვიულობს და ცუდად იკვებება. არაა გამორიცხული, რომ ჯანმრთელობა შერყეული ხილი ხილი მოსამართლე ტორესმა შეიწყალოს და გაანთავისუფლოს.

ბაკუნა კედია

## იტალია

XV ტური

### პარმა 1:0 ინტერი

1:0 ფუზერი (54)

რ. ბაჯომ ვერ გამოიყენა პენალტი (73)

პარმა: ბუფონი, ტურამი, სენსინი, კანავარო, ფუზერი, დ. ბაჯო, ბოგოსიანი, ბენარივო, ვერონი (ბელბო 73), კიეზა (ფიორე 69), კრესპო (მუსი 80)

ინტერი: პალიუკა, კოლონეზე (პირლო 85), ბერგომი, გალანტე, სილვესტრი (სამორანო 72), ძანეტი, ვინტერი, კოე, სიმეონე, რონალდო, ჯორკაეფი (რ. ბაჯო 64)

გაფრთხილება: სიმეონე, სენსინი, დ. ბაჯო, ბერგომი, ბუფონი

მსაჯი: ტრენტალანგე

### მილანი 1:1 იუვენტუსი

1:0 ალბერტინი (27 პ), 1:1 ფონსეკა (84)

მილანი: როსი, სალა, აიალა, მალდინი, ჰელვეგი (ბა 46), ალბერტინი, ამბროზინი, ციგე (ნგოტი 77), ლეონარდო (დონადონი 83), ბირჰოფი, ვეა

იუვენტუსი: პერუცი, ტუდორი, ფერარა, მონტერო, დი ლივიო (ბირინდელი 64), დეშამი, ტაკინარდი (კონტე 46), დავიდსი, ზიდანი, ინძაგი, ამორუზო (ფონსეკა 67)

გაფრთხილება: ამბროზინი, როსი, ტაკინარდი, ზიდანი, ციგე, დეშამი

გაძევება: მონტერო (62), ვეა (67)

მსაჯი: ბეტინი

### ფიორენტინა 1:0 სამპდორია

1:0 რუი კოშტა (27)

ფიორენტინა: ტოლდო, პადალინო, ტორიჩელი, რეპკა, ჰაინრიხი, ოლივეირა (ესპოზიტო 78), კოისი, რუი კოშტა, ამორუზო (ფალკონე 81), ედმუნდო (ამორი 75), ბატისტუტა

სამპდორია: ფერონი, მანინი (ნავა 44), ჰუგო, გრანდონი, კასტელინი, ბალერი, პეკია, ფრანჩესკეტი, ლაიგლე (ვერგასოლა 65), პალმიერი, ორტეგა (მონტელა 59)

გაფრთხილება: ორტეგა, ჰაინრიხი, ამორუზო, კაპელინი, რეპკა, პეკია

მსაჯი: კოლინა

### რომა 2:2 პიაჩენცა

1:0 დი ფრანჩესკო (26), 1:1 სტროპა (37), 1:2 პიოვანი (48), 2:2 ტომაზი (52)

რომა: კიმენტი, კანდელა, ძაგო, ვომე, დალ მორო, ტომაზი, დი ბიაჯო (ალენიჩევი 70), დი ფრანჩენსკო, პაულუ სერჟიო (გაუტიერი 70), დელვეკიო, ტოტი

პიაჩენცა: მარკონი, ლამაში (ლუკარელი 86), პოლონია, ვერხოვოდი, დელიკარი, პიოვანი, მაცოლა, მანიგეტი (კაინი 90), სტროპა, რასტელი, ინძაგი (რიციტელი 20)

გაფრთხილება: მანიგეტი, პოლონია, ტოტი, დი ფრანჩესკო, დი ბიაჯო, გაუტიერი

მსაჯი: ბოლონინო

### ბოლონია 0:1 ლაციო

0:1 ვიერი (77)

ბოლონია: ანტონიოლი, რინალდი, ბია (ბოზელი 25), მანგონე, ტარანტინო, ბინოტო (მაინი 63), ინგესონი, მაროკი, ფონტოლანი (კოლივანოვი 63), ანდერსონი, სინიორი

ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, ნესტა, მიხაილოვიჩი, ფავალი (პანკარო 46), სტანკოვიჩი, მანჩინი, ალმეიდა, კონსეისაო, ვიერი (ვენტურინი 88), სალასი

გაფრთხილება: მანგონე, მანჩინი, ფონტოლანი, ნეგრო

მსაჯი: ჩეკარინი

### უდინეზე 2:1 ვიჩენცა

1:0 სოსა (42), 1:1 ამბროზეტი (52), 2:1 ამოროზო (76)

უდინეზე: ტურჩი, გარგო, კალორი, პიერინი, ჟენო, ჯანიკედა, ვალემი, იორგენსენი (ბაკინი 54), ლოკატელი, სოსა (აპია 84), პოჯი (ამოროზო 54)

ვიჩენცა: ბრივიო, დილისო, სტოვინი, დიკარა, მორაბიტო (ბელოტი 46), პალადინი, მენდესი (ვივიანი 75), მელოზი (სკენარდი 81), ამბროზეტი, ძაული, ოტერო

გაფრთხილება: ჯანიკედა, დიკარა, ბელოტი

გაძევება: ძაული (87)

მსაჯი: დე სანტისი

### ბარი 2:1 პერუჯა

1:0 ნეკროიზი (11), 1:1 ტედესკო (47), 2:1 პინოჩენტი (61)

ბარი: მანჩინი, დე როსა, გარსია, ინოჩენტი, ნეკროიზი, ბრესანი (კამპი 90), ანდერსონი, მარკოლინი (პარისი 85), ოლივარესი, ოსმანოვსკი (კნუდსენი 52), მასინგა

პერუჯა: პაგოტო, გროსი (როკო 64), მატრეკანო, რიპა, სოლიანო, ოლივე, პეტრაკი (ბუსკი 46), ტედესკო, ნაკატა, ერცეგი (მასპერო 70), რაპაიჩი

გაფრთხილება: დე როსა, პეტრაკი

მსაჯი: პელეგრინო

### სალერნიტანა 1:3 კალიარი

1:0 ბელმონტე (10), 1:1 მაკელარი (42), 1:2, 1:3 მუცი (78, 90)

სალერნიტანა: ბალი, დელ გროსო, ფუსკო, ფრეზი (ბერნარდინი 82), ტოსტო, გატუზო, ბრედა, ტედესკო (დი მიკელე 62), ვანუჩი, ბელმონტე (კიანეზა 70), დი ვაიო

კალიარი: სკარპი, ვილა, ძანონკელი, გრასადონია, ბერეტა, ძანეტი (ჩავესი 50), დე პატრე, მაკელარი, ვაზარი (აბეიჯონი 89), ონილი, მუცი

გაფრთხილება: მაკელარი, გრასადონია, ფუსკო, კიანეზე, ბელმონტე, დე პატრე

მსაჯი: რასკი

### ვენეცია — ემპოლი

61-ე წუთზე უამინდობის გამო შეწყდა. ანგარიში ამ დროისთვის იყო 0:0.

## ესპანეთი

XVI ტური

### ვალენსია 2:0 სოსიედადი

1:0 შვარცი (19), 2:0 კლაუდიო ლოპესი (46)

ვალენსია: კანისარესი, ჯუკიჩი, კარბონი, როში, მენდიეტა, ფარინოსი (სერბანი 87), შვარცი, მია, კლუდიო ლოპესი, ვლაოვიჩი (ანგლომა 46), ანგულო (პოპესკუ 78)

სოსიედადი: ალბერტო, ფუენტესი, არანსაბალი, პიკაბეა (ალდეონდო 58), ანტია, გომესი, დე პედრო, გრასია, დე პაულა, კოვაჩევიჩი, სა პინტუ

გაფრთხილება: კარბონი, ანგულო, ანტია, გრასია

მსაჯი: კარმონა მენდესი

### სალამანკა 2:3 ესპანიოლი

1:0 ლეო რამოსი (4პ), 2:0 მუნტეანუ (26), 2:1 ნან რიბერა (42), 2:2 პოსე (64), 2:3 დე ლუკასი (92პ)

სალამანკა: სტელია, ლეო რამოსი, კორინო, ლანა, მუნტეანუ (ლორენი 61), ედუ ალონსო, როხერიო, ჯიოვანელა, კასარტელი, ველისკა, სილვანი

ესპანიოლი: ტონი, კრისტობალი, ნანდო, პოჩეტინო, სერხიო, ბრნოვიჩი (პოსე 58), ელგერა, არტეაგა, კაპდევილა, ტამუდო (პაჩეტა 85), ნან რიბერა (დე ლუკასი 88)

გაფრთხილება: მუნტეანუ, როხერიო, კასარტელი, სილვანი, კრისტობალი, ნანდო, პოჩეტინო, არტეაგა

მსაჯი: დიას ვეგა

### სელტა 6:2 ოვიედო

1:0 რევივო (25), 2:0 კარპინი (32), 3:0 პენევი (39), 4:0 სანჩესი (63), 5:0 პენევი (75), 5:1 პომპეი (83), 6:1 რევივო (84), 6:2 მიოლერი (91)

სელტა: დუტრუელი, სალგადო (კაინსოსი 80), კასერესი (ეგენი 61), გ. ჯოროვიჩი, ხოსემა, მაზინიო (კაირესი 77), კარპინი, მაკელელე, რევივო, პენევი, სანჩესი

ოვიედო: ესტებანი, მანელი, ცეზარი, ნადი, ესკურსა, პომპეი, პაულუ ბენტუ, ონოპკო (მორენო 41), ივან ანია, დელი ვალდესი, დუბოვსკი

გაფრთხილება: გ. ჯოროვიჩი, კაირესი, კარპინი, მანელი

მსაჯი: უტურალდე გონსალესი

### რეალი 4:0 ტენერიფე

1:0 რაული (3), 2:0 იერო (50პ), 3:0 სავიო (68), 4:0 რაული (78)

რეალი: ილგნერი, რობერტო კარლოსი, იერო, სანჩისი (ივან კამპო 46), პანუჩი (როხასი 85), იარნი, ზეედორფი, გუტი, რაული, შუკერი, სავიო (მორიენტესი 78)

ტენერიფე: უნსუე, ლორენტე, ალექსისი, ანდრე ლუისი (ფელიპე 80), იოკანოვიჩი, ემერსონი, დანი, სლოვაკი, რობაინა (ხონაი 46), ხუანელე (ლეანდრო 63), მაკაი

გაფრთხილება: გუტი, ლორენტე, ემერსონი, ხონაი

მსაჯი: პერეს ლასა

### ესტრემადურა 1:0 მალიორკა

1:0 დური (30)

ესტრემადურა: გასპერჩიჩი, სოტო (დავიდი 80), ბელენგუერი, კალა, ფელიქსი, ოსკარი, პოლი, ველამასანი (ტორილი 67), პედრო ხოსე, დური (დიეგო 83), მანუელი

მალიორკა: როა, სივიერო, ნინო, კარერასი, ოლაისოლა (არპონი 80), იბაგასა (პაუნოვიჩი 85), სტანკოვიჩი, ლაურენი, ენგონგა, ბიაჯინი, დანი

გაფრთხილება: იბაგასა, სტანკოვიჩი

მსაჯი: პუენტეს ლეირა

### რასინგი 2:3 ატლეტიკო

0:1 კორეა (12), 0:2 ხოსე მარი (30), 0:3 შამოტი (66), 1:3 ისმაელი (69), 2:3 ბესჩასტნიხი (88)

რასინგი: სებალოსი, არსენო (ბილაბონა 55), მერინო, სიეტესი, ტაისი, ვივარ დორადო (შუსტიკოვი 55), ვიკტორი, ჩემა, ისმაელი, მუნიტისი, ბესჩასტნიხი

ატლეტიკო: მოლინა, შამოტი (რამონი 67), სანტი, აგილერა, სერენა, ლარდინი, ვალერონი, რობერტო (გასპარი 85), ბეიბლი, ხოსე მარი, კორეა (ჟუნინიო 75)

გაფრთხილება: არსენო, ბესჩასტნიხი, სანტი, სერენა, ვალერონი, რობერტო

მსაჯი: პრადოს გარსია

### ბეტისი 4:1 ვილიარეალი

1:0, 2:0 ფინიდი (31პ, 46პ), 2:1 ალფარო (67პ), 3:1 ალფონსო (74), 4:1 ხასკესი (84)

ბეტისი: პრატსი, ლუის ფერნანდესი, მერინო, ოტერო, ოლიასი, ბენხამინი, იტო (ურენა 59), ფინიდი, დენილსონი (ფერნანდო 78), ოლი (ხასკესი 62), ალფონსო

ვილიარეალი: პალოპი, პასკუალი (სანხუანი 67), ტასევსკი, არეგი, რობერტო, ალბელდა, დიასი, გერარდო, კრაიოვეანუ, ალბერტო (ალფარო 62), მოისესი

გაფრთხილება: დენილსონი, პალოპი, სანხუანი, ალბელდა, პასკუალი

მსაჯი: ანდრადას ასურმენდი

### სარაგოსა 3:1 დეპორტივო

0:1 ზიანი (29), 1:1 იორდი (46), 2:1 არაგონი (73), 3:1 მილოშევიჩი (79)

სარაგოსა: ხუანმი, პაბლო, პაკო, აგუადო, სუნდგრენი, გარიტანო (არაგონი 59), ხოსე იგნასიო, მილოშევიჩი, იორდი, მარკოს ვალესი, გუსტავო ლოპესი (ვუტერი 75)

დეპორტივო: სონგოო, შურერი, რომერო, პაბლო, ნაიბეტი, ზიანი, ჰაჯი, ჯალმინია (სკალონი 63), მაურუ სილვა (დონატო 78), ფრანი, პაულეტა

გაფრთხილება: სუნდგრენი, იორდი, შურერი, ჯალმინია, მაურუ სილვა, ფრანი

მსაჯი: მედინა კანტელეხო

### ბილბაო 2:1 ვალიადოლიდი

0:1 ტურიელი (18), 1:1 ფერეირა (69), 2:1 ურსაისი (88)

ბილბაო: ეჩებერია, ლარასაბალი (ფელიპე 67), ფერეირა, ლარაინსარი, ურუტია (ხავი გონსალესი 62), გერერო, კარლოს გარსია, ალკისა, ესკუერო (ხორხე პერესი 74), ხოსება ეჩებერია, ურსაისი

ვალიადოლიდი: ცეზარი, მარკოსი, კალვო, სანტამარია, ხულიო ცეზარი, ტურიელი, ტორეს გომესი, ეუსებიო (ლოზანო 82), ჩემა (ემილიო 80), პეტერნაკი, კლიმოვიჩი (ალბერტო 73)

გაფრთხილება: ურუტია, გერერო, ჩემა, ხულიო ცეზარი, ტორეს გომესი

გაძევება: ტორეს გომესი

მსაჯი: ესკუინას ტორესი

### ბარსელონა 7:1 ალავესი

1:0 ფიგუ (18), 2:0 ლუის ენრიკე (36), 3:0, 4:0 რივალდო (57, 67), 4:1 პაბლო გომესი (79პ), 5:1, 6:1 ოსკარი (86, 88), 7:1 ლუის ენრიკე (92)

ბარსელონა: ჰესპი, აბელარდო, სერხი, რაიციგერი, სავი, კოკუ, გვარდიოლა, ფიგუ, ლუის ენრიკე, ანდერსონი (ოსკარი 76), რივალდო

ალავესი: კიკე, ალფონსო, კარმონა, ალბისტეგი (განანი 53), ხოსეტე (ასკოიტია 46), ბერუე, ბეგონა, კანაბალი, პაბლო გომესი, დესიო, სივორი

გაფრთხილება: ალფონსო

გაძევება: ასკოიტია

მსაჯი: ჯაპონ სევილია

# ჩემპიონი მაროკოს ელის

მსოფლიოს ჩემპიონი საფრანგეთის ეროვნული გუნდი მომავალ ოთხშაბათს, 20 იანვარს მარსელის „სტად ველოდრომზე“ ამხანაგურ მატჩში მაროკოს ნაკრებს შეხვდება. გუშინ „სამფეროვანთა“ თავკაცმა როჟე ლემერმა ის ფეხბურთელები დაასახელა, რომლებიც აფრიკელებს დაუპირისპირდებიან.

ლემერმა აღნიშნულ მატჩში მონაწილეობის მისაღებად კვლავ გამოიძახა „მარსელის“ ერთ-ერთი ლიდერი ფლორიან მორისი, რომელსაც საფრანგეთის ჩემპიონატში უკვე 11 გოლი აქვს გატანილი და მშვენიერ ფორმაში იმყოფება. მორისმა ბოლო სანაკრებო შეხვედრაში 18 თვის წინ მიიღო მონაწილეობა, როდესაც ფრანგები ამხანაგურად ბრაზილიელებს ეთამაშნენ.

ნაკრებში ახალწვეულიც გამოჩნდა — „ბორდოს“ ახალგაზრდა მეკარე ულრიხ რამი.

**მეკარეები:** ფაბიენ ბარტეზი (მონაკო), ულრიხ რამი (ბორდო)

**მცველები:** ლორან ბლანი (მარსელი), ვინსენ კანდელა (რომა, იტალია), მარსელ დესაი (ჩელსი, ინგლისი), ფრანკ ლებეფი (ჩელსი, ინგლისი), ბიქსენტე ლისარასუ (ბაიერნი, გერმანია), ლილიან ტურამი (პარმა, იტალია)

**ნახევარმცველები:** ალან ბოგოსიანი (პარმა, იტალია), დიდიე დეშამპი (იუვენტუსი, იტალია), იური ჯორკაეფი (ინტერი, იტალია), ემანუელ პეტი (არსენალი, ინგლისი), პატრიკ ვიეირა (არსენალი, ინგლისი), ზინედინ ზიდანი (იუვენტუსი, იტალია)

**თავდამსხმელები:** ნიკოლა ანელკა (არსენალი, ინგლისი), კრისტოფ დიუგარი (მარსელი), ფლორიან მორისი (მარსელი), რობერ პირესი (მარსელი)

# მოლოტოს არჩევანი

სამხრეთ აფრიკის ნაკრები 23 იანვარს აფრიკის თასის გათამაშების საკვალიფიკაციო მატჩში მავრიტანიის ეროვნულ გუნდს შეხვდება.

ამ მატჩში მონაწილეობის მისაღებად სამხრეთ აფრიკელთა ახალმა მწვრთნელმა ტროტ მოლოტომ გამოიძახა ნაკრების ყოფილი კაპიტანი ჯონ მოეტი, ვისაც თავის ამჟამინდელ კლუბ „ორლანდო პირატსის“ ხელმძღვანელობასთან დიდი უთანხმოება აქვს და მისი სახელით თამაშზე ჯერჯერობით უარს აცხადებს.

მოლოტოს მიერ შერჩეულ 18 ფეხბურთელს შორის არიან გამოცდილი ლუკას რადებე, რომელიც სავარაუდოდ კაპიტნის სამკლაურს მოირგებს და ვეტერანი ნახევარმცველი ჯონ მოშოუ. მათ ტრავმების გამო გასულ თვეში ეგვიპტის ნაკრებთან ამხანაგური შეხვედრა გამოტოვეს. ის მატჩი სამხრეთ აფრიკელებმა 2:1 მოიგეს.

რაც შეეხება გარემარბ დელრონ ბაკლის, მისი გამოძახებისგან მოლოტომ თავი შეიკავა.

**მეკარეები:** ბრაიან ბალოი (კაიზერ ჩიფსი), ჰანს ვონკი (ჰერენვენი, ჰოლანდია)

**მცველები:** მარკ ფიში (ბოლტონ ვონდერერსი, ინგლისი), პიერ ისა (მარსელი, საფრანგეთი), ტემბა მნგუნი (მამელოდი სანდაუნსი), ლუკას რადებე (ლიდსი, ინგლისი)

**ნახევარმცველები:** ბრედლი კარნელი (შტუტგარტი, გერმანია), ქუინტონ ფორტუნე (ატლეტიკო, ესპანეთი), სტივ ლეკოეალეა (ორლანდო პირატსი), ჟოელ მასილელა (მამელოდი სანდაუნსი), ტაბო მნგომენი (უმტატა ბაქსი), ჯონ მოეტი (ორლანდო პირატსი), ლოვერს მოლალა (მამელოდი სანდაუნსი), ჯონ მოშოუ (ფენერბახჩე, თურქეთი)

**თავდამსხმელები:** შონ ბარტლეტი (ციურიხი, შვეიცარია), ფილ მასინგა (ბარი, იტალია), ბენედიქტ მაკართი (აიაქსი, ჰოლანდია), სიბუსისო ზუმა (ორლანდო პირატსი)

## შოტლანდია

XX ტური

**დანდი 0:3 სელტიკი**

0:1 ო'დონელი (3), 0:2 რისეტი (12), 0:3 დუგლასი (56 ს. კ.)

**დანფერმლაინი 1:2 აბერდინი**

0:1 ინგლიში (52), 1:1 შოუ (53), 1:2 ჯესი (75)

**კილმარნოკი 1:0 ჰართსი**

1:0 ჰოლტი (27)

**მოზერველი 2:0 დანდი იუნ.**

1:0 მაკმილანი (55), 2:0 ბრანანი (57)

**რეინჯერსი 1:0 სტ. ჯონსტონი**

1:0 პორინი (71)

XXI ტური

**ჰართსი 1:2 დანდი**

0:1 შარპი (18პ), 1:1 ლილი (37), 1:2 ფალკონერი (42)

**დანდი იუნ. 1:2 რეინჯერსი**

0:1 უილსონი (32), 1:1 დოდსი (43), 1:2 უოლესი (90)

**აბერდინი 1:1 მოზერველი**

1:0 ჯესი (31), 1:1 მაკკალოჩი (67)

**სტ. ჯონსტონი 1:1 დანფერმლაინი**

0:1 სმიტი (68პ), 1:1 კეინი (81)

**სელტიკი — კილმარნოკი**

გადაიდო

XXII ტური

**რეინჯერსი 2:2 სელტიკი**

0:1 სტაბსი (39), 1:1 ამატო (45), 2:1 უოლესი (58), 2:2 ლარსონი (66)

**მოზერველი 1:2 კილმარნოკი**

0:1 მაკოისტი (15), 1:1 ბრანანი (27), 1:2 მაკგოუნი (86)

**დანდი 1:3 დანდი იუნ.**

0:1 დოდსი (10), 0:2 ტომპსონი (16), 1:2 მაკსვიგანი (28), 1:3 ოლოფსონი (70)

**დანფერმლაინი 0:0 ჰართსი**

**სტ. ჯონსტონი 4:1 აბერდინი**

0:1 ბაჩანი (25), 1:1 ბოლანი (44პ), 2:1 გერნაგანი (52), 3:1, 4:1 ო'ნილი (75, 84)

ახალი წელი შოტლანდიის ჩემპიონატში დიდი შეხვედრით დაიწყო — 3 იანვარს ორი გლაზგოური კლუბი „რეინჯერსი" და „სელტიკი", რომელთა არცთუ გულთბილი დამოკიდებულება უკვე კარგა ხანია გასცდა ქვეყნის საზღვრებს, კიდევ ერთხელ შეება ერთურთს. მათი შარშანდელი, ბოლო ბრძოლა „რეინჯერსის" ისტორიაში, ალბათ, ყველაზე სამარცხვინო გამოდგა — ადვოკაატის შეგირდებმა ჩემპიონთან 1:5 წააგეს.

ამჯერად სხვაგვარად იყო. მასპინძლები მთლიანად ფლობდნენ უპირატესობას, მაგრამ ორი დასანანი გოლი გაუშვეს და ამდენივე ქულაც დაკარგეს.

კვლავ გამოიჩინეს თავი ბომბარდირობისთვის მედგრად მებრძოლებმა როდ უოლესმა და ჰენრიკ ლარსონმა. მასპინძელთა ინგლისელმა ფორვარდმა პაშინ გაიტანა, 1:1 რომ იყო და „რეინჯერსი" უკანმოუხედავად უტევდა, ხოლო ქალური თმის ვარცხნილობის მქონე შვედმა შავკანიანი უოლესის შრომა წყალში გადაყარა, შტეფან კლოსს მეორე გაუტანა და საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა — 2:2, რითაც პირველ რიგში სტადიონზე შეკრებილი 50059 ფანის უდიდესი ნაწილის ლანძღვა-გინება დაიმსახურა.

— როდესაც გოლის გატანის ამდენ შესაძლებლობას გაუშვებ ხელიდან, არ უნდა გაგიკვირდეს, რომ ვერ მოიგე. ამიტომაც არ მიკვირს, მაგრამ არა უშავს. მთავარია, კვლავაც პირველ ადგილზე ვიმყოფებით და დიდი იმედი მაქვს, სეზონის ბოლომდე წინ არავის გავუშვებთ. ვფიქრობ, დღესდღეობით შოტლანდიის საუკეთესო გუნდი სწორედ „რეინჯერსია" — მასპინძელთა ჰოლანდიელი მწვრთნელი დიკ ადვოკაატი უხასიათოდ კი იყო, მაგრამ მომავლის იმედს მაინც არ კარგავდა.

„სელტიკელმა" ლუბომირ მორავჩიკმა კი მატჩის შემდეგ აღნიშნა, არავის ეგონოს, პოზიციებს დავთმობთ, ჯერ კიდევ ყველაფერი წინ არისო.

ნოდარ ბასრაძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 21 | 13 | 5 | 3 | 39:19 | 44 |
| კილმარნოკი | 21 | 11 | 7 | 3 | 30:12 | 40 |
| სელტიკი | 21 | 9 | 7 | 5 | 44:22 | 34 |
| სტ. ჯონსტონი | 22 | 8 | 9 | 5 | 28:28 | 33 |
| მოზერველი | 22 | 6 | 8 | 8 | 21:29 | 26 |
| ჰართსი | 22 | 6 | 6 | 10 | 22:29 | 24 |
| აბერდინი | 22 | 6 | 6 | 10 | 23:35 | 24 |
| დანდი | 21 | 6 | 5 | 10 | 20:32 | 23 |
| დანდი იუნ. | 22 | 5 | 7 | 10 | 22:27 | 22 |
| დანფერმლაინი | 22 | 2 | 12 | 8 | 17:33 | 18 |

## პორტუგალია

XVII ტური

**მარიტიმუ 3:0 ბოავიშტა**

1:0 რომეუ (19), 2:0 ტონი (28), 3:0 რომეუ (90)

**ფარენსე 1:1 ლეირია**

0:1 ვოუზელა (34), 1:1 კარლოშ კოშტა (71)

**ბეირა მარი 4:1 სალგეირუში**

1:0 ჟილა (9), 1:1 ჟოაუ პედრო (21), 2:1 ფარუ (30), 3:1, 4:1 სიმიჩი (34, 68)

**ამადორა 1:1 პორტუ**

1:0 აზიზი (67), 1:1 ჟარდელი (85)

**სპორტინგი 1:2 ბენფიკა**

0:1, 0:2 ბეტუ (27, 81), 1:2 დელფიმი (83)

**აკადემიკა 2:0 სეტუბალი**

1:0, 2:0 ლიმი (15, 29)

**შავეში 3:2 კამპომაიორენსე**

1:0 კარლოშ ალვარესი (2), 1:1 ალმეიდა (15), 1:2 რივასი (44), 2:2 ბარბოზა (53), 3:2 ვანდერლეი (90)

**გიმარაეში 3:1 ალვერკა**

1:0 ტიტუ (20), 1:1 კაჟუ (55), 2:1 არლეუ (88), 3:1 ბერტუ (90)

**რიუ ავე 1:2 ბრაგა**

0:1 სერჟიუ (5), 1:1 ჩინა (28), 1:2 კაროგლანი (43)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 17 | 12 | 3 | 2 | 38:16 | 39 |
| ბენფიკა | 17 | 11 | 3 | 3 | 37:12 | 36 |
| ბოავიშტა | 17 | 10 | 5 | 2 | 27:14 | 35 |
| სპორინგი | 17 | 9 | 5 | 3 | 32:16 | 32 |
| ამადორა | 17 | 8 | 6 | 3 | 21:17 | 30 |
| ლეირია | 17 | 8 | 4 | 5 | 17:12 | 28 |
| სალგეირუში | 17 | 6 | 7 | 4 | 25:24 | 25 |
| ბრაგა | 17 | 5 | 6 | 6 | 24:31 | 21 |
| სეტუბალი | 17 | 6 | 3 | 8 | 15:24 | 21 |
| გიმარაეში | 17 | 5 | 5 | 7 | 23:18 | 20 |
| რიუ ავე | 17 | 5 | 4 | 8 | 14:25 | 19 |
| ფარენსე | 17 | 5 | 3 | 9 | 14:24 | 18 |
| ბეირა მარი | 17 | 3 | 8 | 6 | 14:18 | 17 |
| ალვერკა | 17 | 3 | 8 | 6 | 15:21 | 17 |
| შავეში | 17 | 4 | 3 | 10 | 18:32 | 15 |
| კამპომაიორენსე | 17 | 4 | 3 | 10 | 18:30 | 15 |
| მარიტიმუ | 17 | 3 | 6 | 8 | 16:21 | 15 |
| აკადემიკა | 17 | 3 | 4 | 10 | 18:31 | 13 |

**თასის მეოთხე ეტაპი**

ბენფიკა 4:1 აკადემიკა
ამადორა 0:0 ფარენსე
კამპომაიორენსე 3:2 ბრაგა
ლეირია 2:1 რიუ ავე
ვისენტე (II) 3:2 სპორტინგი
გიმარაეში 2:3 მორეირენსე (II)
კოვილა (II) 2:4 სალგეირუში
პორტუ 4:2 ფამალიკაო (II)
ალვერკა 2:1 კამარა დე ლობოსი (II)
ევორა (II) 1:3 ბოავიშტა
ტორენსე (II) 2:0 შავეში
ფაფე (II) 1:2 სეტუბალი
ბეირა მარი 4:2 ფ. ბენფიკა (III)
ეშტრელა (III) 1:3 მარიტიმუ

## საფრანგეთი

**ლიგის თასის 1/16 ფინალი**

ლიონი 0:2 მონპელიე
ნანსი 1:0 ბოვე (II)
მეცი 1:0 ნანტი
პსჟ 1:0 სენტ-ეტიენი (II)
ლე ავრი 1:0 ბორდო
მონაკო 1:0 კაენი (II)
ნიორი (II) 0:1 ოსერი
ლავალი (II) 0:1 რენი
გენგამი (II) 0:1 ამიენი (II)
კანი (II) 0:1 ლუან-კუიზო (III)
სტრასბური 1:1 (დ.დ. 1:4) ტრუა (II)
მარსელი 1:1 (პენ 5:6) ლანსი
რედ სტარი (II) 1:1 (პენ 2:4) ნიცა (II)
სოშო 1:0 ბასტია
ვალანსი (II) 0:0 (პენ 4:2) ტულუზი
ლორიანი 1:2 შატორუ (II)

## ბელგია

**თასის 1/8 ფინალი**

აალსტი 0:3 სტანდარდი
ს. ბრიუგე (II) 0:0 (პენ 1:3) კორტრაიკი
ლიერსი 2:0 დანდერჰუტემი (III)
გენკი 4:3 მუსკრონი
ლომელი 2:3 სენტ ტრუიდენი
ლოკერენი 2:0 დანდერლეი (II)
ინგელმანსტერი (III) 4:0 ლიეჟი (II)
ვესტერლო 2:2 (პენ 3:2) ჰარელბეკი

**ქირავდება**
1-ოთახიანი
კეთილმოწყობილი ბინა
ქავთარაძის ქუჩაზე
☎ 93 15 72

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**იტალიის თასი. მეოთხედფინალი. I მატჩი**

13 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| იუვენტუსი — ბოლონია | 1,35 | 3,8 | 7,0 |

**ესპანეთის თასი. მე-3 წრე. საპასუხო მატჩები**

13 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| სევილია — ვილიარეალი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ბენიდორმი — ტენერიფე | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| სპორტინგი — დეპორტივო | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| ოსასუნა — რასინგი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| ბადახოსი — ვალიადოლიდი | 3,3 | 2,8 | 2,1 |
| ლევანტე — ლას პალმასი | 3,6 | 2,9 | 1,9 |

**ინგლისის თასი. მე-3 წრე. გადათამაშება**

12 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარნსლი — სვინდონი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| ნოთს ქაუნთი — შეფილდ იუნაიტედი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| იოვილი — კარდიფი | 3,0 | 2,9 | 2,2 |

13 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფულემი — საუთჰემპტონი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ლიდსი — რაშდენი | 1,05 | 7,5 | 16,0 |
| სუონსი — ვესტ ჰემი | 5,0 | 3,2 | 1,6 |

**ბელგიის ჩემპიონატი**

13 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| სტანდარდი — ლიერსი | 1,5 | 3,2 | 6,5 |

### ჰოკეი. NHL

12 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ტამპა ბეი — ტორონტო | 2,7 | 4,4 | 1,6 |
| დეტროიტი — მონრეალი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| კოლორადო — ჩიკაგო | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| ედმონტონი — დალასი | 2,2 | 4,4 | 1,8 |

13 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბუფალო — სენტ ლუისი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| რეინჯერსი — აილენდერსი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| ვაშინგტონი — ფილადელფია | 2,7 | 4,4 | 1,6 |
| ფლორიდა — ტორონტო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ფინიქსი — პიტსბურგი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ანაჰაიმი — კალგარი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| სან ხოსე — დალასი | 2,7 | 4,4 | 1,6 |

14 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ოტავა — ნიუ ჯერსი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| კაროლინა — ფლორიდა | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| დეტროიტი — ნეშვილი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| ვანკუვერი — ედმონტონი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| ლოს ანჯელესი — კალგარი | 1,5 | 4,4 | 3,0 |

| ჩემპიონთა თასი | | თასების თასი | | უეფას თასი | |
|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 2,5 | ლაციო | 2,0 | რომა | 3,0 |
| იუვენტუსი | 3,0 | ჩელსი | 2,0 | პარმა | 3,0 |
| მანჩესტერი | 3,0 | მალიორკა | 3,0 | მარსელი | 4,0 |
| ბაიერნი | 5,0 | ლოკომოტივი | 8,0 | ბორდო | 5,0 |
| რეალი | 6,0 | მაკაბი | 15,0 | სელტა | 5,0 |
| კაიზერსლაუტერნი | 10,0 | ვარტექსი | 50,0 | ატლეტიკო | 6,0 |
| დინამო | 10,0 | ვალერენგა | 50,0 | ბოლონია | 10,0 |
| ოლიმპიაკოსი | 50,0 | პანიონისი | 50,0 | ლიონი | 10,0 |

**ინგლისი**

| | |
|---|---|
| მანჩესტერი | 1,8 |
| ჩელსი | 1,8 |
| ასტონ ვილა | 4,0 |
| არსენალი | 5,0 |
| ლივერპული | 5,0 |
| ლიდსი | 8,0 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| ინტერი | 1,9 |
| ფიორენტინა | 2,0 |
| პარმა | 4,0 |
| მილანი | 5,0 |
| იუვენტუსი | 6,0 |
| ლაციო | 6,0 |
| რომა | 8,0 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| მალიორკა | 1,8 |
| რეალი | 2,0 |
| ბარსელონა | 2,5 |
| ვალენსია | 5,0 |
| სელტა | 5,0 |
| ატლეტიკო | 5,0 |

**პორტუგალია**

| | |
|---|---|
| პორტუ | 1,3 |
| ბენფიკა | 2,5 |
| სპორტინგი | 6,0 |
| ბოავიშტა | 6,0 |

**ჰოლანდია**

| | |
|---|---|
| ფეიენოორდი | 1,5 |
| აიაქსი | 2,2 |
| ვიტესი | 5,0 |
| ეინდჰოვენი | 6,0 |

**ბელგია**

| | |
|---|---|
| ბრიუგე | 1,1 |
| გენკი | 3,5 |
| სტანდარდი | 6,0 |
| ანდერლეხტი | 8,0 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| მარსელი | 1,3 |
| ბორდო | 2,5 |

**პოლონეთი**

| | |
|---|---|
| ვისლა | 1,1 |
| ლეგია | 4,0 |
| ლეხი | 8,0 |
| გურნიკი | 8,0 |
| ვიძევი | 8,0 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ბაიერნი | 1,01 |
| ლევერკუზენი | 8,0 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| გალათასარაი | 1,4 |
| ფენერბაჰჩე | 2,5 |
| ბეშიქთაში | 2,5 |
| ტრაბზონი | 5,0 |

**შოტლანდია**

| | |
|---|---|
| რეინჯერსი | 1,2 |
| სელტიკი | 3,0 |
| კილმარნოკი | 6,0 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| შტურმი | 1,7 |
| რაპიდი | 2,0 |
| გრაცერი | 4,0 |
| ლინცერი | 8,0 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| სერვეტი | 1,8 |
| გრასჰოპერი | 1,8 |
| ციურიხი | 2,5 |
| ლოზანა | 4,0 |

ნებისმიერი კონკრეტული გუნდი, რომელიც სიაში მოხსენიებული არ არის — 10,0

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# კალათბურთის ფედერაცია სახალხო დამცველის ინსტიტუტს დაემსგავსა

## ხოშტარია დაინდეს, შენგელია — ნაწილობრივ

ქართული კალათბურთის გულშემატკივართ კარგად ეხსომებათ შარშანდელი წელი და წინა, მეშვიდე ეროვნული ჩემპიონატი. მაშინ, უფრო სწორად კი გაზაფხულზე, ქვეყნის ოთხი საუკეთესო გუნდი პლეი ოფში ეტოქებოდნენ ერთმანეთს. ნახევარფინალურ სერიაში „ვითა“ და „დინამო“ დაწყვილდნენ და ქომაგიც საინტერესო სანახაობას ელოდა, მაგრამ ერთმა ფაქტმა ეს მოლოდინიც იმსხვერპლა და მთლიანად ეს ნახევარფინალური დაპირისპირებაც

შეგახსენებთ, რომ ერთ-ერთ სათამაშო ეპიზოდში მსაჯ გია მოლოდინაშვილის გადაწყვეტილებით განაწყენებულმა დინამოელმა, კახა შენგელიამ გამნაწყენებელს სამაგიეროს გადახდა დაუპირა და შეასრულა კიდეც — მოლოდინაშილი გვარიანად გალახა. მსხვერპლი შენგელიას დაუსხლტა და ახლა ირაკლი ხოშტარიას რისხვა დაატყდა თავს. ხოშტარიამ ტრიბუნებზეც კი სდია მსაჯს, მაგრამ მაინც ვერ მოიხელთა და გინებითღა იჯერა გული.

ყოველივეს ფედერაციის რეაქცია მოჰყვა. ამ უკანასკნელმა კი საკმაოდ მკაცრი ვერდიქტი გამოუტანა მოჩხუბართ. ირაკლი ხოშტარია 1999 წლის საკალათბურთო სეზონის ბოლომდე გამოათხოვეს კალათბურთს, უფრო მეტად დამნაშავე კახა შენგელია კი სამუდამოდ ჩამოაშორეს საქმეს.

სულ ახლახან, ფედერაციის ბოლო ალმასკომის სხდომაზე, ხელმეორედ განიხილეს მათი საკითხი. „დინამოს“ კალათბურთელების შეწყალება შესთხოვა ფედერაციას. თხოვნა სადისციპლინო კომისიამ განიხილა და ალმასკომზე დააყენა. ამ უკანასკნელთა შუამდგომლობა კი ალმასკომმა დააკმაყოფილა და გადაწყვიტა: ირაკლი ხოშტარიას მოეხსნას დისკვალიფიკაცია, ხოლო კახა შენგელიას სამუდამო სასჯელი.

ასე რომ, სავსებით შესაძლებელია, ხოშტარია მეორე წრეშივე ვიხილოთ მოედანზე. რაც შეეხება შენგელიას, მას კიდევ ერთი წელი მოუწევს დასვენება და მხოლოდ მომდევნო სეზონიდან მიეცემა საყვარელ საქმიანობაში დაბრუნების უფლება.

დიმიტრი ნიშნიანიძე

# ვითა დააბრუნეს, ასკ 9 წაგებით დაუშვეს

საკალათბურთო ჩემპიონატის მეორე წრის დაწყების თარიღად ოცი იანვარი იყო დათქმული. ფედერაცია კვლავაც თავისაზე დგას, მაგრამ პირველობის განახლების დღეს ზუსტად მაინც ვერ ასახელებს. ამის მიზეზი არაერთია, რაზეც 30 დეკემბერს ფედერაციის ალმასკომის სხდომაზეც ბევრი ითქვა, თუმცა მსგავსი ამბები კალათბურთის ქომაგთ აღარ აოცებთ და არც ის გაგვკირვებია, გუშინ ფედერაციაში მისულებს გენერალურმა მდივანმა აკაკი მეგრელაძემ ქართული კალათბურთის შესაძლო „ლოკაუტის“ შესახებ რომ გვამცნო. ეს სიტყვა ჩვენებურად გაფიცვას ნიშნავს და თუ ასე მოხდა, ეს ამერიკული კალათბურთის წაბაძვა იქნება, თუმცა ოკეანისგაღმელებს იმდენი აქვთ მისაბაძი...

ალმასკომის ბოლო სხდომაზევე განიხილეს კლუბ „ვითას“ წერილი, რომელიც, როგორც გახსოვთ, ჩემპიონატში ხელმეორედ დაბრუნებას ითხოვს. თუმცა ამაზე და სხვა ამბებზე ჯობს, თავად გენერალურ მდივანს მოვუსმინოთ:

— „ვითას“ საკითხზე იმ დღეს ბევრი ითქვა. თერთმეტივე ალმასკომის წევრმა გამოთქვა თავისი აზრი. აქედან ათი მათგანის გამოსვლაში აღინიშნა, რომ ქართული კალათბურთის სასიკეთოდ ფედერაციას უნდა დაეშვა გამონაკლისი და კლუბისთვის ჩემპიონატში დაბრუნების უფლება მიეცა. საბოლოოდ ასეც გადაწყდა — „ვითა“ ხელმეორედ ჩაებმება მერვე ჩემპიონატში.

**— „ვითას“-ს არსებობა მართლაც რომ გასახარია, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამით კანონი ირღვევა. ფედერაციის მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი, ანუ „ჰუმანური აქტი“, სწორედ რომ კანონს ეწინააღმდეგება. ამ უკანასკნელზე კი, ალბათ, მეტი დაფიქრებაა საჭირო, თორემ გამორცხული არც ისაა, მსგავსი რამ კიდევ განმეორდეს.**

— აბსოლუტურად გეთანხმებით, მაგრამ რა ვქნათ, ჯერაც ვერ მივაღწიეთ იმას, რომ კანონი კანონობდეს. სამწუხაროდ, ჩვენში ამ მიზეზით ბევრი დარღვევები ხდება, მაგრამ მხოლოდ ფედერაციაზე არ უნდა გადატყდეს ჯოხი. ხომ ხედავთ, ქვეყანაში რა მდგომარეობაა, ყველას უჭირს. ასევეა კლუბებიც და მეტწილად სიდუხჭირეცაა ამ ქაოსის თავიდათავი. ჩვენ რომ „ვითა“ არ შეგვეწყნარებინა და კანონის ძალით გვემოქმედა, ამით ქართული კალათბურთი მეტად დაზარალდებოდა. ვფიქრობ, ამასაც უნდა გავუწიოთ ანგარიში.

**— ნათქვამია, თავს ზემოთ ძალა არ არისო. ჩვენც დაველოდოთ ქვეყნის მოღონიერებას, იქნებ მერე კალათბურთსაც ეშველოს რამე. საერთოდ ეს ამოუწურავი თემაა, მაგრამ ახლა ამაზე ნუღარ შევჩერდებით და უფრო იმ დეტალებზე ვისაუბროთ, რომელიც გულშემატკივარს აინტერესებს. „ვითამ“ ჩემპიონატის სამი მატჩი გამოტოვა. ეს საქმე როგორღა მოაგვარეთ?**

— გამოითქვა აზრი, კლუბს ეს შეხვედრები გადაეთამაშებინა, მაგრამ გამომსვლელთა უმრავლესობამ ამაზე უარი განაცხადა და გადაწყდა, რომ იმ მატჩებში „ვითას“ წაგება ჩაეთვალოს და თითო მარცხზე თითო ქულა დაეწეროს.

**— დებულების მიხედვით, ექვსგზის ჩემპიონებს ქულა არ ეკუთვნით. იქ წერია, რომ თუ გუნდს ესა თუ ის მატჩი წაგებად ჩაეთვალა, მას არც ქულა ერგება.**

— ალმასკომის სხდომაზე ესეც აღინიშნა და ამიერიდან სხვაგვარად იქნება. დებულების ეს პარაგრაფი შევცვალეთ და მომავალში ხელმოცარულ გუნდს ქულას მაინც დავუწერთ. გადავწყვიტეთ, რომ ასე აჯობებს.

**— თუ ასეა, ფედერაციასთან სასაყვედურო „ვითას“ არაფერი ექნება. ეს ახლებური წესიც ხომ მათ წისქვილზე ასხამს წყალს...**

— გუნდის ხელმძღვანელებს უკმაყოფილება ნამდვილად არ გამოუთქვამთ. პირიქით, კმაყოფილნიც კი დარჩნენ ფედერაციის გადაწყვეტილებით. ეს მწვრთნელმა ტომარაძემაც დაგვიდასტურა თავის გამოსვლაში.

**— თუ არ ვცდები, იმ დღეს სხვა „სიკეთეც“ მოჰყვა. მეორე წრიდან ათგუნდიან ჩემპიონატს ვიხილავთ. ანუ დანარჩენ გუნდებს ასკ-ც დაემატება.**

— ეს გადაწყვეტილება ცოტა ადრე მივიღეთ. ალმასკომის სხდომაზე კი უკვე ოფიციალურად დამტკიცდა არმიული გუნდის მონაწილეობა. მათ განაცხადიც წარადგინეს და ამ საქმესაც წინ არაფერი უდგას.

**— მახსოვს ადრე ამ გუნდს იმასაც შეჰპირდით, პირველი წრის გამოტოვებულ თამაშებს მერე აგანაზღაურებინებთო. ახლა როგორ შეთანხმდით?**

— ეს გამოირიცხა. ასკ-ს თამაშებზე ვინ ჩივის, მეორე წრის დაწყებაც მეტად სათუოა... ისე, „ვითასი“ არ იყოს, ამ გუნდს ყველა თამაში წაგებად ჩაეთვალა, შესაბამისად თითო წაგებაზე ქულა დაეწერა და, აქედან გამომდინარე, ცხრა ქულით ჩაებმება ჩემპიონატში.

**— პირველობის განახლება სათუოაო ახსენეთ. ახლა მაინც რა გვიშლის ხელს?**

— მიზეზი რამდენიმეა. რომელი ერთი ჩამოგითვალოთ... უმთავრესი კი მაინც ისაა, რომ ათი გუნდიდან ზუსტად ნახევარს ჯერაც ფედარაციის ვალი აქვს. ლაპარაკია ჩემპიონატში სამონაწილეო იმ აუცილებელ თანხაზე, რომელიც კლუბებს ჯერ კიდევ სეზონის დასაწყისში უნდა გადაეხადათ. ჩვენ მათ დავუთქვით ვადა, მოვითხოვეთ, რომ 15 იანვრამდე ეს ფული გადაიხადონ. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩემპიონატს არ დავიწყებთ. რამდენიმე დღეღა დარჩა. ვნახოთ, თუ მათ ჩვენი მოთხოვნა დააკმაყოფილეს, ხომ კარგი, თუ არა და ურჩი გადამხდელების ვინაობას უკვე სახალხოდ დავასახელებთ.

და კიდევ. თუ ვერის ბაღი ვერ გავათბეთ, არც მაგ შემთხვევაში განახლდება პირველობა. ზამთრის პირობებში აუტანელია იქ თამაში. დარბაზში ძალიან ცივა და რა იქნება, ვერ გეტყვით. ისე, ფედერაციის პრეზიდენტი გოგი ქათამაძე შეგვპირდა, მაგ საკითხს მე მოგიგვარებთო და მისი. გვეიმედება. კიდევ ვიმეორებ, თუ დარბაზი არ გათბა, იქ თამაში წარმოუდგენელია და იქნებ ამან მეორე წრეც შეიწიროს. ჩემპიონატს კი გაზაფხულზე, მესამე წრიდან განვაახლებთ.

**— ალმასკომის სხდომაზე ნაკრებზეც ისაუბრებდით. თებერვალში ლატვია-იტალიას გამასპინძლება უნდა. ეროვნული გუნდიც მოსამზადებელია. ამ მხრივ თუ დაიგეგმა რამე?**

— ქათამაძემ დაავალა ლევან მოსეშვილს, რომ შეადგინოს ნაკრების მზადების საგანგებო გეგმა, რომლის მიხედვითაც შემდეგ ფედერაცია იმოქმედებს. მოსეშვილმა კი თავის მხრივ ითხოვა, რომ ჩემპიონატის განახლების შემთხვევაში 15 თებერვლიდან ათდღიანი შესვენება გამოცხადდეს. ეს დრო სრულიად საკმარისიაო, ამბობს.

გიორგი ბიკაშვილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აზოტი | 9 | 9 | 0 | 698:594 | 18 |
| სტუ | 9 | 8 | 1 | 682:616 | 17 |
| თსუ | 9 | 6 | 3 | 721:685 | 15 |
| ვითა | 9 | 5 | 4 | 370:357 | 13 |
| შევარდენი | 9 | 4 | 5 | 608:606 | 13 |
| დინამო | 9 | 4 | 5 | 681:701 | 13 |
| სდასუ | 9 | 4 | 5 | 646:691 | 13 |
| კოლხა | 9 | 3 | 6 | 541:652 | 12 |
| მაკაბი | 9 | 2 | 7 | 662:707 | 11 |
| ასკ | 9 | 0 | 9 | 0:0 | 9 |

ვითას დაკლებული აქვს 1 ქულა

*ვითას ჩაეთვალა წაგება აზოტთან, სტუსთან და კოლხასთან.*

*ასკ-ს ჩაეთვალა წაგება დანარჩენ ცხრა გუნდთან.*

*ყველა შემთხვევაში წაგებულ გუნდებს თითოეულ მატჩში დაერიცხათ 1 ქულა, ხოლო ბურთების სხვაობა უცვლელი დარჩა.*

## ევროლიგა. II ჯგუფური ეტაპი. I ტური. 6-7 იანვარი

### E ჯგუფი

**ცრვენა ზვეზდა 77:69 ჟალგირისი**

ცრვენა ზვეზდა: ბოლიჩი (12), დივაცი (16), იესტრატიევიჩი (6), პავიჩევიჩი (2), პოპოვიჩი (16), რაკოჩევიჩი (8), ტოპიჩი (17)

ჟალგირისი: ადომაიტისი (7), ბოუი (2), ედნი (7), მასიულისი (4), მასკოლიუნასი (3), შეშტოკასი, შტომბერგასი (10), ზიდეკი (17), ე. ჟუკაუსკასი (7), მ. ჟუკაუსკასი (12)

**ტდკ 71:62 ფენერბაჰჩე**

ტდკ: კაპდევილა (19), კრეუსი (6), გონსალესი (2), ლავისა (2), მილი (4), მოია (6), ვასკესი (1), ვილიამსი (21)

ფენერბაჰჩე: აფაიდინი, გილმორი (9), კალამიზა (6), ქუთლუაი (12), ლოხმანჩუკი (2), მაკრეი (6), მილიჩი (11), ტაბაკი (16)

**ციბონა 66:56 პო ორტეზი**

ციბონა: ატკინსი (2), დემპსი, გირიჩეკი (9), გრგატი (8), კრსტიჩი (15), მარცელიჩი (2), ნიჩევიჩი პრკაჩინი (7), სარლია (2), ი. ვრანკოვიჩი (11)

პო ორტეზი: აიშა (5), დევისი (11), ფატუ (3), ფუარე (5), დ. გადუ, გრანტი (19), სხოლტენი (4), სმიტი (9)

### F ჯგუფი

**ვარეზე 67:57 ეფესი**

ვარეზე: დე პოლი (8), გალანდა (8), მენეგინი (15), მრშიჩი (16), პოცეკო (10), სანტიაგო (8), ვესკოვი (2), ზანუს-ფორტი

ეფესი: აიდინი, ბეშოქი (10), დრობნიაკი, ევლიაოღლუ, ნაუმოსკი (17), სარიჯა (2), სავიჩი (16), თურქჯანი (10), თურქოღლუ (2)

**ტაუგრესი 79:76 მაკაბი**

ტაუგრესი: ანგულო (12), ბენეტი (13), ბერიჩი (18), ესპილი (13), მილერა (2), რუსკონი (11), სანდერსი (2), ვინტერსი (8)

მაკაბი: ალექსანდერი (19), ბენუა (10), გუდესი, ჰენფელდი (10), კატაში (17), პოპა (7), რადულოვიჩი (5), შარფი (6), შეფერი (2)

**ავტოდორი 73:76 პანათინაიკოსი**

ავტოდორი: ეინიკისი (19), ფეტისოვი (14), გუსევი, ხიჟნიაკი, მილოსერდოვი, ზ. პაშუტინი (14), ე. პაშუტინი (17), სმირნოვი, ჩიკალკინი (9)

პანათინაიკოსი: ალვერტისი (17), ბოდიროგა (26), ბუდურისი, ბურკი, ეკონომუ (9), ჯენტილე (3), კოხი, რაჯა (21)

### G ჯგუფი

**პაოკ 71:67 კინდერი**

პაოკ: ბალოიანისი (5), ბერი (21), კოლდებელა (13), იანულისი (10), კაკიუსისი, კინგი (16), მასლარინოსი (2), მორალესი (2), ნიკოლაიდისი (2)

კინდერი: აბიო, ბინელი (2), კრიპა, დანილოვიჩი (23), მაკრისი (ნესტეროვიჩი) (12), ოსალივანი (1), ოლოვოკანდი (14), რიგოდო (4), სკონოჩინი (1)

**ტიმსისტემი 83:69 ცსკა**

ტიმსისტემი: ბეტსი, კიაჩიგი (12), დელ ნეგრო (11), დილგლაი, ფუჩკა (25), კარნიშოვასი (10), ლაცისი (3), მულაომეროვიჩი (2), მაიერსი (20), პილუტი

ცსკა: დაინეკო (17), კარასიოვი (13), კირილენკო (1), კისურინი, კუდელინი (2), ნოსოვი (10), პანოვი (11), ტიხონენკო (2), ვეტრა (13)

**სამარა 70:81 ოლიმპიაკოსი**

სამარა: დოლოპჩი, ევანსი (10), გრაჩოვი (16), იაილო (14), კისელიოვი (3), მალცევი (16), პეტენევი (3), საიტანი (1), სავკინი (7)

ოლიმპიაკოსი: ფასულასი (2), გოლდვაიერი (16), ობერტო (6), პაპანიკოლაუ (20), როჯერსი (9), ტარლაკი (11), ტომიჩი (9), ცალიკისი (8)

### H ჯგუფი

**ალბა 57:75 ოლიმპია**

ალბა: ალექსისი (9), ბოგოევიჩი, ფემერლინგი (12), გარისი (10), ჰამინკი (5), ლუტკე (2), ნაკიჩი (3), პეშიჩი (9), როდლი (7)

ოლიმპია: დუშჩაკი (4), გოლემაცი, კოტნიკი (5), კრალევიჩი, მაკდონალდი (19), მუტავჯიჩი (4), ნოვაკი (3), სტეფანია (4), ტეილორი (12), ზდოვცი (24)

**ულქერი 85:83 რეალი**

ულქერი: ალიჰოჯიჩი, ანდერსონი (10), ერდენაი (13), ფირინჯიოღლუ (19), კოტუროვიჩი (17), რენკინი (18), თექინალფი (8)

რეალი: ანგულო (13), ბერდი (23), ერეროსი (7), იტურბე (8), ლასა (13), ლიუკი, მარტინი (3), სანტოსი (8), სტრიულენსი (8)

**ზადარი 74:56 ვილერბანი**

ზადარი: ერიავეცი (2), კოვაჩიჩი (23), მალოჩა (3), მუიაჯიჩი (15), ნაგლიჩი (16), პესტიჩი, ი. რუჟიჩი (13), სკალაბრიჩი (2)

ვილერბანი: ადამსი, ბილბა (1), ბლომი (5), დიგბო (6), ჰენრი (17), პალმერი (6), პერსევო (3), პლუვი (6), რადი (10), სონკო (2)

| | E ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჟალგირისი | | 64:59 | 70:67 | 18.02 | 14.01 | 4.02 | 8 | 3 | 870:830 | 19 |
| 2 | ფენერბაჰჩე | 99:84 | | 78:71 | 13.01 | 4.02 | 17.02 | 6 | 5 | 839:827 | 17 |
| 3 | პო ორტეზი | 56:66 | 73:48 | | 4.02 | 18.02 | 14.01 | 5 | 6 | 807:797 | 16 |
| 4 | ციბონა | 21.01 | 10.02 | 66:56 | | 54:61 | 77:80 | 5 | 6 | 744:768 | 16 |
| 5 | ტდკ | 11.02 | 71:62 | 21.01 | 67:79 | | 74:59 | 4 | 7 | 717:775 | 15 |
| 6 | ცრვენა ზვეზდა | 77:69 | 21.01 | 11.02 | 66:69 | 88:60 | | 3 | 8 | 772:795 | 14 |

| | F ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პანათინაიკოსი | | 77:63 | 18.02 | 14.01 | 67:58 | 4.02 | 11 | 0 | 826:701 | 22 |
| 2 | ეფესი | 53:80 | | 13.01 | 3.02 | 81:74 | 18.02 | 7 | 4 | 767:769 | 18 |
| 3 | ტაუგრესი | 21.01 | 11.02 | | 75:72 | 79:76 | 80:60 | 6 | 5 | 857:853 | 17 |
| 4 | ვარეზე | 11.02 | 67:57 | 86:78 | | 21.01 | 95:73 | 5 | 6 | 869:868 | 16 |
| 5 | მაკაბი | 62:84 | 66:68 | 4.02 | 18.02 | | 14.01 | 4 | 7 | 766:767 | 15 |
| 6 | ავტოდორი | 73:76 | 21.01 | 64:81 | 73:70 | 11.02 | | 2 | 9 | 805:889 | 13 |

| | G ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ოლიმპიაკოსი | | 55:50 | 17.02 | 74:76 | 13.01 | 4.02 | 9 | 2 | 827:747 | 20 |
| 2 | კინდერი | 67:72 | | 14.01 | 86:65 | 4.02 | 18.02 | 7 | 4 | 733:658 | 18 |
| 3 | ტიმსისტემი | 21.01 | 11.02 | | 83:69 | 76:61 | 77:58 | 6 | 5 | 759:708 | 17 |
| 4 | ცსკა | 75:81 | 62:70 | 4.02 | | 17.02 | 14.01 | 5 | 6 | 821:822 | 16 |
| 5 | პაოკ | 10.02 | 71:57 | 68:59 | 20.01 | | 85:66 | 5 | 6 | 793:795 | 16 |
| 6 | სამარა | 70:81 | 21.01 | 59:71 | 11.02 | 84:77 | | 1 | 10 | 755:922 | 12 |

| | H ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ოლიმპია | | 64:54 | 76:84 | 18.02 | 14.01 | 4.02 | 8 | 3 | 777:706 | 19 |
| 2 | ვილერბანი | 77:68 | | 77:73 | 14.01 | 3.02 | 18.02 | 7 | 4 | 785:774 | 18 |
| 3 | რეალი | 67:68 | 71:70 | | 4.02 | 18.02 | 14.01 | 6 | 5 | 878:827 | 17 |
| 4 | ულქერი | 11.02 | 21.01 | 85:83 | | 76:65 | 4.15 | 5 | 6 | 760:809 | 16 |
| 5 | ზადარი | 11.02 | 74:56 | 21.01 | 18.02 | | 79:82 | 4 | 7 | 734:773 | 15 |
| 6 | ალბა | 57:75 | 20.01 | 11.02 | 87:63 | 78:85 | | 3 | 8 | 782:863 | 14 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გვინდა ოლიმპიური მედალი?

დასაწყისი პირველ გვერდზე

ახლახან გიორგის ძალოსნობის დარბაზში შევხვდით — ქუთაისში ტურნირის ჩატარებას აპირებენ, მეც მიმიწვიეს და ამ საახალწლო ფუსფუსის ჟამს ამიტომაც ვვარჯიშობ ამ გაყინულ დარბაზში, არ მინდა, ქუთათურებთან შევრცხვეო — გვითხრა გიორგიმ. მერე, შტანგასთან ჭიდილით რომ



გიორგი ასანიძე

გული იჯერა, ჩვენთვისაც მოიცალა და ჩვეული თავაზიანობით დაგვთანხმდა ინტერვიუზე.

**— შარშანდელი სეზონით კმაყოფილი უნდა იყო, ქართულმა სპორტულმა მედიამაც თავის რჩეულად გამოგაცხადა...**

— საქართველოს საუკეთესო სპორტსმენობამ ძალიან გამახარა. ბევრი ტიტულოვანი, სახელიანი სპორტსმენი გვყავს და მათში გამორჩევა ჩემთვის დიდი პატივია. გასული წელი კი მართლაც მნიშვნელოვანი იყო. ორწლიანი დისკვალიფიკაციის მერე სარბიელს დავუბრუნდი და არცთუ ურიგოდ. ევროპის ჩემპიონატზე ცოტა დამაკლდა ოქროს მოპოვებამდე, გეხსომებათ, პირველობა ბულგარელ ვანევს მხოლოდ იმიტომ დავუთმე, რომ მასზე 500 გრამით მძიმე აღმოვჩნდი.

**— მსოფლიოს რეკორდი ევროპის ჩემპიონატზეც დაამყარე, მაგრამ მსაჯებმა არ ჩაგითვალეს, აქაოდა, წონა ვერ დააფიქსირაო, მსოფლიოს ჩემპიონატზე კი შენსას მაინც მიაღწიე, რეკორდსმენი გახდი, ატაცში 168 კილოგრამს „მოერიე", მედლის მოპოვების რეალური შანსიც გაგიჩნდა, მაგრამ აკვრაში ვეღარ ივარგე.**

— გერმანიაში მსაჯებმა არაობიექტურად განსაჯეს. 168-კილოგრამიანი შტანგა კარგა ხანს მეჭირა ხელში და არბიტრებს რომ წონის დაძლევა ჩაეთვალათ, ევროპის ჩემპიონი გავხდებოდი. ატაცი ჩემი საყვარელი მოძრაობაა და მჯეროდა, რეკორდს აუცილებლად დავამყარებდი — ასეც მოხდა, მერე კი ჩვეულად ვეღარ გავისარჯე, აკვრაში 195 კილო ვერ დავძლიე და უმედლოდ დავრჩი, თუმცა ამასაც მოეძებნება ახსნა — 15 დღის ვარჯიშით მსოფლიოს ჩემპიონები არ ხდებიან.

**— კი მაგრამ, პოლონეთში ვანო გრიქუროვის დახმარებით და მეთვალყურეობით ხომ სამი თვე ემზადებოდი სამსოფლიოსჩემპიონატოდ...**

— ბატონი ვანოსი მადლიერი ვარ. ამ კაცს ჩემზე დიდი ამაგი აქვს და დღეს რომ ძალოსანი მქვია, ვანო გრიქუროვის დამსახურებაა. პოლონეთში, სადაც იგი ამ ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებს ავარჯიშებს, ჩემპიონატის დაწყებამდე სამი თვით ადრე წამიყვანა და იქაურ ძალოსნებთან ერთად მავარჯიშებდა, მაგრამ, ეტყობა, კაცს იღბალიც უნდა გქონდეს — ვარჯიშისას ტრავმა მივიღე და საოპერაციო შევიქენი. სხვა რა გზა იყო, მეც ექიმებს მივაკითხე და მათგან მსოფლიოს ჩემპიონატამდე თხუთმეტი დღით ადრე გავთავისუფლდი, დარჩენილი დრო კი ფორმის აღსადგენად აღარ მეყო. ტრავმამ სწორედ აკვრისას შემახსენა თავი, მეც აღარ გავრისკე — შეიძლება მძიმედ დავშავებულიყავი და სპორტული კარიერაც დამესრულებინა, ამიტომაც ატაცში დამყარებული მსოფლიოს რეკორდით დავკმაყოფილდი.

**— ჩემპიონი კი ისევ ბულგარელი ვანევი გახდა. რეკორდი რომ დაამყარე, არა მგონია, კარგ ხასიათზე დამდგარიყო...**

— ვანევი, გარდა იმისა, რომ დიდი სპორტსმენია, ჩინებული ადამიანიცაა, ფიცარნაგიდან ჩამოსვლის მერე პირველად სწორედ მან მომილოცა, ისიც კი მითხრა, ამჯერად, ალბათ, ოქრო შენი იქნებაო. ის კი არ იცოდა, მხოლოდ თხუთმეტი დღის ნავარჯიშევი რომ ვიყავი და ხერხემლის ტკივილიც მაწუხებდა.

**— გიორგი, 168-კილოგრამიანი შტანგის ასაწევად რომ გაემართე, თუ გჯეროდა, სხვათაგან დაუძლეველ სიმძიმეს რომ დაიმორჩილებდი?**

— ფიცარნაგზე გასვლისას ყველაფერი მავიწყდება. შტანგას შევყურებ და თავს ზემოთ აწეულს წარმოვიდგენ. ლახტიშიც ასე იყო — მჯეროდა, სიმძიმეს დავძლევდი.

**— ზოგ სპორტსმენზე იტყვიან ხოლმე, ხასიათის კაციაო. შენ, გეტყობა, მტკიცე ხასიათისა ხარ.**

— ასეცაა, ბავშვობაში ძალიან ჯიუტი ვიყავი, ჩემს ძმას სურდა, მოკრივე გამოვსულიყავი, მიმიყვანა კიდეც საჩხერეში კრივის სკოლაში, მაგრამ იქიდან მეორე დღესვე გამოვიქეცი და გოგი თოდაძეს მივაკითხე. ბატონი გოგი კი ძალოსნობაში ავარჯიშებდა ბავშვებს, მეც შტანგასთან ჭიდილი უფრო მიზიდავდა და ვარჯიშიც დავიწყე. 1988 წელს ხელი მოვიტეხე, ბევრს უკვე ჩემი სპორტსმენობისა აღარ სჯეროდა, მე კი სახლიდან მარტოდმარტო თბილისში ჩამოვედი, საშველად ექიმებს მივაკითხე, მათაც რიგიანად მიმკურნალეს და კვლავ შტანგას შევავლე ხელი. მინდოდა ყველასთვის დამემტკიცებინა, რომ ჩემი ჩამოწერა ნაადრევი იყო. ამის მერე კი ვანო გრიქუროვთან მივედი და პირდაპირ ვუთხარი — მინდა, თქვენ მავარჯიშოთ-მეთქი. ბატონმა ვანომ ერთი კი შემომხედა და მიპასუხა — ერთი წელი დამელოდე, კახი კახიაშვილს ოლიმპიურ ჩემპიონს გავხდი და შენთვისაც მოვიცლიო. გრიქუროვმა სიტყვა შეასრულა — კახიმ ოლიმპიადა მოიგო, მერე კი საბერძნეთის მოქალაქეობა მიიღო და ვანო გრიქუროვმა მას მერე ჩემს აღზრდას მოჰკიდა ხელი.

**— გიორგი, კახიაშვილი ახსენე და აქვე მინდა გკითხო, შენთვისაც ხომ არ შემოუთავაზებიათ რომელიმე ქვეყნის მოქალაქეობა?**

— 1995 წელს გერმანიის ქალაქ ჰორტნბახის კლუბში გამოვდიოდი და საკმაოდ წარმატებითაც, გერმანელებმა საუკეთესო პირობები შემომთავაზეს და მათი სახელით ასპარეზობაზე ჩამომიგდეს სიტყვა, მაგრამ უარი ვუთხარი, შარშან პოლონელები მეპატიჟებოდნენ თავისთან და ისინიც უარით გავისტუმრე. მართალია, საქართველოში ძალოსნობისთვის ნორმალური პირობები არ არის, მაგრამ მე მაინც ჩემი ქვეყნის სახელით ასპარეზობა ვამჯობინე.

**— ჩვენთან რომ სპორტსმენებს დალხინებული ცხოვრება არა აქვთ, ეს არაერთხელ გვითქვამს, შენც ასეთ დარბაზში ვარჯიში, ალბათ, ერთ დღესაც მოგბეზრდება და შტანგაზე გულს აიცრუებ.**

— ჩვენთან მართლაც ცუდი პირობებია, ზამთარში სიცივისგან ვიყინებით, ზაფხულში კიდევ ისეთი ხვატია, სუნთქვა ჭირს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვვარჯიშობ და ფიცარნაგზეც გავდივარ. ისე კი, ჩვენი სპორტის თავკაცები თუ მეტ ყურადღებას მოგვაქცევენ, კარგი იქნება.

**— საქართველოს საუკეთესო სპორტსმენი რომ საერთო საცხოვრებლის ერთ პატარა ოთახში შეყუჟული, ამაზე რას იტყვი?**

— აბა, რა გითხრა, მართლაც მიჭირს, ოჯახით იმ პატარა ოთახში ვეღარ ვეტევით. სხვაგან წასასვლელი და საცხოვრებელი კი არსად მაქვს, საჩხერეშიც მიწისძვრისას დამენგრა სახლი. კი მპირდება სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა, დაგეხმარებითო, მაგრამ ჯერჯერობით სიტყვა მხოლოდ სიტყვად რჩება.

**— გამიგია, ასანიძის გატაცება მანქანით ქროლვააო.**

— მართალია. მანქანები ჩემი სუსტი წერტილია, მაგრამ ჩემი გემოვნებისა ჯერ ვერ შემიძენია, ძვირი ღირს და ამიტომაც გულდაწყვეტილი შევყურებ ხოლმე ჩვენში ასე მომრავლებულ „მერსედესებსა" თუ სხვა უცხოურ ავტოებს.

**— ის ამბავი მოყევი, ლახტიდან ჩამოსვლის მერე საბილიარდოში რომ შეხვედი.**

— ჩემი ცოლის ბიძამ, ფეხბურთის მწვრთნელმა კოტე დოლიძემ რეკორდის „დასასველებლად" დამპატიჟა, კარგად მოვილხინეთ და მერე საბილიარდოშიც შევიარეთ, კია ხელში ავიღე და კოტეს ვუთხარი — ეს მძიმეა და გამიცვალე-მეთქი. შენ ვის აშაყირებ, ბიჭო, ორი დღის წინ 168 კილო ასწიე და ეგ ჯოხი გემძიმაო? — აღშფოთდა ძია კოტე.

**— გიორგი, მოდი, ახლა სამომავლო გეგმებზე გვითხარი ორიოდ სიტყვა.**

— 1999 წელს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე ვიასპარეზებ და შევეცდები, ოქრო მოვიპოვო, რაც მთავარია, ოლიმპიურ ლიცენზიას ავიღებ და მერე კი სიდნეია. ოლიმპიური მედალი ჩემი ოცნებაა, ხელი შემიწყონ და მჯერა, ამ ოცნებას ავისრულებ, ჩემს ქვეყანას ოლიმპიურ მედალს ჩამოვუტან ავსტრალიიდან.

**სოსო ძოტორეიშვილი**
**ბადრი ქეთილაძის ფოტოები**



გიორგი ასანიძე საქართველოს ნაკრების წევრებთან ერთად



ასანიძე სარეკორდო წონებს გაუშინაურდა



გიორგი ასანიძე თავის თავს ოლიმპიურ მედალოსნად ხედავს

„სარბიელის“ მკითხველებს ეხსომებათ: ჩვენი გაზეთის ბოლო გვერდს ტრადიციული რუბრიკაც „აქეთური, იქითური“ ავსებდა და ახალისებდა. მერე, მიზეზთა გამო, ეს რუბრიკა საკმაო ხანს „დავასვენეთ“, ახალი წლიდან კი მისი ახლებურად აღდგენა გადავწყვიტეთ — ბოლოს და ბოლოს, ახალზეც კი იმას არ ამბობენ, კარგად დავიწყებული ძველიაო?!



რიოში, კოპაკაბანას ქვიშებზე ფეხბურთს უწყვეტად თამაშობენ. დიდი და პატარა ამ განთქმულ პლაჟზეა გამოსული და ფეხშიშველი ამტკიცებს თავის საფეხბურთო რაობას. ხშირად კოპაკაბანაზე ვარსკვლავებიც გამოჩნდებიან და ხუთი ხუთზე შეუბერავენ. ამ ახალ წლებზეც ასე იყო: რიოს განთქმულ მოთამაშეთა ნაკრებმა სან პაულოელები გამოიწვია და გვარიანი თამაშიც გააჩურა. სურათზე ხედავთ, ევროპაში სახელგავარდნილ რიოელ მხეცს, ედმუნდოს, რომელიც სან პაულოელ მცველ ჟორჟინიოს გაურბის. თამაში კი სტუმრებმა მოიგეს, ოღონდ პენალტებით და მხოლოდ 2:1. ძირითადი დრო კი 4:4 დასრულდა.



28 დეკემბერს კოლუმბიის ქალაქ კალიში გახურებულმა კორიდამ კინაღამ იმსხვერპლა „ელ კორდობესად“ ცნობილი ესპანელი ტორერო მანუელ დიასი. ხარი განთქმული ხართსაშენიდან ყოფილა და მისი პატრონი ვინმე ამბალო გახლავთ. ესპანელი გადარჩა, თუმცა ექიმები კი აწვალა.



ნურავინ იტყვის, 13 თარსი რიცხვი არ არისო. ინგლისელი მაგნატი რიჩარდ ბრენსონი დიდხანს ემზადებოდა საჰაერო ბურთით პირველი შეუჩერებელი გარსაქვეყნო მოგზაურობისთვის, 18 დეკემბერს მაროკოდან აფრენილმა წარმატებით მოიტოვა უკან არაბული ხრიოკები, ჰიმალაები, ჩინეთი, წყნარი ოკეანის დიდი ნაწილი, მაგრამ 13 ათასი კილომეტრის ანუ დისტანციის ნახევრის დაფარვის შემდეგ დაბალი წნევის არეში მოხვდა და თავისი ოცნების ასრულება ერთხელაც გადაედო. კაპიტან ბრენსონის ოდისეა, რომელსაც ამერიკელი სტივ ფორეტი და შვედი პერ ლინდსტრანდიც ეხმარებოდნენ, ჰავაიზე, კუნძული ოაჰუს ნაპირიდან 15 მილის დაშორებით დასრულდა — საჰაერო ბურთი ოკეანეში ჩაეშვა და მამაცი მოგზაურების დახრჩობისა და ზვიგენებისაგან გადასარჩენად აშშ-ის სანაპირო დაცვის შვეულმფრენებს გვარიანი გარჯა დასჭირდათ.





მარტინა ჰინგისის ჰობების ისედაც გრძელ სიას — ცხენზე ჯირითს, გორგოლაჭებზე სრიალსა და მთებზე ძვრომას, შვილის უსაფრთხოებაზე მზრუნველი დედის, მელანი მოლიტორის გასახარად, ახალი, გაცილებით ნაკლებ სახიფათო გატაცება — ველოსპორტი შეემატა. ავსტრალიურ პერტში, სადაც გასულ კვირაში შერეული წყვილების მსოფლიოს ჩემპიონატი, „ჰოპმანის თასი“ ტარდებოდა, მარტინა საგანგებოდ მისთვის გამოყოფილი ლიმუზინის კომფორტს ხშირად მარტივ, ორბორბლიან ტრანსპორტს არჩევდა და კორტზე გვარიანად ნავარჯიშებულიც ცხადდებოდა.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე სოსო კოტორეიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ზვიჩა სანიკიძე **უცხოური ფეხბურთის განყოფილება** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე **ინფორმაციის განყოფილება** ირაკლი თავაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი, თამარ შიოლაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29